ვასილიოს ტლეინფი

ლევი კლიაუვილი

ცნოვრება
შემოქმედება
მოღვაწეობა

საქართველოს სსრ
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ნაკადული"
19 თბილისი 62

ქართველი ხალხი საზეიმოდ აღნიშნავს თავისი დიდი მწერლის, ქართული კლასიკური მხატვრული პროზის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატის დავით კლდიაშვილის დაბადების 100 წლისთავს. უეჭველია, რომ ეს იუბილე ცხოველ გამოძახილს ჰპოვებს ჩვენი თვალუწვდენი საბჭოთა სამშობლოს ყოველ კუთხეში, რადგან ხალხთა ურღვევი ძმობისა და მეგობრობის უწმინდესი გრძნობით შედუღაბებულ ჩვენს დიად ქვეყანაში ყოველი ეროვნული კულტურის ყველა უძვირფასესი მონაპოვარი მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილების, მისი სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. დავით კლდიაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჩვენი ეროვნული კულტურის სწორედ ისეთ ძვირფას მიღწევათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ქართველ ხალხს კანონიერი სიამაყის გრძნობით შეაქვს გარდაუვალ სულიერ ღირებულებათა საკაცობრიო საგანძურში.

დავით კლდიაშვილის დაბადების 100 წლისთავი უშუალოდ მოჰყვა ვაჟა-ფშაველას იუბილეს, რომელიც დიდი ზეიმით აღინიშნა გასულ წელს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს დიად საბჭოეთშიც და მისი საზღვრების მიღმაც. მხატვრული სიტყვის ეს ორი დიდი ხელოვანი არა მარტო ერთმანეთის თანამედროვენი იყვნენ, არამედ თანამებრძოლნი და თანამოღვაწენიც, რომელთაც არა მარტო პირადი

მეგობრობა და ურთიერთ სიყვარული აკავშირებდათ, არამედ საზოგადოებრივ მისწრაფებათა, სოციალური და ესთეტიკური იდეალების ერთიანობაც. როგორც ყოველი დიდი ხელოვანი, ვაჟა-ფშაველა და დავით კლდიაშვილიც უაღრესად თვითმყოფი, დამოუკიდებელი და ორიგინალური იყვნენ თავიანთი შემოქმედებითი ბუნებით. ისინი არავის ბაძავდნენ და არავის იმეორებდნენ და, ბუნებრივია, დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სრულიად განსხვავებული იყო მათი მსოფლშეგრძნობაც, სამყაროს პოეტური ხილვისა და ათვისების ხასიათიც, შემოქმედების თემატიური სამყაროც, მხატვრული მეტყველების ბუნებაც. მაგრამ ისინი XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე, თითოეული თავისებურად აგრძელებდა და ანვითარებდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ დაფუძნებულ დემოკრატიულ, ჰუმანურ და პატრიოტულ ტრადიციებს ქართული კლასიკური რეალიზმისა. ორთავემ განიცადა ხალხოსნური მოძრაობის იდეური ზეგავლენა. შემდეგ მათ თვალწინ განვლო საქართველოში პროლეტარული რევოლუციური ბრძოლის აღმოცენება-აღმავლობის პროცესმა, რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხლიანმა დღეებმა. ორივენი გულწრფელად და გაბედულად მიემხრნენ ამ დიდ სახალხო განმათავისუფლებელ მოძრაობას და მხარში ამოუდგნენ ცხოვრების ძირფესვიანად გარდაქმნისა და განახლებისათვის საბრძოლველად ამხედრებულ პროგრესულ ძალებს ჩვენი საუკუნისა.

უმთავრესი, რაც დავით კლდიაშვილს ანათესავებს ვაჟა-ფშაველასთან, — ქართველი ხალხის ამ განუმეორებელ პოეტურ გენიასთან — ეს არის განსაკუთრებულად გამძაფრებული ყოვლისმომცველი ჰუმანიზმი, განსაკუთრებულად გამახვილებული გრძნობა ადამიანურობისა, ადამიანისადმი სიყვარულისა, სიბრალულისა და თანაგრძნობისა. დავით კლდიაშვილს მართლაც სრული უფლება ჰქონდა ეთქვა: „ყველაფერს, რასაც ვწერდი, ადამიანისადმი სიყვარული მაწერინებდა“. ადამიანისადმი სიყვარულისა და სიკეთის კეთილშობილური გრძნობით არის გამსჭვალული და შთაგონებული მისი მთელი შემოქმედება. თავისი სამწერლო და საზოგადოებრივი მოღ-

ვაწეობის მრისხანე და სუსხიან ხანაში, როცა ჩვენს ქვეყანაში თვითმპყრობელური ტირანია, ბურჟუაზიულ-მემამულეური მჩაგვრელობა და ძალმომრეობა მძვინვარებდა, მწერალი კულმხურვალედ გამოექომაგა უკუღმართი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების მიერ ულმობლად გათელილსა და აბუჩად აგდებულ ადამიანობას, გულის სიღრმემდე შემძვრელი ძალით ამხილა ადამიანის ბუნების დამამახინჯებელი, ადამიანის უკიდურესად გამაუბედურებელი მანკიერებანი იმდროინდელი სინამდვილისა. მღელვარე გულშემატკივრობით შესცქეროდა დავით კლდიაშვილი სიღატაკის, უმეცრების, ათასგვარი ბოროტებისა და უსამართლობის წყვდიადით მოცულ იმდროინდელ ცხოვრებას ჩვენი ქვეყნისა და ხატავდა ამგვარი სინამდვილის მსხვერპლთა სახეებს, მოგვითხრობდა მათი მძიმე და გაუხარელი ცხოვრების ისტორიას. მწერლის ბიოგრაფი, მისი შვილი, გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერალი სერგო კლდიაშვილი გვიამბობს, რომ, როდესაც დავით კლდიაშვილს სთხოვეს დაეწერა თავისი შემოქმედებითი გამოცდილების შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ ქმნიდა იგი თავის ბელეტრისტულ და დრამატურგიულ ნაწარმოებებს, მას უპასუხნია: „რა ვიცი მე, როგორ ვწერდი, გული მტკიოდა და ვწერდი, ეს იყო და ეს“. ეს გულისტკივილი, სოციალური და ეროვნული მონობით გაწამებული თავისი ქვეყნის იმდროინდელი დუხჭირი ცხოვრებით აღძრული გულისტკივილი, რომლითაც აღბეჭდილია XIX საუკუნის დიდი ქართული ლიტერატურა, განუყოფელად თან ახლავს დავით კლდიაშვილის შემოქმედებას, მაშინაც კი, როდესაც იგი მახვილი ჰუმორის, ზოგჯერ სატირულ სიმწვავემდე მისული ჰუმორის საშუალებას მიმართავს.

ლიტერატურის ისტორიაში იშვიათია მწერალი, რომელსაც ასე ებრალებოდეს თავისი ნაწარმოების ყველა პერსონაჟი, მის მიერ დახატული ყოველი ადამიანი; თავის უჭკნობ მხატვრულ ქმნილებებში დავით კლდიაშვილმა დახატა მრავალფეროვანი გალერეა ისეთი პერსონაჟებისა, რომლებიც უაღრესად მახინჯსა და დასაგმობ ადამიანურ თვისებებს გაერთიანებენ. ზოგი მათგანი საზარელი უმეცრების, ცრუმორ-

წმუნეობის, ჩამორჩენილობის, პირუტყვული ეგოიზმის მანკიერებით არის შეპყრობილი, ზოგნი ცბიერების, თვალთმაქცობის, მატყუარობის, უქნარობის, ფუქსავატი ამპარტავნობის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენენ. მაგრამ მწერლის გულისწყრომა ამ ადამიანებისადმი როდია მიმართული. პირიქით, ყოველ მათგანს მწერალი გვიხასიათებს, როგორც უბედურ მსხვერპლს იმ უკუღმართი საზოგადოებრივი სინამდვილისა, რომელსაც ასე დაუზოგავად დაუმახინჯებია ამ ადამიანთა ბუნება, ასე უიმედოდ გაუმწარებია მათი ცხოვრება, ასე სასაცილოდ და საბრალოდ გაუხდია ისინი. არა ამ მანკიერ თვისებათა მატარებელი ადამიანებისადმია მიმართული დავით კლდიაშვილის ქმნილებათა მამხილებელი მახვილი, არა მათდამი ზიზღსა და მძულვარებას აღძრავს მწერალი მკითხველთა ცნობიერებაში, არამედ იმ უსამართლო და უგუნური საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი, რომელიც ასე დამღუპველად აბოროტებდა, ამახინჯებდა ადამიანს, გონებას უბნელებდა მას, გზას უხშობდა ნათელი, ბედნიერი, ადამიანური ცხოვრებისაკენ. ამაში მდგომარეობს დავით კლდიაშვილის შემოქმედების ღრმა ჰუმანისტური ჟღერა, მისი მაღალი სოციალური აზრი და მნიშვნელობა.

დავით კლდიაშვილის უაღრესად თვითმყოფი, ორიგინალური შემოქმედებითი ინდივიდუალობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება ისიცაა, რომ მწვავე ცხოვრებისეული კონფლიქტებისა და წინააღმდეგობათა გამოსახატავად იგი არ მიჰყვება ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ ხერხს დადებით და უარყოფით გმირთა ურთიერთ დაპირისპირებისა და შეჯახებისა. მისი მოთხრობებისა და პიესების გმირები, — თითქმის ყველანი ამა თუ იმ დასაგმობი და სასაცილო უარყოფითი თვისებებით ხასიათდებიან. მაგრამ ყოველი მათგანის ხასიათის ეს მანკიერებანი წარმოშობილია და განპირობებული მათი გარემომცველი სოციალური სინამდვილის ბუნებით, გაბატონებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უკუღმართობით. ამიტომ მწერალთან ერთად მკითხველიც გულისტკივილით და სიბრალულით ეპყრობა კერძომესაკუთრულ ინსტინქტებით დაბრმავებულ

მოხუცს კაცია საგუნაშვილს, თუ დრომოჭმული პატრიარქალური ცრურწმენით გაბოროტებულ დედაბერს ფეფენას, მატყუარა და ცბიერ მაჭანკალს სოლომონ მორბელაძეს, თუ ღვიძლი ძმის მოსალოდნელი დაბადებით მომაკვდინებლად შეშინებულ პლატონ სამანიშვილს. ყველა ესენი, როგორც დავით კლდიაშვილის თითქმის ყველა ნაწარმოებთა სხვა პერსონაჟები, ცხოვრების უკუღმართი პირობების მიერ დამახინჯებული და გაუბედურებული ადამიანები არიან. სწორედ ამ ადამიანთა სავალალო ხვედრის, მათი სასაცილო თუ საბრალო მდგომარეობის გამოხატვით ახასიათებს და ამხელს მწერალი იმ საძულველ საზოგადოებრივ წყობილებას, რომლისადმი შეურიგებლობის გრძნობაც ასაზრდოებს დავით კლდიაშვილის შემოქმედების იდეურ პათოსს.

დავით კლდიაშვილი გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს გამოვიდა ქართული მწერლობის სარბიელზე და სწორედ ამ წლებში შექმნა მან თავის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებთა დიდი ნაწილი. ამ წლების მძაფრ, გართულებულ სოციალურ ვითარებაში ჩამოყალიბდა და გამომუშავდა მწერლის მსოფლმხედველობა, მისი საზოგადოებრივი იდეალები და მხატვრული ინდივიდუალობა. ეს წლები — გასული საუკუნის მიწურული ჩვენი სამშობლოს ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს. სამრეწველო კაპიტალიზმის მძლავრმა აღმავლობამ და პროლეტარული რევოლუციური მოძრაობის წარმოშობა-განვითარებამ ამ წლებში ძირფესვიანად შესცვალა ჩვენი ქვეყნის სოციალური ვითარება, გააღრმავა და გაამძაფრა კლასობრივი წინააღმდეგობანი ქალაქად და სოფლად, და, ბუნებრივია, ღრმა ცვლილებანი და სიახლენი გამოიწვია საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, ხალხის მთელს იდეოლოგიურ ცხოვრებაში.

სწორედ ამ წლებში დაიწყო მარქსისტული მოძღვრების ინტენსიური გავრცელება საქართველოში, აღმოცენდა პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებიც ისტორიულად მოწოდებული აღმოჩნდნენ სათავეში ჩადგომოდნენ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას ახალ ისტორიულ ვითარებაში.

ყოველივე ამას, ცხადია, არ შეეძლო გამოხატულება არ ეპოვნა მახტვრულ ლიტერატურაში, ახალი გზებით არ წარემართა მისი შემდგომი განვითარება. თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელს მანძილზე ქართული მწერლობა თავისი მოწინავე წარმომადგენლების სახით ყოველთვის განუყოფელად იყო დაკავშირებული ხალხის ბრძოლასთან სოციალური პროგრესისა და ეროვნული თავისუფლებისათვის, ასახავდა ამ ბრძოლას, უმღეროდა მას, გამოდიოდა ამ ბრძოლის იდეურ მესვეურად და სულისჩამდგმელად. არც ამ შემთხვევაში გადაუხვევია ქართულ მწერლობას მისი იმ სახელოვანი ტრადიციისაგან. გასული საუკუნის მიწურულის გართულებულ საზოგადოებრივ ვითარებაში ქართული მწერლობის სარბიელზე გამოვიდა ბელეტრისტთა მთელი პლეადა, რომელმაც ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული კრიტიკული რეალიზმი, მეტი სიმძაფრე და ბრძოლისუნარიანობა შესძინა მას.

ქართული კრიტიკული რეალიზმის ამ ახალ სკოლას მწერლობის სარბიელზე შემოუძღვა ეგნატე ნინოშვილი, რომლის შემოქმედებაშიც მძლავრად დაჰბერა ჩვენი სამშობლოს ისტორიის ამ ახალი პერიოდისათვის დამახასიათებელი მძაფრი სოციალური კონფლიქტების, კლასობრივი ბრძოლების სულმა. დავით კლდიაშვილთან ერთად, თითქმის ერთდროულად, შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყეს ვასილ ბარნოვმა, შიო არაგვისპირელმა, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ და სხვებმა. უკვე მაშინ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში აზრთა მწვავე წინააღმდეგობამ იჩინა თავი ამ ახალი ლიტერატურული სკოლის შეფასებაში, იმ საკითხის გარკვევაში, თუ რა ადგილი მიეკუთვნება მწერალთა ამ ახალ თაობას ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ისტორიაში. როგორც ცნობილია, გამოთქმული იყო აზრი, თითქოს ამ მწერალთა შემოქმედებას ერთგვარად დაექვეითებინოს და გაეღარიბებინოს ილია ჭავჭავაძის და მისი სახელოვანი თანამებრძოლების მიერ შექმნილი დიდი ლიტერატურული ტრადიციები. ამ აზრს პრინციპულად წინააღუდგა ქართული მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების ერთ-ერთი დამაარსებელი ალექსანდრე წულუკიძე.

მან ქართულ მწერლობაში მოსული ამ ახალი პლეადის დიდი ღირსება და ღვაწლი იმაში დაინახა, რომ ამ თაობის მწერალთა შემოქმედებაში სიმართლით აისახა ახალი სოციალური ვითარების დამახასიათებელი პროცესები, გამოიხატა ახალი დროების მიერ ისტორიის სარბიელზე გამოყვანილი სოციალურ ძალთა განმასახიერებელი ტიპიური ადამიანური სახეები. იმ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის, რომლებითაც ალექსანდრე წულუკიძე თავის ამ დებულებას ასაბუთებდა, თვალსაჩინო ადგილი ეჭირა დავით კლდიაშვილის მოთხრობებს. უკვე მაშინ, მწერლის შემოქმედებითი ცხოვრების დაწყებისთანავე აშკარა იყო, რომ დავით კლდიაშვილი ახალი ლიტერატურული ეპოქის ერთ-ერთ მთავარ ფიგურას, მის ნამდვილ მშვენებას და სიამაყეს წარმოადგენდა. მწერლის შემდგომმა შემოქმედებითმა მოღვაწეობამ და ქართული მწერლობის ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ კიდევ მეტის სიცხადით დაადასტურა ეს ჭეშმარიტება.

სხვადასხვა ასპექტით აშუქებდნენ დასახელებული ბელეტრისტები თავის თანამედროვე სინამდვილეს, სხვადასხვაგვარი იყო მათი თემატიკაც, მოქალაქეობრივი ტემპერამენტიც, მხატვრული ნიჭიერების ხასიათიც და ძალაც. ეგნატე ნინოშვილმა, რომლის შემოქმედებასაც უფრო მეტი სოციალური სიმძაფრე, უფრო მკაფიოდ გამოვლენილი პოლიტიკური ტენდენციები ახასიათებდა, თავის მთავარ გმირად აირჩია უკიდურესად გალატაკებული გურული გლეხკაცობა, რომელიც უკვე გამსჭვალული იყო გაბატონებული წყობილებისადმი მრისხანე პროტესტისა და მღელვარე უკმაყოფილების გრძნობით, რევოლუციური სულისკვეთებით. ასეთი სოციალური ტიპი იდგა ნინოშვილის შემოქმედების ცენტრში და ამ ტიპისადმი მიმართების თვალსაზრისით აშუქებდა იგი ქართული სოფლის სარბიელზე იმ დროს მოქმედი ყველა სოციალური ფენის ხასიათსა და მდგომარეობას. ვასილ ბარნოვმა, რომელმაც თავისი შემოქმედებითი პოტენციის უდიდესი ნაწილი საქართველოს ისტორიული წარსულის მხატვრულად გაცოცხლებას და წარმოსახვას მოანდომა, თავისი თანამედროვე სინამდვილე დაახასიათა, როგორ „გველის ზეიმი“ და ამ სინამდვილის გა-

ბატონებულ ძალას, კაპიტალისტთა კლასს ამავე სახელწოდების მოთხრობაში გარდაუვალი დაღუპვა, აუცილებელი კატასტროფა უწინასწარმეტყველა. ამ მწერლის მხატვრული ხილვა თანაბარი მამხილებელი ძალით წვდებოდა იმდროინდელ სოფლის ვითარებასაც და ბურჟუაზიული ქალაქის ცხოვრებასაც, ქალაქისა, სადაც მას უპირატესად წვრილ ხელოსანთა სამყარო იზიდავდა და აინტერესებდა. შიო არაგვისპირელმა თავის ფსიქოლოგიურ ნოველებსა და ეტიუდებში პირველმა ქართველ მწერალთა შორის მზის სინათლეზე გამოიტანა ბურჟუაზიული საზოგადოების ზნეობრივი გახრწნილება, მისი შემზარავი ამორალიზმი, ხოლო ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ თავის პოპულარულ რომანებში „მოლიპულ გზაზე“ და „ბედის ტრიალი“ წარმოსახა ქართული სოფლის ძველი, პატრიარქალური ცხოვრების ულმობელი რღვევა ახალ სოციალურ ვითარებაში და გამოავლინა ის მწვავე წყლულები და ტკივილები, რომლებიც ამ ახალმა ვითარებამ განუმზადა ადამიანს, კერძოდ კი — ქალს.

დავით კლდიაშვილის ყურადღება კი ამ ახალი სოციალური ვითარების ერთ-ერთმა ძირითადმა პროცესმა მიიპყრო. ეს იყო ფეოდალური საზოგადოების დაუნდობელი რღვევისა და საბოლოო დაკნინების პროცესი, რამაც თავის უკიდურესობას სწორედ გასული საუკუნის მიწურულში მიაღწია, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური მეურნეობის მძლავრი აღმავლობისა და განვითარების ხანაში. გაღატაკებული იმერელი აზნაურობის ყოფა-ცხოვრება აირჩია დავით კლდიაშვილმა თავისი შემოქმედების ძირითად თემატიურ მასალად. და ეს გაღატაკებული, ისტორიის მიერ ულმობლად განწირული აზნაური გახადა მან თავის საუკეთესო ქმნილებათა მთავარ პერსონაჟად. მწერალი თვითონ იყო წარმოშობილი და აღზრდილი იმერეთის გაღარიბებულ აზნაურობის წრეში და ამიტომაც ზედმიწევნით იცნობდა ამ წრის ადამიანებს, მათს სულისკვეთებას, მათს სოციალურსა და ყოფაცხოვრებითს ვითარებას.

როგორც მისი უფროსი თანამედროვენი და უშუალო წინამორბედნი — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და გიორგი წერეთელი, — დავით კლდიაშვილიც ოდნავადაც არ განსაზღ-

ვრულა თავისი წარმომშობი კლასის მსოფლმხედველობით და ინტერესებით. პირიქით, თავის მხატვრულ ქმნილებებში მან ულრმესი სიმართლით ამხილა ფეოდალური სამყაროს სასიკვდილო განწირულება და დაუნდობლად გამოამზეურა თავადაზნაურული წოდების უკანასკნელი მოდგმის მთელი სულიერი სიწვრილმანე და სიცარიელე, მისი აზრებისა და მიზნების უბადრუკი უფერულობა, მისი სულისკვეთების თან საბრალო და თან სასაცილო უმწეობა.

სინამდვილის ამ ერთი პროცესის მასალაზე, ამ ერთი კუთხიდან გააშუქა უპირატესად დავით კლდიაშვილმა თავისი თანამედროვეობის უაღრესად გართულებული სოციალური შინაარსი. მან დახატა თავადაზნაურული სამყაროს მწუხრის ამსახველი ცხოველი და წარუშლელი მხატვრული ძალის სურათები, რომლებიც ღირსეულად შეგვიძლია გვერდით დავუყენოთ ამ თემაზე დაწერილ შედევრებს მსოფლიო ლიტერატურისა — სერვანტესის „დონ-კიხოტიდან“ გოგოლის „მკვდარ სულებამდე“.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვაგვარი იყო ქართული კრიტიკული რეალიზმის ამ ახალი სკოლის შემადგენელ მწერალთა შემოქმედების თემატიკური საფუძველი, მით უფრო განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან მხატვრული გამოსახულების საშუალებათა სფეროში, სამწერლო სტილის, ნიჭიერების ხასიათის, მხატვრული ინდივიდუალობის თვალსაზრისით. მაგრამ მათ ერთმანეთთან ანათესავებდა ძლაფრად კრიტიკული, უარმყოფელი, მამხილებელი მიმართება იმდროინდელი საზოგადოებრივი სინამდვილისადმი. ყოველი მათგანის შემოქმედება წარმოადგენს სხვადასხვაგვარ მხატვრულ დასაბუთებას და გამოსახვას ადამიანის უკიდურესი ჩაგვრისა და შევიწროებისა, მისი ყველა კეთილშობილური მისწრაფებისა და ოცნების დასაღუპავად განწირულების იმ ბნელ და უხეშ სინამდვილესთან შეჯახებაში, რომელიც მაშინ ჩვენს ქვეყანაში სუფევდა. ასეთი პოზიციიდან აღიქვამდნენ და აშუქებდნენ ეს მწერლები ცხოვრებას და მათი ეს მწვავე მამხილებელი პათოსი ანარეკლი იყო ხალხის მზარდი პროტესტისა და უკმაყოფილებისა, მისი შეურიგებელი სიძულვილისა თვით-

მპყრობელური, ბურჟუაზიულ-მემამულური ტირანიისადმი. მართალია, ამ მწერლების ნაწარმოებებში უშუალოდ არ გამოხატულა მათთვის ესოდენ საძულველი სინამდვილის დამხობისა და ცხოვრების გარდაქმნისათვის ისტორიულად მოწოდებული ერთადერთი სოციალური ძალა — მუშათა კლასი და მისი საბრძოლო შემართება, მაგრამ ამ პერიოდის ქართული მწერლობის მგზნებარედ მამხილებელი სული დიდად ხელს უწყობდა ხალხის საბრძოლოდ შეიარაღებისა და აღფროვანების საქმეს.

სწორედ ამიტომ იმსახურებდა მაღალ შეფასებას და იხვეჭდა ფართო პოპულარობას საზოგადოების მოწინავე ფენებში ამ ლიტერატურული მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენლის დავით კლდიაშვილის შემოქმედება მისი სამწერლო ბიოგრაფიის პირველი დღეებიდანვე.

ცნობილია, რომ დავით კლდიაშვილის სიჭაბუკის წლებმა, მისი სწავლა-აღზრდის ხანამ სამშობლოსაგან დაშორებით, ჯერ კიევსა და შემდეგ მოსკოვში განვლო, სადაც იგი საშუალო და უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში სწავლობდა. ამ წლების განმავლობაში იგი კარგად დაეუფლა რუსულ ენას, შეისწავლა და შეისისხლხორცა პროგრესული რუსული კულტურის, კერძოდ, დიდი რუსული ლიტერატურის მთელი სიმდიდრე. ადრინდელი ლიტერატურული წრთობის წლებში მომავალმა მწერალმა თავისი პირველი ცდები მხატვრული შემოქმედების დარგში რუსულ ენაზე განახორციელა, შემდეგ მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში გატარებულ წლებში იგი ხელნაწერ ჟურნალს სცემდა რუსულ ენაზე და ამ ჟურნალის მასალის დიდ ნაწილს თვითონ წერდა. ამ წლებში მან რუსულად თარგმნა ნიკო ლომოურის მოთხრობა „ალი“.

თავისი დიდი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის სამზადისის ხანაში დავით კლდიაშვილი ქართულად თარგმნიდა და აქვეყნებდა გერმანული და ფრანგული ლიტერატურის ნიმუშებს. ამრიგად ადრეული სიჭაბუკის წლებშივე იგი გაეცნო და ეზიარა რუსულ და ევროპულ კულტურას. ამ გარემოებას, რასაკვირველია, არ შეეძლო კეთილმყოფელი გავლენა არ მოეხდინა მომავალი მწერლის ერუდიციაზე, არ გაეფართოე-

ბინა მისი ინტერესების სფერო, ინტელექტუალური ჰორიზონტი. მაგრამ მისი აზროვნებისა და მხატვრული ინდივიდუალობის განმაპირობებელ უპირველეს ფაქტორს, მთავარ მასაზრდოებელ წყაროს ქართველი ხალხის ცხოვრება და ქართული კლასიკური მწერლობის სახელოვანი დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციები შეადგენდა. მწერლის ბიოგრაფია ნათლად მოწმობს, თუ როგორ სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული იგი თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის ცხოვრებასთან, როგორ აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში და თავის შემოქმედებასა და მოღვაწეობაშიც ცხოვლად ეხმაურებოდა ცხოვრების ყველაზე აქტუალურ მოთხოვნებს, ცოცხალი სინამდვილის მოვლენებს. დავით კლდიაშვილის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები მთლიანად გამსჭვალულია უღრმესი სიყვარულის გრძნობით ქართული კლასიკური მწერლობის კორიფეებისადმი, როგორც თავისი დიდი მასწავლებლების ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისადმი, აგრეთვე უფროსი თანამედროვეებისა და თანამოკალმეების ვაჟა-ფშაველას, გიორგი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილისადმი. ამრიგად, დავით კლდიაშვილის რეალიზმი და ჰუმანიზმი, მისი შემოქმედების ღრმად დემოკრატიული მიზანსწრაფვა და მოქალაქეობრივი პათოსი ორგანიულად არის ამოზრდილი ქართული საზოგადოებრივი სინამდვილიდან, გასული საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის სახელოვანი ტრადიციებიდან. დავით კლდიაშვილმა განავითარა და აამაღლა ეს ტრადიცია, მან გაამდიდრა და გააფართოვა ქართული კრიტიკული რეალიზმის ცხოვრებისეული სიმართლე, მის გამომსახველობით საშუალებათა არსენალი, მისი ძალა და შესაძლებლობა სინამდვილის მოვლენათა ცოცხლად და შთამაგონებლად წარმოსახვისა. –

თავისი ავტობიოგრაფიული ნაწარმოების მოკლე წინასიტყვაობაში დავით კლდიაშვილი წერს: „მოკლე მოგონებებში არაფერი შეფერადებული არ იქნება. იქნება მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში“. ამ სიტყვებში პირუთვნელი სიმართლით არის დახასიათებული მწერლის მთელი

შემოქმედებითი ბუნება. სინამდვილე, მწერლის მიერ უშუალოდ გაცნობილი და ღრმად განცდილი სინამდვილე წარმოადგენს მისი შთაგონების წყაროს.

დადგენილია, რომ დავით კლდიაშვილის მიერ დახატული ტიპები წარმოადგენენ სინთეტურ სახეებს იმ ადამიანებისა, რომელთაც მწერალი პირადად იცნობდა. თითქმის ყოველ მათგანს ჰყავდა ცოცხალი პროტოტიპი მწერლის გარემომცველ ადამიანურ სამყაროში. ზოგ ასეთ პროტოტიპს მწერალი პირდაპირ გვისახელებს კიდეც თავის მემუარულ თხზულებაში. ცნობილია აგრეთვე, რომ დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა სიუჟეტი უშუალოდ დამყარებულია ნამდვილად მომხდარ ამბებზე, რომელთაც მწერალი გარდაქმნიდა ხოლმე თავისი მხატვრული შემეცნებისა და გარკვეული შემოქმედებითი მიზანდასახულების მიხედვით.

გამჭრიახი და დაკვირვებული თვალი, რომელიც თანაბარი სიღრმით წვდება როგორც ყოფაცხოვრებით დეტალებს, ისე პერსონაჟთა სულიერი ცხოვრების ყოველ კუთხეს, იშვიათი უნარი ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთობის ამათუიმ წვრილმანში მთელი სოციალური ფენისათვის დამახასიათებელ ტიპიურ თვისებათა აღმოჩენისა და წარმოსახვისა, ცოცხალ, ღრმად ინდივიდუალურ ადამიანურ ხასიათთა გამოხატვის უბადლო ნიჭიერება და თხრობის უკიდურესი სიცხადე და ბუნებრიობა შეადგენს დავით კლდიაშვილის, როგორც დიდი რეალისტი მხატვრის, როგორც სიტყვის პირველხარისხოვანი ხელოვანის უმთავრეს ღირსებას. დავით კლდიაშვილი დიალოგის ბრწყინვალე ოსტატია. გმირის მეტყველებას უპირველესი ადგილი უჭირავს მხატვრულ გამომსახველობით საშუალებათა შორის, რომელთა მეოხებით მწერალი ასე ცოცხლად ხატავს თავის პერსონაჟთა მრავალფეროვან გალერეას. მისი მოთხრობების გმირთა ყოველი ფრაზა ზუსტად არის გამიზნული ხასიათის თავისებურებათა დასრულებულად გადმოცემისათვის, არა მარტო ლექსიკური და სინტაქსური სიზუსტით აღწევს დავით კლდიაშვილი უდიდეს გამომსახველობითს ძალას. მწერალს ესმის ყოველი მოქმედი პირის სპეციფიკური ინტონაცია, გამოთქმის კილო, ხმის ელფერიც კი და ყოველი-

ვე ამას გადმოსცემს საოცარი სიცხადით, საგრძნობლად. გასაგონად.

დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა პერსონაჟები წარუშლელი ძალით ცოცხლობენ მკითხველის მეხსიერებაში, რადგან ისინი განზოგადებულ ტიპიურ სახეებსაც წარმოადგენენ და მკაფიოდ გამოძერწილ ღრმად თავისებურ ადამიანურ ხასიათებსაც. თითქმის არასოდეს მწერალი საგანგებოდ არ მიმართავს პერსონაჟის დახასიათებას, მისი გარეგანი პორტრეტის თუ სულიერი სამყაროს თავისებურებათა გაცნობას მკითხველისათვის. მწერალი მხოლოდ ალაპარაკებს და ამოქმედებს თავის გმირებს და ამ მოქმედებასა და მეტყველებაში თანდათანობით იშლება გმირის სულიერი ცხოვრების სურათიც, მისი გარეგნული გამომეტყველებაც ისეთი ფსიქოლოგიური სიმართლით, რომ სამუდამოდ აღიბეჭდება მკითხველის ცნობიერებაში. მწერალი ფლობს ადამიანურ ხასიათთა ხატვის საოცარ საიდუმლოებას. ასევე განუმეორებლად თავისებურია მისი ხელოვნება ყოფაცხოვრებითი მასალის ცოცხლად და კოლორიტულად წარმოსახვისა. აქაც დავით კლდიაშვილი დეტალების, ნიუანსების უბადლო მხატვრად გვევლინება და სწორედ ამ გზით აღწევს აღწერილობის აბსოლუტურ სიზუსტეს და შთამბეჭდავ ძალას. მის მოთხრობებში ჩვენ ვერ შევხვდებით განვრცობილ პეიზაჟებს და მოქმედების განზრახ შენელებას გარემოცვის გამოყოფილად, საგანგებოდ დახასიათებისათვის. მაგრამ თხრობის მსვლელობაში, გმირთა მოქმედებისა და მეტყველების ბუნებრივ განვითარებაში წარმოისახება იმდენად ხელსაღები, კოლორიტული და დასრულებული სურათი ამ გარემოცვისა, რომ ჩვენ თითქოს თვითონ ვცხოვრობთ ამ გარემოცვაში; მწერალს შეუმჩნევლად, ბუნებრივად გადაყავს მკითხველი აღწერილ ურთიერთობათა გარემოში, მის ატმოსფეროში და ემოციურად შეყავს იგი თხრობის მდინარებაში. მხატვრული აღწერილობის ხელოვნების სფეროშიც დავით კლდიაშვილი ფლობს იშვიათ ოსტატობას, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ და მისაწვდომ საიდუმლოებას. ყოფაცხოვრებითი დეტალების აღწერა დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებში არასოდეს არ არის თვითმიზანი. ყო-

ველ აღწერილობას გარკვეული აზრობრივი დანიშნულებაც აქვს — გვისურათებს ტიპიურ გარემოცვას, პერსონაჟთა სოციალურ ვითარებას, მათს ქონებრივ მდგომარეობას, ხასიათის თავისებურებას.

დავით კლდიაშვილის შემოქმედების მკვლევარები რატომღაც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მწერლის მომთხრობელობით ხელოვნებას, მის იშვიათს ოსტატობას გონებამახვილურად ჩაფიქრებული ფაბულის ჩამოყალიბებისა და სიუჟეტური კომპოზიციის სფეროში. დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა სიუჟეტებს არ მოეპოება ანალოგიები არც მშობლიურსა და არც მსოფლიო ლიტერატურაში. მის საუკეთესო ქმნილებებში მოთხრობილი ამბავი უაღრესად ორიგინალურია, დამოუკიდებელი და თვითმყოფი. მათში არაფერია განზრახ შეთხზული მკითხველის დაინტერესებისა და გართობისათვის. ყოველი სიუჟეტური მოტივი მის მხატვრულ ქმნილებებში ღრმა აზრით არის გამსჭვალული და ორგანულად დაკავშირებული ნაწარმოების მთელ იდეურ-ესთეტიკურ შინაარსთან.

ერთი და იმავე სოციალური ვითარების ამსახველი, ერთი და იმავე იდეური ჩანაფიქრის განმასახიერებელი ნაწარმოებნი დავით კლდიაშვილისა აგებულია სრულიად სხვადასხვაგვარ ფაბულურ საფუძვლებზე და ერთმანეთისაგან ღრმად განსხვავებულ სიუჟეტურ სიტუაციებზე, როგორც სრულიად სხვადასხვაგვარი ხასიათისაა ერთდაიმავე სოციალური ფენის წარმომადგენელთა სახეები მწერლის მიერ დახატულ მდიდარ გალერეაში.

მხატვრული სიმართლის მხრივ, ცხოვრებისეულ მოვლენათა ცოცხლად და დამარწმუნებლად წარმოსახვის, ტიპიურ ადამიანურ ხასიათთა მკაფიოდ გამოკვეთის, აღწერილობათა სიზუსტის, თხრობისა და ნახატის ბუნებრიობის მხრივ დავით კლდიაშვილმა დიდად წინ წასწია და აამაღლა ქართული კლასიკური რეალიზმი. მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით მდიდარ ქართულ მხატვრულ პროზას არ ჰყოლია და არა ჰყავს ოსტატი, რომელიც ამ მხრივ დავით კლდიაშვილზე შორს წასულიყოს. სწორედ ამიტომ დაიმკვიდრა დავით კლდიაშვილმა ღირსეული ადგილი ჩვენი ეროვნული მხატვრული

პროზის უპირველეს ოსტატთა, მის კლასიკოსთა შორის. მაღალი საზოგადოებრივი იდეალებით შთაგონებული მწერლისათვის თანაბრად უცხოა სინამდვილის ემპირიულ-ნატურალისტური წარმოსახვაც და ცრუ-რომანტიკული პათეტიკაც. ჰის მხატვრულ ქმნილებებში არაფერია ხელოვნური, მანერული, განზრახ თავზე მოხვეული. მათში ყველაფერი სუნთქავს თანამედროვეობის გრძნობით, ცხოვრებისეული სიმართლით და ბუნებრიობით, მაღალი მოქალაქეობრივი იდეალებით.

დავით კლდიაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ორ ძირითად თემატიურ რკალად იყოფა. პირველ მათგანს ის ნაწარმოებნი შეადგენენ, რომლებშიც მწერალმა რეფორმისშემდგომი დროის ქართული სოფლის, კერძოდ, გლეხობის დუხჭირი ცხოვრება წარმოსახა. მეორე და უმნიშვნელოვანესი ციკლი დავით კლდიაშვილის ქმნილებებისა შეიცავს თავადაზნაურული სამყაროს კვდომის, მისი სულიერი დაკნინების, უკიდურესი ნივთიერი და სულიერი გაღატაკების ამსახველ მოთხრობებსა და პიესებს.

თავის პირველ მხატვრულ ნაწარმოებში — მოთხრობაში „შერისხვა“ მწერალმა დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გამოხატა ის დამღუპველი ზეგავლენა, რასაც ახდენს ადამიანის ხასიათზე, მის ცხოვრებაზე კერძომესაკუთრული შეგნება და მისგან წარმომდგარი ცხოველური ეგოიზმი. ამ მოთხრობის გმირმა მოხუცმა გლეხმა კაცია საგუნაშვილმა ორი მტკაველი საყანე მიწისთვის ბრძოლა გამოუცხადა მთელ სოფელს, გადაიმტერა მეზობლები და ბოლოს აუჯანყდა ღმერთსაც, რომლისადმი რწმენით, შიშითა და ძრწოლით იყო მოცული მთელი მისი არსება. ამ უთანასწორო ბრძოლაში კაციამ დაკარგა სულიერი სიმშვიდე და წონასწორობა, იგი დაუძლურდა, დასნეულდა და მოკვდა ყველასაგან მოძულებული და განკიცხული, მთელი სოფლისაგან გარიყული და განმარტოებული. თავისი გმირის ასეთი უბედური თავგადასავლის მოთხრობით მწერალმა ამხილა ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების უმთავრესი საყრდენი—კერძომესაკუთრული შეგნება და, მაშასადამე, თვით ის წყობილებაც რომელიც ადამიანის ასე გამაბოროტებელ და დამღუპველ ძალას ემყარება

კიდევ უფრო მეტად გაღრმავდა და გამძაფრდა დავით კლდიაშვილის შემოქმედების მამხილებელი პათოსი მომდევნო მოთხრობაში „მსხვერპლი“. აქ მწერალმა დახატა შემზარავი სურათი რევოლუციამდელი ქართული სოფლის, მშრომელი გლეხობის ბნელი და გაუხარელი ცხოვრებისა, სადაც უმეცრების, სიღატაკის, ათასგვარი ცრუმორწმუნეობისა და პატრიარქალური ყანგის ძალა ულმობლად თელავს და ანადგურებს ადამიანის ყოველ კეთილშობილურ მისწრაფებას, მის ადამიანურ ღირსებას, სიცოცხლისა და ბედნიერების უფლებას. მართალია, მოთხრობაში გამოხატული ჯოჯოხეთური წყვდიადის მსხვერპლად სრულიად უდანაშაულოდ დაღუპული ახალგაზრდა გლეხი ქალი — მშვენებითა და კეთილშობილებით აღსავსე მარინეა გამოყვანილი, მაგრამ არსებითად სოფლად გამეფებული სიბნელისა და ბოროტების ამგვარსავე უნუგეშო მსხვერპლს წარმოადგენენ მოთხრობის სხვა პერსონაჟებიც; ამ ორი მხატვრული ნაწარმოებით მწერალმა ისეთი ამაღელვებელი ძალით გამოხატა იმდროინდელი საზოგადოებრივი სინამდვილის წყლულები და მანკიერებანი, რომ შეუძლებელი იყო ამ შემზარავ სურათს გამოძახილი არ ეპოვნა ხალხის გულში, ცხოვრების გარდაქმნისა და განახლების დაუცხრომელი მისწრაფება არ აღეძრა მკითხველთა შეგნებაში.

სიღატაკით და უმეცრებით გონებადაბნელებული, სასოწარკვეთილი გლეხის უნუგეშო ცხოვრების შესახებ მოგვითხრო მწერალმა ღრმა დრამატიზმით გამსჭვალულ მოთხრობაში „მიქელა“. ამ ნაწარმოების გმირმა, მის ოჯახში დატრიალებული უბედურებით დამფრთხალმა და გაბოროტებულმა ღარიბმა გლეხმა მიქელამ ცრუმორწმუნეობრივი ადათის მიხედვით სასიკვდილოდ გასწირა, გამძვინვარებული ბუნების სტიქიის მსხვერპლად აქცია თავისი ავადმყოფი ვაჟი. შეუძლებელია აუღელვებლად წაკითხვა ამ ნაწარმოებისა, რომლის იდეურ პათოსს იმის ჩვენება წარმოადგენს, თუ როგორ სპობს ადამიანის ბუნებაში ყოველგვარ ჰუმანიზმს და კეთილშობილურ საწყისს, თვით მშობლიურ გრძნობასაც კი, ის ყოვლისდამთრგუნველი წყვდიადი, რომელიც სუფევდა სოფლად ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების პირობებში. გლეხობის აუწე-

რელ სიღარიბეს და ამ ნიადაგზე ყოველგვარ კეთილშობილურ ადამიანურ გრძნობათა დაჩლუნგებას ასახავს ავრეთვე მოთხრობა „მრეველი“.

დავით კლდიაშვილის შემოქმედების ამ ციკლის უძლიერეს ნაწარმოებს წარმოადგენს პიესა „უბედურება“, რომელიც მწერალმა პირველი იმპერიალისტური ომის წლებში დაწერა. მძაფრი ტრაგედიული ყღერის ამ ნაწარმოებში ძლიერად არის წარმოსახული ის განუზომელი მწუხარება და უბედურება, რაც ხალხს თავს დაატეხა ბარბაროსულმა იმპერიალისტურმა ომმა.

ეს ნაწარმოებნი ქართული კრიტიკული რეალიზმის საუკეთესო მიღწევათა რიცხვს მიეკუთვნება. მათი იდეურ-ესთეტიკური ღირებულება და მნიშვნელობა შორს სცილდება იმ კონკრეტულ-ისტორიული ვითარების ფარგლებს, რომლებმაც ისინი წარმოშვა და განაპირობა. ეს ნაწარმოებნი ახლაც ამღელვარებენ ჩვენს აზრსა და გრძნობას, წარმართავენ ჩვენს ცნობიერებას ყოველივე ბნელის, ბოროტის, მანკიერისა და დრომოჭმულის წინააღმდეგ, მაღალი, კეთილი, ჰუმანური იდეალების დამკვიდრებისათვის საბრძოლველად.

მაგრამ დავით კლდიაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის უძვირფასეს საგანძურს ის მხატვრული ქმნილებები შეადგენენ, რომლებშიც მწერალმა იმერეთის ვალტაკებული აზნაურობის ყოფა-ცხოვრების მასალაზე შექმნა დიდი გახნოგადებითი მნიშვნელობის ფართო მხატვრული პანორამა, გამომსახველი არა მარტო ფეოდალური სამყაროს მწუხრისა. და დაკნინებისა, არამედ საერთოდ ყოველი დრომოჭმული, წარმავალი, რეაქციული სოციალური ძალის აუცილებელი სასიკვდილო განწირულებისა. „სოლომან მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „ირინეს ბედნიერება“, „დარისპანის გასაჭირი“ — ეს ის უჭკნობი მხატვრული შედევრებია, რომლებითაც დავით კლდიაშვილმა გაამდიდრა და დაამშვენა ჩვენი ეროვნული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. სწორედ ამ ნაწარმოებებში გამობრწყინდა მთელი სისრულით და ძალით ამ დიდი რეალისტის მხატვრული ნიჭიერების ის ძვირფასი თავისებურებანი, რომელთა მეოხე-

ბითაც დავით კლდიაშვილმა სამუდამოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ქართული მწერლობის კლასიკოსთა შორის. სწორედ ამ უჭკნობ მხატვრულ ქმნილებებში ზეიმობს დავით კლდიაშვილის ჰუმანიზმი და რეალიზმი თავის ჭეშმარიტ გამარჯვებას.

თვითეული ეს ნაწარმოები დიდი მხატვრული სიმართლით და სიღრმით გადაგვიშლის თავადაზნაურული წოდების არა მარტო უკიდურეს ნივთიერ გაღატაკებას, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმ სულიერ დაძაბუნებას, დაწვრილმანებას, გაცოფებას და სასოწარკვეთილებასაც. რაც დამახასიათებელია ისტორიის მიერ დასაღუპავად განწირული ყოველი რეაქციული კლასისათვის. მწარედ მოტყუებული და იმედგაცრუებული, უბედური მაჭანკლის სოლომან მორბელაძის, ღვიძლი ძმის დაბადებით უკიდურესად გაცოფებული პლატონ სამანიშვილის, გამოუვალი გაჭირვების შედეგად სოფლიდან გაქცეული და უნუგეშოდ ქალაქში შეხიზნული ოტია ქამუშაძის თავგადასავალი ულმობელი სიმართლით გვიჩვენებს, თუ როგორ დაუზოგავად არღვევდა და აცამტვერებდა სინამდვილე დეგრადირებული აზნაურობის შვილთა ყველა იმედს, მოლოდინს, ოცნებასა და მისწრაფებას, რადგან მათი იმედები და მისწრაფებანი მეტად წვრილმანი და უბადრუკი იყო, ხოლო იმედები და მოლოდინი — უსაფუძვლო და უნიადაგო. ასეთია ბედი ყოველი სოციალური ძალისა, რომელსაც საბოლოოდ ამოუწურავს თავისი განვითარების — ყველა შესაძლებლობა და გაჯიუტებით ხავსს ჩასჭიდებია საკუთარი სავალალო არსებობის რამდენადმე გახანგრძლივებისათვის. ასეთია ძირითადი დასკვნა, რაც ბუნებრივად გამომდინარეობს დავით კლდიაშვილის საუკეთესო მხატვრული ქმნილებებიდან და სწორედ ამაში მდგომარეობს ამ ქმნილებათა მნიშვნელობა და აქტუალობა ჩვენი დროისათვის.

✓რა სასაცილო და თანაც საბრალონი არიან დავით კლდიაშვილის ჯადოსნური კალმით დახატული ის „კუდაბზიკა“ აზნაურები, რომლებიც უკიდურესი ნივთიერი სიღატაკით გამწარებულნი, გააფთრებით ებღაუჭებიან თავიანთ წოდებრივსა და გვაროვნულ უპირატესობას, ყოველგვარი რეალური შინაარ-

სისაგან დაცლილს, უაზრო რუტინად ქცეულ აზნაურულ ტრადიციებს.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში იშვიათია მაგალითი სასაცილოსა და საბრალოს, კომიკურისა და დრამატულის ისეთი ორგანული შეზავებისა, როგორიც მიღწეულია დავით კლდიაშვილის საუკეთესო ქმნილებებში.

დიდი რეალისტი მხატვრის უკომპრომისო პირუთვნელობით მოგვითხრო დავით კლდიაშვილმა თავის გმირთა გამწარებული ცხოვრების ისტორია, მაგრამ მის მიერ დახატული პირქუში სურათი იმდროინდელი სინამდვილისა მოკლებული როდი იყო ნათელ მომავალზე ოცნებას, ცხოვრების გარდაქმნისა და განახლების წინათგრძნობას. პიესაში „უბედურება", რომელიც დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთაგან ყველაზე მუქი საღებავებით არის შესრულებული და განსაკუთრებული ტრაგიკული ფერით გამოირჩევა, მწერალი ერთ-ერთ მოქმედ პირს მაიას ათქმევინებს: „მწუხარება და გაჭირვება არავის გვაკლია, მაგრამ გულმაგრად უნდა ვიყვეთ მაინც!.. თუ ვიმწუხარეთ, თუ კიჯავრეთ, მაშინ სულ წავხდებით. ვინ იცის საწინაოდ რა მოგველის! დღეს ვწუხვართ, ხვალ ეგებ მხიარული დღე გვითენდება... ვინ იცის, ყველაფერი მოსალოდნელია... გულს ნუ გავიტეხთ, იმედს ნუ დავკარგავთ". ასეთს გამამხნევებელს, მომავლის რწმენითა და იმედით აღმაფრთოვანებელ სიტყვას ეუბნებოდა დავით კლდიაშვილი სოციალური და ეროვნული მონობით გაწამებულ თავის ქვეყანას.

მცირე მოცულობის მოთხრობაში „მშობლის ნუგეში" ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ერთადერთი შვილის დაკარგვით თავზარდაცემული უბედური დედა თავის გლოვასა და მწუხარებაში ასეთი რწმენით აღსავსე სიტყვებსაც წარმოთქვამს: „მალე, მალე გათენდება ნათელი ბრწყინვალე დღე... ბედნიერება მოვა ქვეყნად, მოვა! ბნელ ღამეს შესცვლის ნათელი დღე"... ასეთი შთაგონებული რწმენით და იმედით შეჰყურებდა მაშინ მწერალი ჩვენი ქვეყნის მომავალს. და როცა მისი ეს მგზნებარე ოცნება სინამდვილედ იქცა, მხცოვანმა მწერალმა მთელი გულით გაიხარა და ჭაბუკური გატაცებით მხარში ამოუდგა ახალი ცხოვრების მშენებელ

ხალხს. ხანდაზმულობისა და ფიზიკური დაუძლურების მიუხედავად იგი ღრმა ინტერესით თვალყურს ადევნებდა ჩვენი აღორძინებული სამშობლოს, საბჭოთა საქართველოს ზრდა-განვითარებას და აქტიურადაც მონაწილეობდა მისი წინსვლისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლასა და შრომაში.

საბჭოთა წყობილების წლებში დასწერა დავით კლდიაშვილმა რამდენიმე მოთხრობა და ვრცელი ავტობიოგრაფიული თხზულება „ჩემი ცხოვრების გზაზე". ეს უკანასკნელი ქართული მემუარული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის" გარდა ქართულ მწერლობაში არ შექმნილა ამ ჟანრის სხვა თხზულება, რომელიც თავისი ფართო შემეცნებითი მნიშვნელობით და თხრობის მხატვრული ძალით დავით კლდიაშვილის მემუარებს შეედრებოდეს.

ქართველი ხალხი, ქართული პრესა და ლიტერატურული კრიტიკა დიდი ინტერესით და მოწონებით ეგებებოდა დავით კლდიაშვილის ყოველ ახალ ნაწარმოებს მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის მთელ გზაზე. ამიტომაც თვით მწერალს თავისი შემოქმედებითი ვზა ბედნიერად განელილ გზად მიაჩნდა. საბჭოთა საქართველომ 1930 წელს დიდი ზეიმით აღნიშნა დავით კლდიაშვილის სამწერლო მოღვაწეობის 40 წლისთავის იუბილე. მას პირველს მიეკუთვნა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მწერლის მაღალი სახელწოდება. ხოლო როცა დავით კლდიაშვილი გარდაიცვალა, ქართველმა ხალხმა მეოცე საუკუნის მწერალთაგან იგი პირველი მიაბარა მთაწმინდის მიწას სამუდამოდ განსასვენებლად ჩვენი ეროვნული კულტურის უდიდეს მოღვაწეთა გვერდით.

რაც დრო გადის, მით უფრო მეტის დიდებით ამოსება დავით კლდიაშვილის უკვდავი სახელი, მით უფრო ფართო ადგილს იჭერს მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა საბჭოთა ხალხებისა და მთელი მოწინავე კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში.

ქართული საბჭოთა მწერლობა სწავლობს და ყოველთვის ისწავლის ამ დიდი კლასიკოსისაგან მხატვრული შემოქმედების

მაღალ იდეურობას, ჭეშმარიტ ხალხურობას და ცხოვრებისეულ სიმართლეს. √

*

დავით კლდიაშვილი დაიბადა 1862 წლის 11 სექტემბერს, იმერეთში, ახლანდელი თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში, ხელმოკლე აზნაურის, სამსონ კლდიაშვილის ოჯახში. ბავშვობის წლები თავის სოფელში და აგრეთვე „დედულში"— ქუთაისიდან წყალტუბოსაკენ მიმავალ გზაზე მდებარე პატარა სოფელში — ხომულში გაატარა.

დავითის დედის -- კესარია ღოღობერიძის მშობლების ოჯახი წარმოადგენდა შეძლებული იმერელი აზნაურის ტიპიურ ოჯახს, რომელმაც დავითის ბავშვობისა და ყრმობის წლებში განიცადა ის რღვევა და ნივთიერი დაქვეითება, რაც დამახასიათებელი იყო მთელი იმდროინდელი აზნაურული წოდებისათვის. ამრიგად, როგორც კლდიაშვილების, ისე ღოღობერიძეების ოჯახში მომავალ მწერალს ბავშვობიდანვე ორგანულად უნდა შეეგრძნო და განეცადა თავადაზნაურული კლასის დაკნინება-გადაგვარების ის დრამა, რომელიც შემდეგ მისი მხატვრული შემოქმედების ძირითად თემად იქცა. მაგრამ თავისი ორივე ბაბუის ოჯახში დავითმა ბავშვობიდანვე გაიცნო და შეისისხლხორცა აგრეთვე გლეხკაცობის ყოფა-ცხოვრებაც, მისი მაშინდელი დუხჭირი ხვედრიც.

აღწერს რა თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში მისი ერთი ბაბუის — ნიკო ღოღობერიძის მდიდრულ სახლ-კარსა და ეზო-მიდამოს, დავით კლდიაშვილი წერს: „ყოველ ამას, აქ მოთავსებულ ქონებას, რასაკვირველია, ბევრი მომვლელი ხელი ეპირვებოდა და ასედაც იყო, — სამზარეულოში აუარებელი მოსამსახურე ხალხი ფუსფუსებდა და ტრიალებდა". სწორედ ამ „მოსამსახურე ხალხის" საზოგადოება იზიდავდა განსაკუთრებით დავითის ყურადღებას. მწერალი მოგვითხრობს: „საყვარელი სამყოფი ჩემთვისაც და სხვა ბავშვებისათვის იყო სამზარეულო სახლი, სადაც, როგორც ვთქვი, აუარებელი ხალხი ფუსფუსებდა. მიყვარდა აქ ყოფნა, აქ შუაცეცხლის პირას მოყაყანე ხალხში გარევა. რა ზღაპარს, რა არაკს, რა ამბავს, ხუმრობას არ გავიგონებდი ხოლმე! ვუჯექი მუხ-

ლებზე ხან ერთს, ხან მეორეს და ვუსმენდი ამათ გაუთავებელ ლაპარაკს".

კიდევ მეტად იყო დაახლოებული გლეხობასთან დავითის მეორე ბაბუის — კლდიაშვილის ოჯახი. დავით კლდიაშვილის მემუარებში ვკითხულობთ: „მეორე ბაბუა ჩემი, სოფელ სიმონეთში მცხოვრები, ღარიბი აზნაური იყო. ღარიბმა მაინც მოახერხა თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახის შენახვა. დაათხოვა ყველა ქალიშვილი და ორ უფროს ვაჟს ერთგვარი სწავლაც მიაღებინა ქუთაისში. მოხუცებულს ურჩებოდა უმცროსი ვაჟი სამსონი, მამა ჩემი, და რომ მისი სიკვდილის შემდეგ პატარას ყოლებოდა. გულითადი მომვლელ-მზრუნველი, მან მოიწვია მეზობელი გლეხი დათიკა გიორგაძე თავისი ცოლით, მამობილად მოჰკიდა შვილს და მისი ბედ-იღბალი იმათ ჩააბარა. ამათაც სავსებით გაამართლეს მოხუცებულის იმედი და ნამდვილი დედ-მამობა გაუწიეს შვილობილს, ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ადრე ობლად დარჩენილს".

ცხადია, რომ ასეთ გარემოებას დავითის დედ-მამის ოჯახი განუყოფლად უნდა დაეახლოებინა მეზობელ გლეხობასთან და ასეც იყო. მწერალი მოგვითხრობს: „საზოგადოდ მეზობლები ძალიან შემოკრებილი ჰყავდა დედაჩემს. ჩვენი სახლის უკანა აივანზე ხშირად იცოდნენ მეზობლის ქალებმა თავის მოყრა. მოდიოდნენ თავიანთ ხელსაქნარით და საღამომდი იყვნენ ხელსაქნარში და მუსაიფში გაბმულნი. ზაფხულობით, კვირა უქმე დღეს თითქმის ყველა მეზობელი გლეხები ჩვენს ეზოში იყვნენ თავშეყრილნი და სხდებოდენ ან ნიგვზის ჩრდილში, ან კვინცხის ქვეშ და იყვნენ ერთ სიცილში, ოხუნჯობაში და ხან საქმიან ლაპარაკში".

დავითის ბავშვობის მოგონებანი აღსავსეა თავისი ორივე ბაბუის ოჯახებში გაზრდილი, თუ ამ ოჯახებთან დაახლოებული გლეხების სახეებით, რომელთაც მწერალი წრფელი სიყვარულით აგვიწერს და გვაცნობს.

ასეთმა გარემოცვამ, ხალხთან ასეთმა სიახლოვემ, უეჭველია, ღრმა ზეგავლენა მოახდინა მომავალი მწერლის შეგნებაზე, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ხასიათზე. თვით მწერალი დიდად აფასებს თავისი ბავშვობის ასეთ გარემოც-

ვას. იგი წერს: „ამან შეაყვარა ჩემი თავი ჩვენს მეზობლებს და ტკბილ სიყვარულში გამატარებინა ჩემი ბავშვობა. მე რომ ეზოდან ფეხს გადავდგამდი — სახლში პირდაპირ დატვირთული მივდიოდი ხოლმე, მე და ჩვენსა გოგოთ მდგომი ელისაბედი — არ იქნებოდა, რომ ჩემს დამნახველს ან ქოჩორა ვარიკა არ ეჩუქნა, ან ვაშლი, ბია, ჩურჩხელა, ტკბილეკვერი და ამგვარები. ამ სიყვარულიანობის წყალობით ჩემი გულიც ადამიანის სიყვარულს ეჩვეოდა და სწავლობდა“.

წერა-კითხვა დავითს თავისმა დედამ შეასწავლა. შემდეგ, შვიდი წლისა იგი მამამ ქუთაისს წაიყვანა და სასწავლებელში მიაბარა. ძნელი იყო სოფლად აღზრდილი ბავშვისათვის ქუთაისში იმდროინდელ სკოლაში გაბატონებულ ატმოსფეროსთან შეგუება და უცხო ოჯახში ცხოვრება (რუსულის შესწავლის მიზნით, დავითი რუსი „ლეკარის“ — ექიმის ოჯახში დააბინავეს), მაგრამ უშედეგო „გაბრძოლების“ შემდეგ იგი იძულებული გახდა ბედს დამორჩილებოდა და ახალ გარემოცვას შეგუებოდა. იგი მალე დაუახლოვდა მოსწავლეებს და თავისი დიასახლისის დახმარებით წიგნების კითხვასაც შეუდგა. პირველი ქართული წიგნი, რომელიც ბავშვმა წაიკითხა, იყო ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“. ნაწარმოებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა დავითზე. ალბათ იქ აღმოცენდა საფუძველი იმ ღრმა იდეური სიახლოვისა, და ნათესაობისა, რომლითაც შემდეგ დავით კლდიაშვილი დაუკავშირდა ილია ჭავჭავაძის დიდ ლიტერატურულ სკოლას, ქართული კლასიკური რეალიზმის სახელოვან ტრადიციებს.

დიდხანს როდი დარჩენილა დავითი ქუთაისში, მრევლოვის სკოლაში. იმ ხანებში მთავრობა ყოველწლიურად საქართველოდან თავადაზნაურთა ოჯახებიდან შერჩეულ 80 ბავშვს აგზავნიდა რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში აღსაზრდელად. თვითმპყრობელური ხელისუფლება მიზნად ისახავდა ამ ბავშვებისაგან შეექმნა ნაძალადევად გადაგვარებული, მშობლიურ ნიადაგს და კულტურას მოწყვეტილი „ადგილობრივი“ სამხედრო არისტოკრატია, როგორც თავისი საიმედო საყრდენი ხალხის დამორჩილებისა და გადაგვარების საქმეში.

ვინაიდან შერჩეულთა სწავლა-აღზრდა მთავრობის ხარჯ-

ზე ხდებოდა, მშობლები, განსაკუთრებით ნაკლები შეძლების თავადები და აზნაურები სიამოვნებით თანხმდებოდნენ თავიანთი შვილების გაგზავნაზე სამხედრო გიმნაზიებსა და კორპუსებში.

ასეთ ბავშვთა შორის მოხვდა დავით კლდიაშვილიც და 1872 წლის ზაფხულში სამხედრო სასწავლებლებისათვის შერჩეულ სხვა ბავშვებთან ერთად იგი ზღვით წაიყვანა ვიღაც მაიორმა, რომელმაც ბავშვი დანიშნულებისამებრ ჩააბარა კიევის სამხედრო გიმნაზიას. დავითმა ჩინებულად ჩააბარა გამოცდა და ჩაირიცხა ხსენებულ გიმნაზიაში. ცხრა წლის ბავშვი მოექცა ახალ, უცხო გარემოცვაში. მოწყვეტილი და დაშორებული თავის სამშობლოს, მშობლებსა და ნაცნობ-მეგობრებს.

ბავშვი მთლიანად მოექცა სასწავლებლის მესვეურთა ხელში, რომლებიც უპირველეს მიზნად სწორედ იმას ისახავდნენ, რომ აღმოეფხვრათ ბავშვის შეგნებიდან ყველაფერი მშობლიური, დაევიწყებინათ მისთვის საკუთარი ენა, აღეზარდათ იგი თვითმპყრობელური წყობილების ერთგულ ოფიცრად.

სამი წლის განმავლობაში არ დაბრუნებულა დავითი სამშობლოში. და ამდენი ხნის უცხოობაში ყოფნამ ისეთი ზეგავლენა მოახდინა ბავშვზე, მან იმდენად გადაივიწყა ქართული ენა, რომ როდესაც სამი წლის შემდეგ საზაფხულო არდადეგებზე იგი საქართველოში ჩამოვიდა, თარჯიმანის დახმარება დასჭირდა, რომ დედას და მეზობელ-ნათესავებს დალაპარაკებოდა.

თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში დავით კლდიაშვილი ამგვარად აღწერს მშობლიურ სოფელში თავის ამ დაბრუნების სურათს: „ორი კვირა ქუთაისში დავრჩი და რადგან დედაჩემმა რუსული არ იცოდა და მე ქართული — ამიტომ წავიყვანე თარჯიმნად ჩემი თანატოლი ბიძაშვილი და წავედი სოფელში დედასთან.

საღამო იყო ჩვენ რომ მივედით. მთლად ეზო და აივანი სავსე იყო თავშეყრილი მეზობლებით. სიხარულის ტირილით შემხვდა დედა, რომელიც მეტად დაავადმყოფებულიყო ჯავრისაგან ამ სამი წლის განმავლობაში. სათითაოდ გულში მი-

ხუტებდნენ ქალები და დედაჩემი მახსენებდა: ეს ბებია მელანოა, შენ გენაცვალე, ეს მაია, ეს ელენე, ეს მარია. ეს დაჯიაყველა თვალცრემლიანი სიყვარულით მეხვეოდა და მეალერსებოდა. დიდი გასაჭირი ადგა საწყალს ჩემს ბიძაშვილს — მრავლად თავშეყრილი კაცები იძლეოდნენ ათას კითხვას და ყველასთვის პასუხი იყო საჭირო. ერთმა ითხუნჯა: ბავშვს დასამუნჯებლად ბარემ აქვე დავამწყვდევდი ოთახში, რაღა რუსეთში აგზავნიდით, თქვე დალოცვილებოო". ეს სტრიქონები ცხოვლად გვიხატავენ იმ დამამახინჯებელ ზეგავლენას, რასაც ახდენდა ახალგაზრდობაზე ბიუროკრატიული სულისკვეთებით გამსჭვალული იმდროინდელი სკოლა.

სოფლად გატარებული ზაფხულის განმავლობაში დავითმა გაიხსენა მშობლიური ენა, შემდეგ კიევში მან თან წაიღო ქართული წიგნები, მალე იგი გაეცნო და დაუახლოვდა კიევის სასულიერო აკადემიაში მოსწავლე ქართველებს, რომელთა შორის იყო ჩვენი ცნობილი ხალხოსანი მწერალი ნიკო ლომოურიც. ახლად გაცნობილთა მეოხებით დავითი დაუკავშირდა პროგრესულად განწყობილ ახალგაზრდობის წრეებს, შეითვისა ხალხოსნური იდეები და განიმსჭვალა თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის, ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლის განწყობილებით.

1880 წელს დავით კლდიაშვილმა წარჩინებულად დაამთავრა კიევის სამხედრო გიმნაზია და სწავლის გასაგრძელებლად გადაყვანილ იქნა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში. ამ სასწავლებელს სათავეში ედგა თავისი სისასტიკით განთქმული რეაქციონერი გენერალი სამოხვალოვი. თუ როგორ პირობებში გაატარა დავით კლდიაშვილმა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში ყოფნის ორი წელიწადი, ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მისი მემუარების შემდეგი სტრიქონები: „ორი წლის სულთამხუთავი რეჟიმის შემდეგ, 1882 წ. აგვისტოში გავათავე სამხედრო სასწავლებელი და გამოვსწიე სამსახურისათვის ნარჩევ ადგილს — ბათუმში, რომელიც იმ დროს „პორტო-ფრანკო" იყო".

აქ მთავრდება დავითის სწავლა-აღზრდის წლები და იწყება მისი ცხოვრების ახალი ხანა — ხანა მეფის არმიაში სამ-

სახელისა, სადაც დავითმა თავიანი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა. ცხადია, რომ თავისი სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტს, პროგრესული იდეებით გატაცებულ ახალგაზრდას — დავით კლდიაშვილს არაფერი ჰქონდა საერთო თვითმპყრობელურ სამხედრო არისტოკრატიასთან. მეფის არმიაში სამსახურის მთელი ხნის განმავლობაში დავითს განუწყვეტლივ ბრძოლის წარმოება უხდებოდა - თავის შავრაზმელ უფროსებთან, თუ თანამოსამსახურე ოფიცრებთან, რომელთა უმრავლესობაც დიდმპყრობელური სულით იყო გამსჭვალული და ხალხისადმი უნდობლობისა და ზიზღის სულისკვეთებით აღზრდილთ თავიანთ პირდაპირ მოწოდებად მიაჩნდათ ჯარისკაცის დამონება, მისი პიროვნების ფეხქვეშ გათელვა.

ასეთი იყო მეფის ოფიცრობის დამოკიდებულება ჯარისკაცებისადმი, ხალხისადმი. ასეთი იყო დავითის პირდაპირი უფროსებისა და თანამოსამსახურეების უმრავლესობა და ამიტომაც გასაგებია, თუ რამდენად ძნელი და აუტანელი უნდა ყოფილიყო დავით კლდიაშვილისათვის ასეთ ატმოსფეროში. ასეთ ადამიანთა გარემოცვაში ცხოვრება და მუშაობა.

დავითს განზრახული ჰქონდა, რომ პირველსავე მოსახერხებელ შემთხვევაში თავი დაენებებინა სამხედრო სამსახურისათვის, მაგრამ თუ შემდეგ ეს განზრახვა აღარ განუხორციელებია, ეს იმიტომ, რომ მეფის ჯარის ოფიცრის მდგომარეობა საიმედო საფარად გადაიქცა მისთვის, რათა უფრო ეჭვმიუტანლად და გაბედულად ეწარმოებია თავისი საზოგადოებრივი საქმიანობა, ხალხის საკეთილდღეოდ მიმართული მოღვაწეობა.

იმ დროს, როდესაც დავითმა სამხედრო სამსახური დაიწყო, ბათუმი ერთ პატარა, უსიცოცხლო, პრიმიტიულად აგებულ დაბას წარმოადგენდა ოთხი ათასი მცხოვრებით, რომელთა რიცხვში იქ მდგომი გარნიზონის ნაწილებიც შედიოდა. მაგრამ სწორედ ამ დროს იწყებოდა ბათუმის ახალი ისტორია, მისი სწრაფი ზრდისა და განვითარების ხანა. 1883 წელს დამთავრდა თბილისი—ბათუმის რკინიგზის მშენებლობა და ამ გარემოებამ ერთბაშად სახე შეუცვალა ქალაქს. მისი მიდამოები-

საკენ დაიძრნენ შეძლებული ვაჭრები და მსხვილი მოხელეები. ისინი მუქთად ყიდულობდნენ მიწებს — ჩაისა და მანდარინის პლანტაციების გასაშენებლად, ზღვისპირა კურორტების ასაშენებლად. და ეს უცხო ელემენტები თავიანთი შეძლებისა და გავლენის მეოხებით ხელში იგდებდნენ მზარდ ქალაქსა და მის მიდამოებს, ჩაგრავდნენ და ავიწროებდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ, მშობლიური მიწა-წყლიდან ერეკებოდნენ მათ.

ბათუმის „პორტო-ფრანკობის" გაუქმებამ და ნავსადგურის მოწყობამ სწრაფად გამოაცოცხლა ქალაქი, გააცხოველა მშენებლობა, ვაჭრობა-მრეწველობა, სხვადასხვა ხასიათის საქმიანობა. ქალაქს ეპატრონებოდნენ უცხოელი კაპიტალისტები და შავრაზმელი მოხელეები, რომელთაც ეზიზღებოდათ ყველაფერი ადგილობრივი, ეროვნული, პროგრესული.

საჭირო იყო ბრძოლა ამ რეაქციული ელემენტების წინააღმდეგ, ბრძოლა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული და პოლიტიკური უფლებების დასაცავად. ხალხის კულტურული დონის ასამაღლებლად, მოწინავე, პროგრესული იდეების დასანერგავად.

და ამ ბრძოლაში მთელი თავისი გატაცებით და ენერგიით ჩაება ახალგაზრდა დავით კლდიაშვილი. ბათუმში მოღვაწე სხვა მოწინავე ქართველ ინტელიგენტებთან ერთად (რომელთა შორის იყვნენ ცნობილი მწერალი გიორგი წერეთელი, ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ვოლსკი და სხვები) დავითი იყო ერთ-ერთი ინიციატორი ბათუმის მოწინავე ძალების დარაზმვისა, მთელ რიგ კულტურულ-საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოწყობისა და ფართო საზოგადოებრივი საქმიანობის გაშლისა ამ ახლად გამოცოცხლებულ ქალაქში.

დავითის აქტიური ინიციატივით და მონაწილეობით მოეწყო ბათუმში საზოგადო საკრებულო, რომლის დაარსებამაც გამოიწვია იქ ქართველ მსახიობთა საგასტროლოდ ჩასვლა. აქ პირველად გაეცნო დავით კლდიაშვილი ქართული სცენის კორიფეებს: ლადო მესხიშვილს, ვასო აბაშიძეს, მაკო საფაროვას და სხვ. აქ პირველად გაეცნო და დაუმეგობრდა იგი დიდ ქართველ ბელეტრისტს ალექსანდრე ყაზბეგს, რომელიც მაშინ ქართულ თეატრში მოღვაწეობდა და დასახელებულ მსახიო-

ბებთან ერთად მოგზაურობდა საქართველოს დაბა-ქალაქებში წარმოდგენების გასამართავად.

დავით კლდიაშვილის მონაწილეობით მოეწყო ბათუმში უფასო სკოლა ღარიბთა ბავშვებისათვის. საკვირაო სკოლები მუშებისათვის, ურთიერთდამხმარე საკრედიტო ამხანაგობა გაჭირვებაში მყოფ მუშებისათვის ნივთიერი დახმარების გასაწევად და სხვ. დავითი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქალაქის თვითმმართველობის ირგვლივ გაჩაღებულ ბრძოლაში, რათა ქალაქის ცხოვრების სადავეები ბნელ და რეაქციულ ელემენტებს არ ჩავარდნოდა ხელში. დავით კლდიაშვილი უკვე ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან სისტემატურად ათავსებდა კორესპონდენციებს ქართულ პრესაში და ამ საშუალებასაც იგი მოხერხებულად იყენებდა თავისი პროგრესული საზოგადოებრივი მიზნებისათვის საბრძოლველად.

მთელ ამ საქმიანობას და ბრძოლას დავითი არა ერთხელ ჩაუყენებია მეტად სახიფათო მდგომარეობაში, არა ერთხელ უგემებია მისთვის დევნა და სასტიკი ანგარიშგასწორება მთავრობის მოხელეთა მხრივ, მაგრამ ეს ვერ აშინებდა თავისი ხალხისადმი უანგარო სიყვარულით გატაცებულ ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწეს. სამხედრო სამსახურში დავითი ჯარისკაცთა ნამდვილი მფარველი და ქომაგი იყო, მათი გულისხმიერი მზრუნველი და მოამაგე. ამ ნიადაგზეც მას გამუდმებული შეჯახება უხდებოდა ხოლმე უფროსებთან და თანამოსამსახურეებთან.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში დავითი გაეცნო და დაუმეგობრდა პავლე მაჭავარიანის ოჯახს. ამ დაახლოვების შედეგად მან ცოლად შეირთო პავლე მაჭავარიანის ასული მარიამი. ამავე წლებში გამოქვეყნდა დავითის პირველი მოთხრობები და გაიშალა მისი დიდი შემოქმედებითი ცხოვრება.

ოთხმოცდაათიან წლებში ბათუმში ფართოდ განვითარდა ნავთის მრეწველობა, რამაც დიდძალი მუშახელი მიიზიდა. მრეწველობის ზრდამ, მუშათა დაგროვებამ ბუნებრივად გამოიწვია მუშებსა და კაპიტალისტებს შორის ინტერესთა წინააღმდეგობის გამწვავება და ბათუმში მალე ნამდვილი კლასთა ბრძოლა გაჩაღდა.

დავით კლდიაშვილის თვალწინ გაიარა ბათუმში ქართველი პროლეტარიატის კლასობრივი დარაზმვის, მისი რევოლუციური აღმავლობის პროცესმა და, როგორც მოწინავე ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დიდი ჰუმანისტი და პატრიოტი, რა თქმა უნდა, ვერ დარჩებოდა ამ დიდი მოძრაობის მარტო მეთვალყურედ, თუმცა მე-60 წლების მოღვაწეთა და ხალხოსანთა იდეების ნიადაგზე აღზრდილი იგი უშუალოდ არ ყოფილა დაკავშირებული პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელ ორგანიზაციასთან, ამ ბრძოლის თეორიასთან და სტრატეგიასთან.

დავითს ახლო ნაცნობობა და მეგობრობა ჰქონდა ბათუმის მოწინავე მუშებთან, ყოველმხრივ თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა მათ და დიდი სიყვარულითა და ნდობითაც სარგებლობდა მუშათა შორის.

დავითის მემუარები ღრმად არის აღბეჭდილი იმ წრფელი მღელვარებით, რომლითაც იგი მუშათა რევოლუციური ბრძოლის აღმავლობას განიცდიდა. თავის ამ ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში დავითი სხვათა შორის აგვიწერს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდს საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ისტორიიდან — 1902 წლის მარტში ბათუმში მომხდარ დიდ შეჯახებას რევოლუციურ მუშებსა და მეფის მთავრობას შორის. ბათუმის პროლეტარიატის ამ დიდი საბრძოლო დემონსტრაციის დღეს ქალაქში სამორიგეოდ გამოყვანილი იყო ჯარისკაცთა ის გუნდი, რომელსაც დავითი მეთაურობდა. ამ შემთხვევის გამო დავითი უშუალო მოწმე და მონაწილე გახდა მთავრობის ჯარებსა და რევოლუციურ მუშებს შორის მომხდარი სისხლიანი შეტაკებისა. რასაკვირველია, დავითის გუნდს ერთი ტყვიაც არ გაუსვრია, დავითი თვით მუშების მოთხოვნით თარჯიმნად იყო მოწვეული გუბერნატორსა და მუშებს შორის წარმოებულ მოლაპარაკებისას.

დავით კლდიაშვილი დიდი გულისწყრომით მოგვითხრობს მეფის მოხელეთა მიერ ჩადენილი მხეცობის, მათი პროვოკატორების მიერ ატეხილი სროლისა და საშინელი სისხლისღვრის შესახებ. ამ ამბავმა თავზარდამცემი გავლენა იქონია ოფიცრის ფორმაში ჩაცმულ ქართველ პატრიოტსა და ჰუმა-

ნისტზე. იგი ვერ შერიგებოდა იმ მდგომარეობას, რომ ასეთ წუთებში, ნებით თუ უნებლიეთ, ის მეფის ჯარის ოფიცერთა რიგებში აღმოჩნდა.

„დიახ, რა მინდოდა მე ამ რიგებში? რატომ ვხდები მოწმე ამგვარი საშინელებისა, ამ საზიზღროებისა! ო, რა ტანჯვა გამოვიარე!

გარეტებული დავდიოდი მთელი საღამო. მიჩლუნგებული გონება აღარ მუშაობდა.

ამ დღეს განცდილმა სულიერმა მღელვარებამ ღრმა კვალი დააჩინა დავითის მთელ ცხოვრებას, გასტეხა მისი ჯანმრთელობა, სამუდამოდ დაასნეულა იგი.

ბათუმის ამბებთან დაკავშირებით მთავრობამ გადაწყვიტა დავით კლდიაშვილი დროებით მაინც თავიდან მოეშორებინა და ამ განზრახვით იგი პეტერბურგს გაიგზავნა. აქ დავითმა ინახულა სამართალში მიცემული ბათუმელი რევოლუციონერი მუშების დამცველად პეტერბურგიდან მომავალი ვექილი — ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და დაწვრილებით გააცნო მას საქმის ნამდვილი ვითარება, რასაც გულმოდგინედ მალავდნენ ოფიციალური წრეები.

ბათუმის 9 მარტის ამბებმა დიდი გამოძახილი ჰპოვა იმდროინდელ რუსეთში. ამ ფაქტს გამოეხმაურენ არა მარტო დიდი ლენინი და ბოლშევიკური პრესა, არამედ იმდროინდელი პროგრესული ინტელიგენციის ფართო წრეებიც. ცნობილია, თუ რა დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ ფაქტისადმი ლევ ტოლსტოიმ.

დავით კლდიაშვილი დაესწრო პეტერბურგში საიდუმლოდ შემდგარ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა იმ კრებას, რომელმაც მოისმინა ბათუმიდან დაბრუნებული ადვოკატის ანდრონიკაშვილის მოხსენება 9 მარტის ამბების შესახებ. კრებამ ოვაცია გაუმართა დავით კლდიაშვილს, როგორც მოწინავე ქართველ მწერალს და ინტელიგენტს.

პეტერბურგიდან ბათუმში დაბრუნებული დავით კლდიაშვილი მოექცა იმ გამძაფრებულ სოციალურ ვითარებაში,

რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა 1905 წლის რევოლუციას. რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში დავითის ბინაზე არა ერთ რევოლუციონერს უპოვია თავშესაფარი. დავითი ფარულად ტყვიებსაც კი აწვდიდა მოძრაობის მონაწილე მუშებს.

დავითმა აშკარა მონაწილეობა მიიღო იმ დიდ პოლიტიკურ დემონსტრაციაში, როგორადაც გადაიქცა ოდესაში ებრაელთა დარბევის დროს შავრაზმელების მიერ ვერაგულად მოკლული ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის — საბა კლდიაშვილის ნეშტის ჩამოსვენება ბათუმში და მისი დაკრძალვა ქუთაისში.

ამ ნაბიჯის გამო დავითი დააბეზღეს მთავრობის წინაშე. იგი სასტიკი სასჯელის დასადებად თბილისში გაიწვია მძვინვარე შავრაზმელმა გენერალმა გრიაზნოვმა. დავითი გადაარჩინა საბედნიერო შემთხვევამ — სისხლიანი გრიაზნოვის მოკვლამ არსენა ჯორჯიაშვილის მიერ.

რეაქციის გამარჯვების შემდეგ დავით კლდიაშვილს არ დაუვიწყეს ეს „დანაშაული“ და იგი აიძულეს სამხედრო სამსახური დაეტოვებინა, — ფაქტიურად დაითხოვეს სამსახურიდან. ამ გარემოებას დიდად არ შეუწუხებია დავითი. იგი საცხოვრებლად გადასახლდა ქუთაისში და ჯერ ქალაქის თვითმმართველობაში, შემდეგ შავი ქვის მრეწველთა საბჭოში დაიწყო მუშაობა.

ამ წლებში იგი თავის ძალ-ღონეს უმთავრესად საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობას ანდომებდა. მწერალი კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდა ქართული კულტურისა და მწერლობის ისეთ დიდებულ მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.

პირველი იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე, 1914 წელს, დავითი, როგორც ოფიცრად ნამყოფი, კვლავ სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. თავდაპირველად დაბა სენაკში (ახლანდელი ქალაქი ცხაკაია) ცხოვრობდა, სადაც მისთვის მიჩნეული ჯარის ნაწილი იდგა, ხოლო შემდეგ თავის პირდაპირ უფროსთან, გენერალთან შეუთანხმებლობის გამო ტრაპეზუნდისკენ გაგზავნეს. წელიწად-ნახევარი გაატარა დავითმა სამსახურის

ამ ახალ ადგილზე ლაზისტანში. დავითი მალე გაეცნო და დაუახლოვდა ლაზებს. ზოგიერთ ადგილობრივ მკვიდრს დაუმეგობრდა კიდეც და ყოველმხრივ ეხმარებოდა მათ, იფარავდა იმ ძალადობისაგან, აბუჩად. აგდებისა და შეურაცხყოფისაგან, რასაც ხალხი განიცდიდა გათავხედებული მოხელეებისა და სამხედრო პირებისაგან. ამ ნიადაგზე დავითს აქაც მწვავე შეჯახება მოუხდა ერთ-ერთ დიდი თანამდებობის პირთან. ამის გამო დავით კლდიაშვილი ბათუმში გამოიძახეს და სასტიკად დასჯას უპირებდნენ. ალბათ დახვრეტა არ ასცდებოდა, რომ თებერვლის რევოლუციას არ მოესწრო და არ გადაერჩინა იგი.

არმიიდან დაბრუნებული დავით კლდიაშვილი მცირე ხნით ქუთაისში ცხოვრების შემდეგ, თავის მშობლიურ სოფელში — სიმონეთში დასახლდა და იქ, თანშეზრდილ და საყვარელ მეზობელ-მეგობართა შორის გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი წლები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას მხცოვანი მწერალი აღტაცებით შეეგება. ამ დიდ ისტორიულ მოვლენაში მან თავისი უწმინდესი მისწრაფებების — თავისი სამშობლოს საბოლოო განთავისუფლებისა და აღორძინების, მშობელი ხალხის ჰეშმარიტი კეთილდღეობის განხორციელება დაინახა. მოხუცებულობისა და ფიზიკური დაუძლურების მიუხედავად, იგი დიდი ხალისით მონაწილეობდა საბჭოთა კულტურის მშენებლობისათვის გაშლილ მუშაობაში. თავისი გამოსვლებით მწერალთა კონფერენციებზე, თუ სხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ შეკრებებზე იგი მოუწოდებდა ქართველ ინტელიგენციას გამარჯვებული პროლეტარული ხელისუფლების ირგვლივ დარაზმვისაკენ და თვითონ იძლეოდა მისაბაძ მაგალითს შემოქმედებითი ძალების გულწრფელი თანამშრომლობისა ახლად აღორძინებული სამშობლოს, საბჭოთა საქართველოს მესვეურებთან.

დავითი ახალი ძალით და ენერგიით აგრძელებდა შემოქმედებით მუშაობას, სისტემატურად თანამშრომლობდა საბჭოთა პერიოდის სალიტერატურო ჟურნალებში „კავკასიონში", „დროშაში", „მნათობში" და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაწერა და გამოაქვეყნა

მან თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ვრცელი ნაწარმოები „ჩემი ცხოვრების გზაზე“. ეს ჭეშმარიტად მაღალმხატვრული მატიანეა არა მარტო მწერლის პირადი ბიოგრაფიისა, არამედ ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე.

1930 წელს საბჭოთა საქართველომ დავით კლდიაშვილს სამწერლო მოღვაწეობის ორმოცი წლის იუბილე გადაუხადა. ეს იყო ნამდვილი სახალხო დღესასწაული. მადლიერმა ხალხმა ღირსეულად დააჯილდოვა თავისი ღვაწლმოსილი მწერალი. საბჭოთა ხელისუფლებამ მას რესპუბლიკის სახალხო მწერლის მაღალი წოდება მიანიჭა. ცრემლნარევი სიხარულით აღსავსე მღელვარე სიტყვებით გადაუხადა მადლობა დავით კლდიაშვილმა ღირსეულად დაფასებისათვის თავის სამშობლოს, მშობლიურ ხალხს, მის ხელისუფლებას. იგი ლაპარაკობდა იმ განუზომელი ბედნიერების შესახებ, რომელიც მას განაცდევინა სამშობლო ქვეყნის განთავისუფლებისა და აღორძინების დიადმა ხანამ. ეს იყო დავით კლდიაშვილის უკანასკნელი საჯარო გამოსვლა — მისი სახელოვანი ბიოგრაფიის ღირსეული აპოთეოზი.

დავით კლდიაშვილი გარდაიცვალა 1931 წლის 24 აპრილს თავის საყვარელ მშობლიურ სოფელში — სიმონეთში. მისი ნეშტი თბილისში ჩამოასვენეს და შესაფერი პატივით დაკრძალეს მთაწმინდაზე, დიდ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში.

•

მწერლობისადმი მისწრაფება ძლიერ ადრე აღეძრა დავით კლდიაშვილს. მეორე კლასის მოწაფე იყო, როდესაც პირველი მოთხრობა დაწერა. ნაწარმოების გმირი, როგორც თვით მწერალი იგონებს — „სისხლში სცურავდა, მარჯვნივ და მარცხნივ ჰკლავდა ყოველ შემხდურს“. კლასის დამრიგებელს დაუწუნებია დავითისათვის ეს მოთხრობა, სიცილით უთქვამს მისთვის: „ძალიან გეტყობა აზიელობა, ამდენი სისხლის დაღვრა გაგიგონია?! დაანებე თავი, სისულელეა!“

დავითსაც დაუჯერებია მასწავლებლისათვის და მიუტოვებია წერა.

დიდი ხნის შემდეგ, უკვე მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში ყოფნისას, მან კიდევ ერთხელ სცადა ბედი მწერლობაში და ამჯერადაც უშედეგოდ. მან რუსულად თარგმნა ნიკოლომოურის მოთხრობა „ალი“, მაგრამ თარგმანს დაბეჭდვა არ ეღირსა. ამ წლებში იგი ხელნაწერ ჟურნალს სცემდა სასწავლებელში. ჟურნალის მასალის დიდ ნაწილს თვითონ დავითი წერდა.

სამშობლოში დაბრუნებული დავით კლდიაშვილი გულმოდგინედ მოემზადა სამწერლო მოღვაწეობისათვის, რომლისკენაც, როგორც ჩანს, ბავშვობიდანვე დიდი მიდრეკილება ჰქონდა. ოთხმოციან წლებში მან იწყო კორესპონდენციების წერა თბილისის გაზეთებში ბათუმის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე, ხოლო ამავე დროს თარგმნა ქართულ ენაზე ფრანგული და გერმანული ლიტერატურის წიმუშები, რომლებსაც ვასო აბაშიძის ჟურნალ „თეატრში“ ათავსებდა 1885 წლიდან.

პირველი მისი მხატვრული ნაწარმოები მოთხრობა „შერისხვა“ 1893 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“, ამას ზედიზედ მიჰყვნენ მოთხრობები: „მსხვერპლი“, „სოლომან მორბელაძე“, „წრფელი გული“, „სამანიშვილის დედინაცვალი“. ერთბაშად გაიშალა დავით კლდიაშვილის დიდი შემოქმედებითი ცხოვრება. წერდა იგი დიდის გატაცებით და სიყვარულით. „ეს მუშაობა კი არ იყო, იყო უმაღლესი სიამოვნება“, — ამბობს დავით კლდიაშვილი თავისი სამწერლო მუშაობის შესახებ.

თავისი პირველივე ნაწარმოებებით მიიპყრო დავით კლდიაშვილმა მკითხველი საზოგადოებისა და მაშინდელ მწერალმოღვაწეთა ყურადღება. სალიტერატურო კრიტიკა გულისხმიერად ეხმაურებოდა მის ყოველ შემოქმედებით ნაბიჯს და ღირსეულად აფასებდა მას. იმდროინდელი ქართული თეატრიც ღირსეულად შეხვდა დავით კლდიაშვილის შესანიშნავ კომედიებს. ქართული თეატრის უდიდესმა მსახიობმა ლადო მესხი-

შვილმა წრფელი სიყვარულითა და შემოქმედებითი გზნებით განახორციელა ქუთაისის თეატრის სცენაზე „ირინეს ბედნიერება“, ხოლო „დარისპანის გასაჭირი“ თავის საბენეფისო საღამოზე დადგა ცნობილმა და მაღალნიჭიერმა მსახიობმა ვალერიან შალიკაშვილმა.

გულთბილად ეგებებოდა ქართველი ხალხი თავისი საყვარელი მწერლის ყოველ ახალ ქმნილებას და სწორედ ამიტომ თავისი უკანასკნელი ნაწარმოები, ავტობიოგრაფიული თხზულება, მწერალმა ამგვარი კმაყოფილებით აღსავსე სიტყვებით დაამთავრა:

„ეს სითბო, ეს სიყვარულიანობა თან ახლდა ჩემს ლიტერატურულ შრომას, არასოდეს არ დაკლებია ივი და ამიტომაც ჩემი განვლილი ლიტერატურული გზა ბედნიერად განვლილ გზად მიმაჩნია“.

*

„შერისხვა“ და „მსხვერპლი“ იმდროინდელი სოფლის ყოფა-ცხოვრების მასალებზეა აგებული და გვისურათებს იმ სიბნელესა და უმწეობას, უმეცრებასა და სიდუხჭირეს, რომლითაც მოცული იყო გლეხობის ცხოვრება ფეოდალურ-ბურჟუაზიული წყობილების პირობებში.

ეს ორი პირველი ნაწარმოები ნაკლებად დამახასიათებელია დავით კლდიაშვილისათვის, როგორც გარკვეული თემატიკისა და ღრმად თავისებური მხატვრული სტილის მწერლისათვის. ამ მოთხრობების წერისას მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიგნებული ის თავისებური საჭარო, რომელიც შემდეგ ისე ცხოველად და შთაგონებულად აისახა მის შემოქმედებაში, ჯერ კიდევ არ იყო მონახული ის სპეციფიკური თვალთახედვა და სინამდვილის ხატვის ის ორიგინალური მანერა, რის მეოხებითაც შემდეგ დავით კლდიაშვილმა დიდი და საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ლიტერატურაში.

„შერისხვისა“ და „მსხვერპლის“ ავტორი ჯერ კიდევ ჩვენი

ხალხისანი მწერლების მიერ გაკვალულ გზას, მათ მიერ დადგენილ ლიტერატურულ ტრადიციას აგრძელებდა. იგი წრფელი გულშემატკივრობით თავს დასტრიალებდა პატრიარქალური წყვდიადით მოცული სოფლის ყოფა-ცხოვრებას და ამჟღავნებდა იმ დამღუპველ, ადამიანის გამანადგურებელ ზეგავლენას, რომელსაც ახდენდა გლეხობაზე ბნელი, დრომოჭმული ადათ-ჩვეულებანი, ცრუმორწმუნეობრივი ტრადიციები, კერძო-მესაკუთრული ინსტინქტით ნაკარნახევი მახინჯი თვისებანი გლეხური სულისკვეთებისა.

მაგრამ ამ მოთხრობებში უკვე იგრძნობოდა დავით კლდიაშვილის მახვილი, სინამდვილისა და გმირის სულისკვეთების სიღრმეში ჩამწვდომი თვალი, მოჩანს ყოფაცხოვრებითი მასალის იშვიათი მხატვარი, რომელსაც შეუძლია ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთობის წვრილმანი მოვლენების, საყოფაცხოვრებო დეტალების საშუალებით თვალწინ დაგვიყენოს ღრმა განზოგადებითი ძალის მხატვრული სახეები. ამ სადებიუტო ნაწარმოებებში იწვრთნება ბუნებრივი თხრობის შესანიშნავი ოსტატი, რომელიც ყოველთვის სადა და თანაც მიმზიდველ სიუჟეტებზე ამყარებდა თავის ყოველ ქმნილებას.

„შერისხვის" მთავარ გმირს კერძომესაკუთრული სულისკვეთებით გამსჭვალული გლეხი კაცია საგუნაშვილი წარმოადგენს. მწერალი არაფერს გვეუბნება კაცის დასახასიათებლად. მთავარი გმირის მთელი მოქმედება, მისი ყოველი სიტყვა და ნაბიჯი ამომწურავი სისრულით გვიჩვენებს ამ ადამიანის თავისებურ ხასიათს, მის ჯიუტ ბუნებას, უაღრეს სიფიცხესა და მოუთმენლობას, წრეს გადასულ ეინიანობას. მზადყოფნას ყველაფერი გასწიროს თავისი წვრილმანი ნებასურვილის შესრულებისათვის, თავისი ეგოისტური ზრახვისა და უკიდურესად შეზღუდული ინტერესების დასაცავად.

მოქმედებაში, თვით გმირის საქციელში გამოავლენს დავით კლდიაშვილი მოქმედ პირთა ბუნებას, მათი ხასიათის ინდივიდუალობას. თხრობის მანძილზე თანდათანობით, სულ უფრო მეტის ყოველმხრივობით და სისრულით გადაიშლება ჩვენს თვალწინ მისი მოთხრობების მთავარ გმირთა სულიერი სამყარო, იმგვარად, რომ ავტორს აღარ სჭირდება საგანგებოდ

გაგვაცნოს თავისი გმირი, გვითხრას რაიმე მისი პიროვნების შესახებ. ასეთია დავით კლდიაშვილის, როგორც ჭეშმარიტი რეალისტი ხელოვანის მანერა გმირთა ხატვისა და სწორედ ამგვარად არის მოცემული კაცია საგუნაშვილის სახე მის „შერისხვაში“.

„შერისხვაში“ დავით კლდიაშვილი საგანგებოდ ერთ ფრაზასაც არ ხარჯავს კაცია საგუნაშვილის გარეგანი სახის გასაცნობად. მაგრამ, როგორი სიცხადით იხატება ჩვენს თვალწინ კაციას კუშტი და მრისხანე გამომეტყველება მუდამ ფიცხელი მოძრაობით, თავისი ბოხოხი ქუდით და მსხვილი, გრძელი წინსაბიჯი ჯოხით.

ამ პატარა მოთხრობაში დავით კლდიაშვილმა მოგვცა მესაკუთრული სტიქიით შეპყრობილი, თავის წვრილმან საპირადო ინტერესებზე გაჯიუტებული გლეხის სახე, რომლის მსგავსიც ამ მხრივ არ მოიძებნება მთელ ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში.

კაცია საგუნაშვილმა ერთი თავისი პატარა საყანე მიწა რამდენიმე წლით დასასვენებლად გაუშვა და ღობეც აღარ შემოუვლია მისთვის. ამით ისარგებლეს მეზობლებმა და რაკი ძველი სასოფლო გზა ჟამთამსვლელობაში დაქცეულიყო, კაციას დაუმუშავებელ მიწაზე დაიდვეს გზა. როდესაც კაციამ მოისურვა თავისი მიწის კვლავ შემოღობვა და დამუშავება, სოფელმა მოთხოვა მას „ორიოდე მტკაველი“ მიწა სოფლისათვის დაეტოვებინა გზად. ცხადია, კაციას დიდად არ დააზარალებდა ასეთი დათმობა, ხოლო სოფლისათვის ეს აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა.

მაგრამ კერძომესაკუთრულ ინსტინქტზე აღმოცენებული, ადამიანის შეგნების დამაბნელებელი ცხოველური ეგოიზმი საშუალებას არ აძლევდა კაციას ფხიზლად გაეთვალისწინებინა ეს გარემოება და გონების თვალით გაეზომა პირად და სახალხო ინტერესთა ურთიერთშეფარდება.

კაციამ მტკიცე უარი განაცხადა დაეთმო სოფლისათვის თავისი მიწის მცირე ნაკვეთი და სასტიკად გაჯიუტდა.

თავისი მეზობლის, ანდრია ჭურაშვილის რჩევა-თხოვნაზე—

დაეთმო საზოგადოებისათვის ეს „ორი მტკაველი“ მიწა, კაციამ გაჯავრებით წამოიძახა:

„საზოგადოებისათვის კი არა, ის კიდევ!.. მითქვამს, — არ დაგითმობთ... მორჩა, გათავდა... სოფელი ფეხებზე მკიდია!“

კაციას გონება დახშულია იმისათვის, რომ გაიგოს საზოგადოებრივი ინტერესი, გაითვალისწინოს ხალხის. მთელი სოფლის ნება-სურვილის უპირატესობა მის წვრილმან საპირადო ინტერესთან შედარებით.

ამ „ორი მტკაველი“ მიწისათვის კაცია წინაღუდგა მთელ სოფელს, გამოეთიშა და დაუპირისპირდა მეზობლობას და მაშინაც კი, როცა ადგილობრივმა სასამართლომ საკითხი სოფლის სასარგებლოდ გადაჭრა, კაციამ გადაწყვიტა არ დაემორჩილოს სასამართლოს და ბოლომდე იბრძოლოს, სანამ თავისას არ გაიტანს.

„გლახა ანთიმოზა გგონივართ მე, რომ თქვენს წინაშე იმისავით თავს მოვიხრი? — ეუბნება კაცია მოსამართლეს, — დიაღ!.. მიროი სუდში ვიჩივლებ, თუ საჭირო იქნება, ოკრუჟნოი სუდშიაც გიახლები... იმას ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ ჩემი თავი დაგაჯაბნებიოთ“.

მართლაც, ბევრი იარა კაციამ, არ დაერიდა არც ხარჯს, არც გარჯას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და რაც უფრო რწმუნდებოდა იგი თავის უძლურებაში—გამკლავებოდა მთელ სოფელს, მით უფრო ბრაზდებოდა და ხელდებოდა. კაცია ახლა შურისძიების ჟინმა შეიპყრო.

„აენთო კაცია. ის ჰგავდა მხეცს, რომელიც არა ღონისძიებას არ დაერიდებოდა, ოღონდ კი რითიმე თავისი ჯავრი ამოეყარა განსაკუთრებით იმ გაიძვერა, მოტიკტიკე ანდრიაზე, რომელიც თავი და ბოლო იყო სოფლის მოსამართლეებს შორის“.

ანდრიაზე შურისძიების ერთადერთი გზა დარჩა კაციას — მისი ხატზე გადაცემა.

კაციამ „ხატზე გადასცა“ ანდრია ჭურაშვილი სრული რწმენით, რომ წმინდა გიორგი შეისმენდა გამწარებული მოხუცის ვედრებას და სამაგალითოდ დასჯიდა ანდრიას: „დამაცათ, შვილებო, ისევ თქვენვე შემეხვეწებით ადგილი ჩავიბა-

რო, როცა ჩემი გამჩენი შავ დღეს დაგაყენებთ“, — ემუქრებოდა მეზობლებს გულდამშვიდებული და თავის გამარჯვებაში სავსებით დარწმუნებული კაცია.

მაგრამ დრო გადიოდა და წმინდანის რისხვის არავითარი ნიშანი არა ჩანდა. ანდრიამ, რომელიც ერთ ხანს შეშფოთებული და შეშინებული იყო „ხატზე გადაცემით“, ახლა თითქოს გადაივიწყა კიდეც ეს ამბავი და უდარდელად განაგრძო ცხოვრება. კაციას მოუთმენლობა იპყრობდა, იგი ღელავდა და ბორგავდა წმინდანის განაჩენის მოლოდინში. ნუთუ ეს უკანასკნელი ცდაც უშედეგო გამოდგა? ნუთუ ღმერთსაც აღარ ჰქონია სამართალი, ნუთუ ხატმაც არ შეისმინა მისი სიტყვა და თხოვნა?

„ვერაფერ საქმეს ხელს ვერ ჰკიდებდა, აღარაფერი აღარ ახსოვდა კაციას იმის მეტი, რომ ის დაექადნა ანდრიას, წმინდანის შემწეობით ჯავრს ამოვიყრიო, მაგრამ ვერც ეს აასრულა და თვით წმინდანმაც არავითარი ყურადღება არ მიაქცია მას“.

ახლა კაცია ანდრიასთან ერთად წმინდა გიორგისაც დაემდურა და, რაც დრო გადიოდა, მით უფრო აშკარად გამოთქვამდა თავის ამ უკმაყოფილებას და გულისწყრომას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთხელ, აღდგომის მეორე დღეს, როცა მთელი სოფელი სალოცავად იყო შეკრებილი, კაციამ საჯაროდ ჰგმო ხატი, მთელი ხალხის წინაშე უარჰყო იგი.

შურისძიების ჟინმა სარწმუნოების, თავისი ღმერთის უარყოფამდე მიიყვანა კაცია საგუნაშვილი. ამ ამბავმა შეაშფოთა მთელი სოფელი და თავზარი დასცა კაციას ცოლს — დოდოს. ყველამ გაგიჟებულად ჩათვალა კაცია და მეზობლები საბოლოოდ გადაუდგნენ მას.

ახლა სავსებით განმარტოებული კაციას არსებაში შურისძიების ჟინის დაუკმაყოფილებლობით გამოწვეულ სულიერ ტკივილს ღვთის გმობით აღძრული შიშიც დაერთო და მოხუცმა საბოლოოდ დაჰკარგა სიმშვიდე და სულიერი წონასწორობა.

„მოტყდა, უცნაურად მალე მოტყდა, სრულიად დაბერდა და მოიკუმშა ამას წინათ წარმოსადეგი კაცია. ზედვე ეტყობო-

და, რომ იგი სწუხდა, სწუხდა გადამეტებით, მაგრამ ხმას არ იღებდა".

კაციამ ვერ გაუძლო ამდენ შფოთვასა და მღელვარებას, იგი დაუძლურდა, დაავადმყოფდა, მოკვდა საშინელ ტანჯვაში, განმარტოებული, მეზობლებისაგან მიტოვებული და უარყოფილი. დასაფლავებაზეც კი არ მიეკარნენ მეზობლები კაციას. „ვერ ვიტირებთ", — ამბობდნენ ისინი, — „ღმერთს ვაწყენიებთ, რომ მისი მგმობელი ვიტიროთ". ასე იმსხვერპლა კაცია საგუნაშვილი მის არსებაში ღრმად ფესვგადგმულმა კერძომესაკუთრულმა ინსტინქტმა, რომელსაც ჩაეკლა და ჩაეხშო ამ ადამიანში ყოველგვარი საზოგადოებრივი, სოციალური გრძნობა და შეგნება.

თუ ამ მოთხრობით დავით კლდიაშვილმა იერიში მიიტანა ძველი სოფლის დუხჭირი ცხოვრების, გლეხობის იმდროინდელი შეგნებისა და სულისკვეთების ამ ერთ-ერთ ძირითად საფუძველზე, ნაწარმოებით — „მსხვერპლი" მწერალმა მწვავედ ამხილა ოჯახურ-საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა პატრიარქალური ადათ-წესებისა და ცრუმორწმუნეობის დამღუპველი ზეგავლენა გლეხობის ცხოვრებაზე.

უმეცრებისა და სიბნელის, სიდუხჭირისა და განწირულების გულის სიღრმემდე შემზარავი სურათი გადაშალა მწერალმა მკითხველის თვალწინ და მოგვითხრო ამგვარი გარემოცვის მსხვერპლთა — უდანაშაულოდ დაღუპულ ადამიანთა უბედური თავგადასავალი.

მოთხრობის მთავარი გმირები — ახალგაზრდა გლენი ქალი მარინე, მისი მოხუცი მშობლები — მარკოზი და ესმა, მარინეს დედამთილი ფეფენა და ქმარი ნიკა — ყველა ესენი ცხოვრებაგამწარებული ადამიანები არიან, ისინი მსხვერპლნი არიან სოფლად დამკვიდრებული წყვდიადისა და ცრუმორწმუნეობისა.

მოთხრობის პირველსავე გვერდზე ნაწარმოების მთავარი გმირების მიერ ერთმანეთისადმი მიმართული რამდენიმე ფრაზით მწერალი გვაძლევს ამ სამი ადამიანის მკაფიოდ გამოკვეთილ ხასიათს. უკვე თავიანთი ამ პირველი გამოჩენით ნაწარმოებში ჩვენს თვალწინ წარმოსდგებიან ახალგაზრდა,

სილამაზითა და სიცოცხლით სავსე გლეხი ქალი — მარინე. რომელიც ეს-ესაა გათხოვილა, ოჯახობას შესდგომია და ხალისიანად, იმედიანად შეჰყურებს თავის მომავალს, მისი მოხუცი დედამთილი ფეფენა — მკაცრი და სასტიკი ხასიათის ქვრივი დედაბერი, რომელიც თავისი დრომოჭმული შეხედულებებისა და ადათ-წესების საზომით აფასებს ცხოვრების ყოველ მოვლენას, ამიტომაც არაფერი მოსწონს ახალი დროებისა და ახალი ადამიანებისა და მესამე — მარინეს ქმარი ნიკა, ობლობაში და სიღარიბეში აღზრდილი გლეხი, უნებისყოფო და დაძაბუნებული ხასიათის ადამიანი; რომელიც მთლიანად თავის დედის გავლენის ქვეშაა მოქცეული და უსიტყვოდ ემორჩილება მის ყოველ ბრძანებას.

ფეფენასა და მარინეს შორის თავიდანვე მწვავე უთანხმოება იჩენს თავს. დედაბერს არ მოსწონს, რომ მისი ახალგაზრდა რძალი კოხტაობს, მხიარულობს, ჩაცმა-დახურვაზე და მორთვა-მოკაზმვაზე ფიქრობს, მეზობლებში გარეევასა და გართობა-საუბარს ეტანება. განსაკუთრებით აბრაზებს ფეფენას ის გარემოება, რომ ამ ბოლო დროს მათ ოჯახში სიარულს მოუხშირა „გაქუცულმა აზნაურიშვილმა“ — დავითმა, რომელსაც ფეფენას აზრით, ალბათ მარინეზე უნდა ეპიროს თვალი და, მაშასადამე, შერცხვენას და თავის მოჭრას უნდა უპირებდეს მათ ოჯახს.

ადრე დაქვრივებულ ფეფენას დიდი ტანჯვითა და ვაი-ვაგლახით გაუზრდია ერთადერთი ვაჟი — ნიკა, თავი არ დაუზოგავს, რომ ოჯახი ფეხზე დაეყენებინა და ახლა იგი ვერ შეურიგდება, რომ ამდენი წვითა და დაგვით შენახული ოჯახის ღირსება ვინმემ გათელოს და შეურაცხყოს.

ამიტომ ეპყრობა იგი გადამეტებული სისასტიკით თავის ახალგაზრდა რძალს, ეს უკანასკნელი კი ვერ უძლებს ასეთ დაუმსახურებელ მოპყრობას დედამთილის მხრივ, მას გულს უკლავს ეს გაუთავებელი საყვედურები და კიცხვა-გაკილვა. ამდენი ცილისწამება და უსაფუძვლო იქვნეულობა.

რძალ-დედამთილს შორის აშკარა ბრძოლა იმართება, მაგრამ მარინე უძლურია და უმწეო ამ ბრძოლაში. მისი „ქალაჩუნა“ ქმარი — ნიკა ბრმად ემორჩილება დედის ნება-სურვილს.

მეზობელთაგანაც ვერავინ ექომაგება და ეხმარება მარინეს, ფეფენას თავისი ზედმეტი სიმკაცრისა და ხასიათის ახირებულების გამო სოფლად „კუდიანის“ სახელი აქვს შერქმეული და ამიტომაც ყველას ეშინია მისი, ყველას ერიდება აწყენინოს, გადაიკიდოს ეს უცნაური „ჯადო“ — დედაბერი.

რამდენჯერმე თავგანწირულად გაიბრძოლა მარინემ, მაგრამ ამაოდ. მისმა ერთადერთმა გულშემატკივარმაც კი — ნიკას ბიძამ, ონისიმემ ვერ გაბედა მფარველობა გაეწია დაუმსახურებლად დაჩაგრული მარინესათვის და დაეფარა იგი ფეფენას რისხვისაგან. საბრალო მარინე მთლიანად მოექცა ფეფენას კლანჭებში და იძულებული გახდა ბედს დამორჩილებოდა, ჩაეკლა ყველა თავისი ახალგაზრდული სურვილი და მისწრაფება, სახლში გამომწყვდეულიყო და დედამთილის სურვილისამებრ გამოთიშვოდა სოფელ-ქვეყანას.

გულდაჩაგრული ახალგაზრდა ქალი გარეგნულადაც გამოიცვალა, ჩამოხმა, დასნეულდა. მეზობლებმა მარინეს ამგვარი გამოცვლა მის „გაკუდიანებას“ მიაწერეს. მათ გადაწყვიტეს, რომ დედამთილმა სულიან-ხორციანად დაიმორჩილა რძალი, გახადა იგი თავისი „კუდიანობის“ მოზიარედ.

„—გული ამოსჭამა, — ამბობდნენ, — და ყოლისფრის ხალისი დაუკარგა, როგორიც თვითონ არის, იმისთანა გახადა“.

ახლა ფეფენასთან ერთად მარინეც „კუდიანად“ მონათლა სოფელმა, მასაც შიშით და რიდებით დაუწყეს ყურება მეზობლებმა.

გაიგეს თუ არა ეს ამბავი მარინეს მშობლებმა, თავზარდაცემულნი გამოემართნენ თავისი გაუბედურებული ქალიშვილის სანახავად და თან წამოიყვანეს „საიქიოს ნამყოფი“ გლეხი ვასილი, რომელსაც გულთმისნობისა და ბოროტისაგან ადამიანის დახსნის შემძლებელი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელ იმ კუთხეში.

ვასილმა შეკრებილ მეზობელთა წინაშე დაჰკითხა მარინე. შეეკითხა, თუ რამდენად მართალია დედამთილის მიერ მისი გაკუდიანების ამბავი. გამოირკვა, რომ თურმე მარინეც დარწმუნებული ყოფილა იმაში, თითქოს მართლაც მოაჯადოვა და თავისი „კუდიანობის“ მონაწილედ გაიხადა ფეფენამ. მარინემ

უამბო შეკრებილთ თავისი მძიმე ხვედრის შესახებ ნიკასა და ფეფენას ოჯახში, მოუთხრო, თუ როგორ დაიმონა და დაიმორჩილა იგი დედამთილმა, როგორ გამოეცხადა მას ფეფენა სხვადასხვა მოჩვენების სახით და გაიყოლია იგი თავისი ავსულობის ბოროტ გზაზე.

დამსწრეთა აზრით, ამგვარმა აღიარებამ, ამ „გამოტეხამ" ცოდვებისაგან გასწმინდა, „კუდიანობისაგან" იხსნა მარინე. თუმცა „გამოტეხილს" დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უნდა დარჩენოდა. მართლაც, ამ საჯაროდ დაკითხვამ, აქ განცდილმა სულიერმა მღელვარებამ კიდევ უფრო დააუძლურა ისედაც ჯანგატეხილი მარინე, იგი ლოგინად ჩავარდა და მისი მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდებოდა.

მარინეს მამამ, შვილის დაღუპვით გამწარებულმა მარკოზმა, სასტიკად იძია შური ფეფენაზე, გახურებული ნალით დადაღა მარინეს გამაუბედურებელი დედაბერი. ამ სურათის შემხედავმა მარინემ ვეღარ გაუძლო განცდილ შიშსა და მღელვარებას და გარდაიცვალა.

ნაწარმოები მთავრდება გაუბედურებული ესმასა და მარკოზის მოთქმა-გოდებით, ნაადრევად დაღუპული მარინეს დატირებით.

ასე დაუნდობლად შეიწირა და იმსხვერპლა მარინეს სიცოცხლე პატრიარქალური წყვდიადით მოცული სოფლის დუხჭირმა სინამდვილემ. მარინე ამ შემთხვევაში ღრმა განზოგადებითი ძალის მხატვრულ სახეს წარმოადგენს, რომელშიც გამოხატულია მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების პირობებში ფეხქვეშ გათელილი და დასაღუპავად განწირული ადამიანის დრამა.

ზოგი თანამედროვე დავით კლდიაშვილს უსაყვედურებდა ამ მოთხრობაში დახატული სურათის თითქოს ზედმეტად და გადაჭარბებულად დაბნელებას, საღებავთა ზედმეტ სიმუქეს. მწერალი არ იზიარებდა ამგვარ შენიშვნებს. მას სრულ სიმართლედ მიაჩნდა „მსხვერპლში" მოცემული მხილება იმდროინდელი სოფლის სინამდვილისა და ნანობდა კიდეც, რომ აჩქარების გამო მან კიდევ ვერ თქვა ყველაფერი, რის თქმასა და გამოხატვასაც იგი ამ ნაწარმოებით აპირებდა.

„შერისხვასთან“ შედარებით „მსხვერპლში“ კიდევ უფრო გამძაფრებულია დავით კლდიაშვილის, როგორც კრიტიკული რეალიზმის მეთოდით შეიარაღებული მხატვრის მამხილებელი თვალსაზრისი თავისი თანამედროვეობის სოციალური ვითარების მიმართ. აღსანიშნავია, რომ ამ მოთხრობის ერთ-ერთი გმირის — „საიქიოს ნამყოფი“ ვასილის სახე პირდაპირ გადმოხატულია პროტოტიპისაგან, დავითის პირადი ნაცნობის, მის მეზობლად მცხოვრები პიროვნებისაგან. ამის შესახებ დავით კლდიაშვილი მოგვითხრობს: „ჩვენ ახლოს მეზობლად ცხოვრობდა „საიქიოს ნამყოფი“ გლეხი — ლევანა სირბილაძე, — შესამჩნევი პიროვნება... „საიქიოს ყოფნის“ ამბავი არა ერთხელ მომიყოლინებია ლევანისათვის და მისგან ეს ნაამბობი თითქმის სიტყვა-სიტყვით შეტანილი მაქვს ჩემს მოთხრობა „მსხვერპლში“.

როგორც ვხედავთ, „მსხვერპლი“ გლეხობის ყოფა-ცხოვრების ფონზე გაშლილი ნაწარმოებია და მის მთავარ გმირებსაც გლეხები წარმოადგენენ. მაგრამ ამ ნაწარმოებში ჩვენ უკვე ვხედავთ, თუმცა მკრთალად დახატულს, მოთხრობის მეორე პლანზე დაყენებულ ტიპს გაღატაკებული აზნაურისა, — „გახრეკილ აზნაუშვილს“ (როგორც ამას ფეფენა ეძახის) დავით კარუგდელაძეს. იგი მოთხრობაში მოჩანს უსაქმო, მსუბუქი ზნეობისა და ფუქსავატი ხასიათის ადამიანად, რომელიც მაცდუნებლად ადევნებია მარინეს, გამხდარა ამ საბრალო ადამიანის აუწერელი ტანჯვა-მწუხარების ერთ-ერთ მიზეზად და ნაცვლად რაიმე სიბრალულისა ან თანაგრძნობისა მარინესადმი, იგი, თავისი საქციელის გამეღავნებით შეშინებული, აზნაურული ამპარტავნობით გაიძახის: „რა ჩემფეხებად მინდა მწვირიანი ყაზახის გომბიო“.

ამ სიტყვებში, დავით კარუგდელაძის ამ ხორცშეუსხმელ, ძუნწად, ესკიზურად მოხაზულ სახეში უკვე მოჩანს ჩანასახი დავით კლდიაშვილის შემოქმედების მთავარი გმირისა, პირველი კონტურები დაკნინებული აზნაურობის იმ სამყაროსი, რომელიც ისე ცხოველმყოფელად და ჭეშმარიტი მხატვრული სისრულით გადაიშალა მის მომდევნო მოთხრობებში.

„სოლომან მორბელაძე“ დავით კლდიაშვილის პირველი ნაწარმოებია, რომელშიც მწერალმა თითქოს ერთბაშად მიაგნო თავისი შემოქმედების ძირითად თემას, მისთვის დამახასიათებელ სპეციფიურ მასალას, იდეებისა და სახეების თავისებურ სამყაროს. აქ პირველად მთელი თავისი ძალით და სისრულით თავი იჩინა დავით კლდიაშვილის, როგორც ხელოვანის ნიჭიერებამ და ოსტატობამ, მისმა მხატვრულმა ინდივიდუალობამ. სოლომან მორბელაძის ტიპის დახატვით დავით კლდიაშვილმა უკვე თქვა ის განსაკუთრებული სიტყვა, რომლისთვისაც იგი ისტორიულად მოწოდებული იყო ქართული ლიტერატურის განვითარებაში.

ფეოდალური საზოგადოების ღღვევისა და თავადაზნაურული კლასის დაქვეითების პროცესის ასახვის საქმეში დავით კლდიაშვილს ჰყავდნენ წინამორბედნი და მასწავლებელნი ქართულ ლიტერატურაში. ჯერ კიდევ ქართული კლასიკური რეალიზმის დამწყების — გიორგი ერისთავის კომედიებში გამოჩნდა ისტორიის მიერ დასაღუპავად განწირული ამ წოდების ადამიანთა სახეების — დაუზოგავი სატირის ფორმებში დახატული სახეების მთელი გალერეა. შემდეგ ლავრენტი არდაზიანმა გადაშალა ქართველი მკითხველი საზოგადოების თვალწინ ჩვენს ქვეყანაში უკვე აღმოცენებული და ცხოვრების ზედაპირისაკენ დაძრული სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებთან პირისპირ შეჯახებული რაინდაძეების სამყაროს უნუგეშო და უპერსპექტივო ვითარება. ამგვარად შემზადდა ნიადაგი იმ ლიტერატურული ტრადიციისა, რომელმაც თავისი კლასიკური გამოხატულება ჰპოვა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში და, კერძოდ, მის მიერ დახატული ლუარსაბ თათქარიძის სახეში, რომელმაც დაუნდობლად გამოამზეურა ამ ოდესღაც დიდებული წოდების სრული დრომოჭმულობა, მისი გონებრივი და ზნეობრივი დაცემა, მისი ცოცხალ ლეშად ქცევა, მისი პარაზიტიზმი...

დავით კლდიაშვილს უშუალოდ წინ უსწრებდა ილია ჭავჭავაძის სკოლის დიდი ბელეტრისტი გიორგი წერეთელი, რომლის ქმნილებებმაც („მგზავრის წერილები“, „რუხი მგელი“, „მამიდა ასმათი“, „პირველი ნაბიჯი“, „ჩვენი ცხოვრების ყვა-

ვილი") კიდევ მეტი სიცხადე და კონკრეტულობა მისცა ფეოდალური წყობილების ნგრევა-განწირულების სურათს.

ეს გზა დააგვირგვინა დავით კლდიაშვილმა თავისი შესანიშნავი მოთხრობებით. მან ასახა აზნაურული წოდების ვითარება უკვე ჩვენი ქვეყნის ისტორიული ცხოვრების ახალ საფეხურზე — კაპიტალისტური მეურნეობის სწრაფი აღმავლობა-განვითარების პირობებში, როცა თავადაზნაურობას უკვე სავსებით რეალურად ფეხქვეშ ეცლებოდა ეკონომიური საფუძველი და ხელში რჩებოდა ნივთიერ შინაარსს მოკლებული, ცარიელი გვაროვნული უპირატესობა.

რამდენადაც უფრო მეტის თავგამოდებით ებღაუჭებოდა ისტორიული ხვედრით დამფრთხალი ეს წოდება თავის ერთადერთობა და უკანასკნელ დასაყრდენს, თავის წოდებრივ პრივილეგიას, მით უფრო აშკარად და ცხადად იჩენდა თავს წინააღმდეგობა კლასის რეალურ ვითარებასა და მის კონსერვატულ შეგნება-სულისკვეთებას შორის. ერთის მხრივ უკიდურესი სიღატაკე და მეორე მხრივ აზნურული ამპარტავნობა, ყოვლად უნიადაგო „კუდაბზიკობა" — წოდებრივი ტრადიცია, რომელიც ახალ ვითარებაში სავალალო და სასაცილო მდგომარეობას უქმნიდა დაკნინება-გადაგვარების გზაზე თავქვე დაქანებულ ამ ადამიანებს.

აზნაურული წოდების უკანასკნელი მოდგმის ეს დრამა გამოხატა დავით კლდიაშვილმა თავის საუკეთესო მოთხრობებში. მართალია, მის მიერ დახატული სურათი ლმობიერი ჰუმორით არის გამსჭვალული, მაგრამ იგი სრული სიცხადით აშიშვლებს და ამზეურებს აზნაურული სულისკვეთების სრულ უმწეობას, მის საბოლოო დაწვრილმანებას და დაუზოგავად არღვევს წოდებრივი უპირატესობის ტრადიციებზე დამყარებულ ყოველგვარ ილუზიებსა და იმედებს ამ განწირული ადამიანებისა.

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა გაიზომოს სოლომან მორბელაძის, როგორც დიდი განზოგადებითი ძალის მხატვრული სახის, მთელი ისტორიული პროცესის, მთელი წოდების ვითარების გადმომცემი ტიპის მნიშვნელობა და ღირებულება.

ოდესღაც მდიდარი და მძვინვარე წოდების ღვიძლი შვილისათვის — სოლომან მორბელაძისათვის ახალ ვითარებას

ხელიდან გამოუტაცნია არა მარტო ყოველგვარი ნივთიერი პრივილეგიებისა და უზრუნველი, ხელგაშლილი ცხოვრების საფუძველი, არამედ საარსებოდ აუცილებელი საშუალებანიც. პარაზიტული აღზრდა და აზნაურული ტრადიცია ნებას არ აძლევს სოლომანს რაიმე სასარგებლო შრომას მიჰყოს ხელი და საკუთარი ოფლით აცხოვროს თავისი გაღატაკებული ოჯახი. იგი ცდილობს იოლი, უშრომელი გზით გაიტანოს თავი და მას მართლაც მოუძებნია ასეთი ხელობა — მაშვლობა, მაჭანკლობა. დადის სოლომანი კარიდან კარზე თავისი „მოჩაქჩაქე ჯორით", დაეძებს გასათხოვარ ქალს და ცოლსათხოვ ვაჟს, „იღწვის", რომ საქმე მოაგვაროს მათ შორის, შეაუღლოს ისინი და სამაშვლოდ აღებული „ორიოდე გროშით" შეინახოს ოჯახი. მოუსვენრად წანწალებს სოლომანი. „მაგ წანწალით ვშოულობ, შე დალოცვილო, ორიოდე გროშს", — ამბობს იგი თავის მეუღლესთან საუბარში და მართლაც ეს „წანწალი" გაუხდია თავის ერთადერთ პროფესიად, საარსებო საშუალების ერთადერთ წყაროდ.

რამდენი დამცირება, შეურაცხყოფა, იმედის გაცრუება და გულისხეთქვაა დაკავშირებული ამ ერთის შეხედვით იოლსა და უშრომელ ხელობასთან! გაღარიბებულ აზნაურობას სამუდამოდ დაუვიწყნია თავისი ძველი რაინდული ტრადიციები და ახლა მისთვის სიყვარულისა, ოჯახისა და ცოლქმრული ურთიერთობის საკითხი გაშიშვლებული, გააფთრებული ვაჭრობის საქმედ ქცეულა. მზითევი გამხდარა მთავარ საზომად ქალ-ვაჟის ურთიერთ დაკავშირებისათვის და ამ მზითევის რაოდენობის გარშემო ნამდვილი ბრძოლა და ქიშპობა გაჩაღებულა.

თავის ამ შესანიშნავ ნაწარმოებში დავით კლდიაშვილმა განზრახ გადაგვიშალა თვალწინ აზნაურული ყოფა-ცხოვრების ეს ყველაზე ინტიმური მხარე — ცოლქმრული ურთიერთობის, ოჯახური ცხოვრების სფერო, რათა უფრო მკაფიოდ ეჩვენებინა, თუ რამდენად დასცა და დააქვეითა ზნეობრივადაც ეს წოდება ნივთიერმა გაღატაკებამ, როგორ საბოლოოდ დააკნინა და დააწვრილმანა იგი, როგორ შეიჭრა „ორიოდე გროშისადმი" ცხოველური სწრაფვა ამ კლასის ადამიანთა ცხოვრების თვით უაღრესად ინტიმურ სფეროებშიც.

აზნაურული წოდების ამგვარი ვითარების მეტად მკვეთრი დახასიათება მოგვცა მწერალმა „სოლომან მორბელაძის“ ერთ-ერთი გმირის — აზნაურ ბესარიონ საქარაძის სიტყვებში. სოლომანთან საუბარში საქარაძე ამბობს: „შე კურთხეულის შვილო, არ იცი, რა დრო მოგვესწრო, რა საცოდაობაში ვართ ერთიანად ჩავარდნილი? ყველას, მთელ აზნაურობას რა გასაჭირის დღე გვადგა, რა შავი დღე შემოგვესწრო? სამზითვო ფული კი არა, ლუკმა პურს ძლივსღა ვშოულობთ, წლიური სარჩო სანახევროდ აღარა გვაქვს.. ამასთან იმისთანა უღმერთობაც შემოვიდა, რომ სანამ ფულით ჯიბეს არ გაუტენი, ქალს აღარავინ თხოულობს. სად იშოვოს ჩემისთანა აზნაურშვილმა ხუთასი და ექვსასი მანეთი... კაი, გავყიდე მიწა, შევივიწროვე საქმე, ერთი მოვიშორე, როგორც იქნა, მეორეს და მესამეს რაღა უყოს კაცმა? ფიქრობ, ფიქრობ, მარა არაფერი გამოდის... ქალი კი ხანში შედის და თუ დროზე ვერ უჩვენე გზა, შემოგაბერდება ხელში და მერე ხელსაც არავინ მოჭიდებს, დაგედვა შვილის ცოდვა. ღმერთს ვფიცავარ იმისთანა გარემოებაში ვართ, რომ ისევ ის სჯობია, კაცი ოჯახს რომ არ მოეკიდო!.. ღმერთს ვფიცავარ... აბა, რანაირია ახლა ჩემი მდგომარეობა? კაციც ხომ უარესი შეიქნა, რომ ერთმანეთის შებრალება აღარ იციან... ბიჭო, თუ კაი კაცი ვარ, სამოყვროთ გინდებვარ, რაღაზე მცარცავ და მგლეჯავ, ამაზე მეტი უკეღმართობა იქნება? ღმერთმანი, ცოდვაც არაა, რომ ამისთანობაში კაციც მოატყუო, თუკი რამე გაგეწყობა“.

აი, ამ „შავი დღის“ მომსწრე ადამიანთა ურთიერთ-ძარცვა-გლეჯის, ურთიერთ მოტყუების, ქიშპობა-ვაჭრობის ორომტრიალში არის ჩაბმული სოლომან მორბელაძე და იგი თავისი ყოველი სიტყვით, ყოველი ნაბიჯით უაღრესი სიცხადით განასახიერებს ამგვარ ვითარებაში ჩამდგარი მთელი წოდებისათვის დამახასიათებელ თვისებებს.

თავისი „მოქარგული ენით“ სოლომან მორბელაძე დაუსრულებლივ ქსოვს სიცრუის, პირმოთნეობის და თვალთმაქცობის ხლართს და ბოლოს თვითონ გაებმება ამ ხლართში, თვითონ რჩება ყველაზე მეტად მოტყუებული, იმედგაცრუებული. ასეთია ბედი დასაღუპავად განწირული ადამიანისა, რომელსაც

სხვა გამოსავალი რომ ვერ უპოვნია, ხავსისათვის ჩაუვლია ხელი.

უკიდურესი ნივთიერი სიღატაკისა და ამით გამოწვეულ ზნეობრივ დაკნინების ფონზე მოქმედებენ „სოლომან მორბელაძის“ გმირები. მოთხრობაში დახატული მთელი სურათი თითქოს ცოცხალი ილუსტრაციაა ბესარიონ საქარაძის მიერ თქმული ზემოთმოყვანილი სიტყვებისა.

მოთხრობის დასაწყისში ჩვენ ვხედავთ ერთ-ერთ გაღატაკებულ აზნაურს — პლატონს, რომელსაც ოცი მანეთი უსესხებია სოლომან მორბელაძისათვის, ვეღარაფრით ვეღარ ამოუგია. იგი და ახლა კიდევ ერთხელ მიდგომია კარზე სოლომანს, რათა ხვეწნით და ვედრებით მაინც დაიბრუნოს თავისი „ორიოდე გროში“.

პლატონს შვილი შეუყვანია სასწავლებელში, ნანობს კიდეც, რადგან სწავლას „ნამეტანი ხარჯი უნდება“, მაგრამ ბავშვის დაკინებას ვეღარ გაქცევია და ახლა მისი უკანასკნელი იმედი სოლომანისაგან ვალის ამოგებაზეა დამყარებული. „სოლომან, მომკლავ, თუ ამ ერთ თვეში არ მომეცი“, — ევედრება იგი მორბელაძეს.

პლატონის მოსვლისას სოლომანი შინ არ იყო. იგი თავისი ახლადწამოწყებული „სამაშვალო საქმის“ მოსაგვარებლად იყო წასული და შინ დაბრუნებულმა ეზოში მოუსწრო მევალეს. რა თქმა უნდა, სოლომანს არაფრად ესიამოვნებოდა პლატონის დანახვა, მაგრამ იგი მოხერხებულად მალავს ამ უსიამოვნო სტუმრის დახვედრით გამოწვეულ თავის შეშფოთებას.

„შენ არ დამენახე, პლატონ, და სხვა არაფერი მინდოდა! — შესძახა სოლომანმა მოხუცებულს“.

„— რა კაი გუნებაზე ვიყავი მერე... უღვთო კაცი ყოფილხარ, პლატონ ჩემო, ღმერთმანი! — და სოლომანმა გულით გადიხარხარა და ხელი ჩამოართვა პლატონს“.

ვითომ ხუმრობს სოლომანი, ნამდვილად კი მართლაც მომაკვდინებლად არ ესიამოვნა პლატონის დანახვა. ამრიგად, პირველივე გამოჩენა სოლომან მორბელაძისა, მისი პირველივე სიტყვები გვიჩვენებს იმ შინაგან სიყალბეს, იმ წინააღმდეგობას სიტყვასა და სინამდვილეს შორის, იმ თვალთმაქცობას,

გაიძვერობას, რაც დამახასიათებელია სოლომანის პიროვნებისათვის. ასე ერთბაშად ამხელს მწერალი თავისი გმირის ხასიათის ძირითად თვისებას და შემდეგ, მთელი მოქმედების მანძილზე, უფრო და უფრო მეტი სისრულით იხატება ჩვენს თვალწინ ეს უაღრესად კოლორიტული და ტიპიური სახე.

სოლომანმა აღუთქვა პლატონს, რომ მალე გადაუხდის ვალს.

„— მალე, მალე გაგისტუმრებ, მალე მოვიშორებ თავიდან შენს ვალს... ცოტა ფეხის გადადგმა შეძეზარა, თვარა ფულს ვერ ვიშოვიდი მე? მართლა ისე დაგლახაკავებული კი არა ვარ, ზოგიერთი აზნაუშვილი რომ გინახავს... უფულობას რომ შეუშინებია, ცხვირები ჩამოუშვიათ და არ იციან, რა ქნან. ცოტა კიდევ მომითმინე და მთლად დაგიბრუნებ იმ შენს ფულს“...

სოლომანის მიერ ამ დიალოგის მთელს მანძილზე წარმოთქმული ყოველი სიტყვა, აღსავსე ტრაბახით, პირმოთნეობით და უსაფუძვლო იმედებით, დამახასიათებელია არა მარტო თვით სოლომანისათვის, არამედ მთელი აზნაურული წრისათვის, მთელი გარემოცვისათვის.

დაიმედებული პლატონი შინ გაბრუნებას აპირებს. სოლომანი ეპატიჟება მას დარჩეს, ივახშმოს, ღამე გაათიოს, პლატონი უარზე დგას, დიდხანს გრძელდება პატიჟობის ეს ცერემონიალი, რომელიც აზნაურულ „კუდაბზიკობის“, დრომოჭმული და შინაარსგამოცლილი წოდებრივი ტრადიციის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს.

პლატონმა კარგად იცის, რომ მას „ზრდილობისათვის“ ეპატიჟებიან, თორემ მართლა რომ დარჩეს, მასპინძლებს არაფერი მოეპოვებათ სტუმრის მისაღებად. სოლომანმაც კარგად იცის, რომ პლატონი უნდა მიხვდეს, თუ რამდენად „გულწრფელია“ მისი შეპატიჟება და სწორედ ამ იმედით უმეორებს იგი სტუმარს თავის დაჟინებულ თხოვნას.

პლატონის წასვლისთანავე ცოლი უსაყვედურებს სოლომანს: „რატომ ხარ ასე წინდაუხედავი, შე უბედურო?

— რა იყო, ქალო, ცუდი რა ვქენი? — ეკითხება სოლომანი.

— აბა, რომ ეპატიჟებოდი იმ კაცს, რა გეგულებოდა სახლ-ში მისატანად? ნეტავი შენ კუდაბზიკობა არ გჭირდეს და სხვა არა მინდა რა!.. რომ დარჩენილიყო, რას აპირებდი?!

— ერთი-ორი შეპატიჟებით რავა დარჩებოდა, შე ქალო, გადამთიელი ხომ არ არის, ჩვენებური ჩვევა არ იცოდეს. შე-ვეპატიჟე, ვალი მოვიხადე, ისე ხომ ვერ გაუშვებდი, ასე არ მეთქვა".

ასე უფრო და უფრო მეტის სიცხადით გადაგვიშლის თვალ-წინ მწერალი თავისი გმირის ხასიათს, მის თავისებურ ბუნებას და შემდეგ გვიჩვენებს მას უკვე მისი „ხელობის", მისი მთა-ვარი „საქმიანობის" ნიადაგზე წარმოშობილ ურთიერთობათა პირობებში.

აი, სოლომანი კარზე მისდგომია ბესარიონ საქარაძეს, რომ-ლის ქალიშვილი ელპიტე ცოლად უნდა შერთოს ქაიხოსრო ქა-თამაძის ვაჟს, სამღვდლოდ გამზადებულ ახალგაზრდა—ნიკოს.

აივანზე სხედან სოლომანი, ბესარიონი, მისი მეუღლე და ელპიტეც. ყველას ეჩქარება გაიგოს, თუ როგორ მიმდინარე-ობს „ვაჭრობა" მზითევის გარშემო, რამდენს დაჯერდება ქაი-ხოსრო, როგორ აგვარებს საქმეს სოლომანი, მაგრამ „ზრდი-ლობა", „ჩვეულება" ნებას არ აძლევს მათ პირდაპირ საქმეზე დაიწყონ ლაპარაკი და ისიც საპატარძლოს თანდასწრებით.

იწყება გაუთავებელი და ყოვლად უმნიშვნელო საუბარი იმის შესახებ, თუ როგორი სიცხეები დაიჭირა ამ ზაფხულს, როგორ გრილი და წვიმიანი დღეები იყო შარშან ამ დროს და ა. შ. ბოლოს ისევ ბესარიონი ვეღარ ითმენს ამ უაზრო და მო-მაბეზრებელ ლაპარაკს, იგი სადილის დასაჩქარებლად გზავ-ნის ელპიტეს და მხოლოდ ახლა მოჰყვება სოლომანი თავისი „მოქარგული ენით", თუ როგორ მოხერხებულად დაითანხმა მან ქაიხოსრო შედარებით მცირე მზითევზე, რომლის საგრძნო-ბი ნაწილიც ვექსილის სახით უნდა გასცეს ბესარიონმა, ხოლო შემდეგ, შესაძლებელია ეს ვექსილი არასოდეს აღარ გა-ნაღდდეს. „ერთ დღეს შეიძლება კიდეც ამ ვექსილს ჩაი-ლულის წყალი დაალევინოთ... რავა დავიჯერო შვილმა გიჩივ-ლოთ!.. მძახალმა ამასობაში ეგებ ფეხებიც ქე გაჭიმოს!" — შემპარავად ეუბნება გაიძვერა სოლომანი საქარაძეებს.

პელაგიამ და ბესარიონმა თითქოს იწყინეს სოლომანის ამ-გვარი აზრები, როგორ იკადრებენ ისინი არ გაამართლონ თავი-ანთი დაპირება, არ გაანაღდონ ვექსილი.

„— სიტყვას მოჰყვა, თვარა მეც კარგად ვიცი, რომ თქვენ ამგვარ რამეს არ იკადრებთ, — სიცილით სთქვა სოლომანმა, თუმცა გუნებაში კი დარწმუნებული იყო, რომ ბესარიონი ყო-ველ ღონისძიებას იხმარდა ვექსილის ტყუილა შერჩენისათვის“.

ასე მიმდინარეობს ურთიერთმოტყუების, ერთმანეთისაგან თავიანთი ნამდვილი აზრების მოხერხებულად დაფარვის ეს თა-ვისებური შეჯიბრი, რომელსაც წარმოადგენს სოლომანის და მასთან დაკავშირებულ ადამიანთა მთელი ურთიერთობა.

ზედმიწევნით ნათლად ხედავს და უაღრესი-გულმოდგინე-ბით ამზეურებს მწერალი ამ ადამიანთა სულისკვეთებას.

სოლომანმა თითქოს დაარწმუნა ბესარიონი, რომ საქმე ისე რიგდება, როგორც საქარაძეებს უნდოდათ, თითქოს ყველაფე-რი შეთანხმებულია და მოგვარებული. მაშვალი გამარჯვებას ზეიმობს, მაგრამ სწორედ ამ დროს ბესარიონს აღმოხდა ერთი სიტყვა, რამაც გულის სიღრმემდე შეჰზარა საბრალო მაჭან-კალი:

„— კი, რასაკვირველია, ყველაფერი ისე სასიამოვნოა, სო-ლომან ჩემო, მარა... — და ბესარიონმა სიტყვა გააგრძელა“.

სწორედ ამ „მარამ“ დასცა თავზარი სოლომანს. მაშ ჯერ კიდევ არ ყოფილა საქმე გათავებული, სამაშვლოს აღების სა-კითხი ჯერ კიდევ საეგებიოდ ყოფილა. სჩანს, ბესარიონი რა-ღაც ახალი პირობის წამოყენებას აპირებს, რამაც შეიძლება სავსებით ჩაშალოს დაწყებული საქმე და მაშასადამე, ხელიდან გამოაცალოს სოლომანს ის „ტკიცინა წითელ-წითელი თუმნია-ნები“, რომლებსაც ასეთი რწმენით პირდებოდა იგი თავის მე-უღლეს — ეფროსინეს და ჭირვეულ მევალეს პლატონს.

სოლომანს ეჩქარება გაიგოს ამ „მარას“ ნამდვილი შინაარ-სი — „რა მარა, ჰა? რა მარა, რა“, — ჩასცივებია იგი ბესა-რიონს, მაგრამ პასუხი გვიანდება. სწორედ ამ დროს დიასახ-ლისები სადილზე მიიპატიჟებენ მოსაუბრეებს. წყეული „მა-რას“ აზრის გამორკვევა — ნასადილევისათვის გადაიდო. სო-ლომანი შფოთავს, იგი უგუნებოდაა, მადაც დაეკარგა, „სა-

დილმა მეტად უგემურად ჩაიარა, სამაშვლოს დაკარგვის შიშმა მოუსვენრობაში ჩააგდო სოლომანი“.

მწერალი აქ თითქოს განზრახ ანელებს მოქმედების ტემპს და ახანგრძლივებს ამბავთა მიმდინარეობას, რათა მეტად გაამწვავოს თავისი გმირის მღელვარება და უფრო მკვეთრად გვიჩვენოს, თუ რამდენად დამოკიდებულია სოლომან მორბელაძის ბედი და იმედები იმ „ორიოდე გროშისაგან“, რომელიც შეიძლება საბედისწერო „მარას“ გადაჰყვეს თან.

ნასადილევს სოლომანს დაძინება და მოსვენება შესთავაზეს. ეს კი უკვე აუტანელია სოლომანისათვის, მისი მოთმინების ყოველგვარი საზღვარი გადალახულია.

„— სწორედ არ დამეძინება, უნდა გითხრა, ბესარიონ ჩემო!

— რატომ, შე კაცო, არ იცი ნასადილევს ძილი თუ?

— ძილი კი არა... შენ იმისთანა მითხარი ერთი სიტყვა, რომ გამომაშტერე და ის არი“.

სოლომანმა ვეღარ შეძლო ბოლომდე დაემალა თავისი შეშფოთება „მარას“ გამო. და მართლაც თურმე ჰქონია მას საფუძველი ღელვისა და მოუსვენრობისა. ბესარიონმა დაჟინებით მოითხოვა, რომ მზითევად დათქმულ სამოც თუმნიდან ქათამაძემ ასი მანეთი უნდა დაუკლოს, თუ არადა, იგი იძულებული იქნება უარი თქვას ამ საქმეზე. როგორღა გაუმხილოს სოლომანმა ეს ამბავი ქაიხოსრო ქათამაძეს, რომელიც უამისოდაც უკმაყოფილოა, რომ თავისი ნასწავლი და სამღვდლოდ გამზადებული შვილისათვის უფრო მეტი მზითევის პატრონი საცოლე ვერ იშოვნა.

შესაძლებელია საქმე ჩაიშალოს. ალბათ ბესარიონს სხვაგან ეგულება უფრო „იაფი“ სასიძო,—ფიქრობს სოლომანი და მისი ეს მოსაზრება იმ გარემოებამაც განამტკიცა, რომ სწორედ ამ დროს ბესარიონის სახლს მიადგა „გლახა სიკოია“, რომელიც მორბელაძესავით კარიდან კარზე დაეხეტება სამაშვლო „ორიოდე გროშის“ საძებნელად.

გაბრაზებული და შეურაცხყოფილი სოლომანი გარბის საქარაძეების სახლიდან. ბესარიონი დამშვიდებულია. მას სჯერა, რომ სოლომანი შორს ვერ წავა, სამაშვლოზე ხელს ვერ

აიღებს. გმირის სულისკვეთების გადმოცემის იშვიათი ოსტატობით აგვიწერს დავით კლდიაშვილი შინისაკენ მიმავალ, სამაშვლოს დაკარგვის შიშით შეპყრობილ მორბელაძის მდგომარეობას.

„ამასობაში სოლომანი გულ-ამღვრეული მიაჩაქჩაქებდა აღმართ-დაღმართებში თავის ჯორს და წამდაუწუმ დეზებს სცემდა საწყალ პირუტყვს, რომელსაც სრულიად ვერ გაეგო, რა დაუშავებია ასეთი თავის პატრონისათვის. სოლომანი დღემდე კარგად ეპყრობოდა ჯორს და დღეს კი ტყუილ-უბრალოდ ამდენი ცემა-ტყეპა მიაყენა. გაკვირვებული, თან შეშინებული და დამფრთხალი ჯორი მირბოდა და მისდა უნებურად, ხან კოლბოხებს წაჰკრავდა ფეხს, ხან ქვებს, წაიფორხილებდა ამის გამო, რასაკვირველია. ახლა ამიტომ აგინებდა და ლანძღავდა პატრონი. არც გასამტყუნარი იყო სოლომანი, რომ ასე უდიერად ეპყრობოდა ჯორს. განა სოლომანს შეეძლო გულგრილად მიეღო ამდენის ხნის ნახლაფორთები საქმის გაფუჭება?.. განა შეიძლება გულგრილად აიტანოს ამისთანა ამბავი ადამიანმა?.. განა შეიძლება, რომ ამ ყოფაში იმისთანა ცეცხლი არ მოეკიდოს, რომ ჯორი კი არა, თავისი თავი დაავიწყებინოს?“

„უიღბლო მაშვალი“ გულის ჯავრს იყრის საბრალო ჯორზე, იგი სწყევლის და აგინებს საქარაძეებსაც, მთელ „კუდაბზიკა“ აზნაურობასაც, მთელ იმ ცხოვრებას, რომელსაც ადამიანი ასეთ ყოფაში ჩაუყენებია.

ახლა სოლომანი იმის ფიქრშია, თუ როგორ გადაუხადოს სამაგიერო საქარაძეს, თუ როგორ ჩაუშალოს მას სხვაგან გამოწყებული საქმე, რათა „სიკოია გლახაკს“ მაინც არ ხვდეს სოლომანის მიერ დაკარგული სამაშვლო „ორიოდე გროში“.

მაგრამ სოლომანის მაშვლობით მოგვარებული საქმის ჩაშლის შიში თურმე არა ნაკლებ აღელვებს ბესარიონ საქარაძესაც, რომელიც დაინტერესებულია, რაც შეიძლება მალე მოიშოროს თავიდან და „პატრონს ჩააბაროს“ თავისი მოწიფული ქალიშვილი. მოულოდნელად, გვიან ღამით ბესარიონი კარზე მოადგება სოლომანს და ევედრება მოუხერხოს მზითევის დაკლება. გადაწყდა მოატყუონ ქაიხოსრო ქათამაძე, სასიძოს შეუთანხმდნენ წინასწარ, ხოლო ქაიხოსროს ჯვრისწერის დროს

გაუმხილონ, რომ ბესარიონს დათქმული ნაღდი ორმოცი თუმნის ნაცვლად შეუძლია მხოლოდ სამასი მანეთი გაიღოს. ასეც მოხდა. ქორწინების ღამეს, ჯვრისსაწერად ეკლესიაში წასვლის წინ აცნობეს ქაიხოსროს ეს ამბავი. კინაღამ არ ჩაიშალა ჯვრისწერა. თვით სასიძოს ხვეწნა-მუდარამ, დამსწრეთა შუამდგომლობამ ძლივს გასტეხა ქაიხოსროს ჯიუტობა, მან ნება მისცა შვილს ჯვარის დაწერისა მხოლოდ იმ პირობით, რომ ჯვარსაწერი სამი თუმანი მაინც საქარაძეს გადაეხადა.

ბოლოს და ბოლოს, დიდის ვაი-ვაგლახით მოგვარდა საქმე, გაჩაღდა ლხინიც, ყველა მხიარულობს, ხოლო სოლომანი იყო უგუნებოდ. ბესარიონმა ცივი უარი უთხრა მას სამაშვლოს მიცემაზე, რადგან „უხეირო ქაიხოსრომ“ უკანასკნელი სამი თუმანიც წაართვა საქარაძეს და როგორც თვითონ ირწმუნებოდა, ბესარიონს „გროში-კაპიკიც“ აღარ დარჩენია.

კიდევ უფრო ცივად და მწყრალად დაუხვდა სოლომანს ქაიხოსრო ქათამაძე. მან მაჭანკალს შესთავაზა, სამაშვლო ფული იმ შვიდი თუმნიდან აეღო, რომელიც ბესარიონმა დააკლო მზითვის წინათგანსაზღვრულ რაოდენობას. ისევ სიძემ შეიბრალა „უიღბლო მაშვალი“, მაგრამ ნიკოს საფულეში მხოლოდ ექვსი მანეთი და ორი აბაზი აღმოაჩნდა. „მოიტანე, ბატონო, მაგ მაინც მოიტანე, თვარა მაგეც დაკარგული შეიქმნება ჩემთვის“, — გაიძახის გამწარებული სოლომანი.

ნიკო პირდება სოლომანს, რომ სამაშვლოს არ დაუკარგავს, ოდესმე გადაუხდის. „მედვას ვალად ეგ შენი სამსახური“, — შიმართავს იგი მაშვალს.

„ — ვალად გედვას? კუჭი მიხმება, ყმაწვილო, კუჭი მიხმება, ახლა მინდა საჭმელი... ვალად გედვას? მაგის იმედი რას მოშეშველება, როცა ეს არი ვკვდები კაცი?“ — მიუგებს სოლომანი.

მწარე ფიქრებში გართული ბრუნდება შინისაკენ იმედგაცრუებული მორბელაძე. იგი წყევლის თავის გაჩენას, თავის ხელობას, ცხოვრებას, მთელ ქვეყანას, რომელმაც უკუღმართად წარმართა მისი ბედი. როგორღა მივიდეს შინ? რა უთხრას ეფროსინეს, რომელიც ასეთი იმედით მოელის ქმრის დაბრუნებას „ტკიცინა წითელ-წითელი თუმნიანებით“? როგორღა შე-

ხედოს პლატონს, რომელიც ხვალ თუ ზეგ კარზე მოადგება თავისი ვალის მისაღებად?

„— ღმერთმა დასწყევლოს, ღმერთმა! — თავისთვის ლაპარაკობდა სასოწარკვეთილებაში მყოფი უიღბლო მაშვალი. — ღმერთმა დასწყევლოს ამნაირი გაძაღლებული ცხოვრებაც!.. დასწყევლა ღმერთმა ხელმოკლე აზნაურის უსაშველო, გაძაღლებული ცხოვრება! რითი გამოაქვთ თავი, მეტი გზა რომ აღარ აქვთ? ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზედ ტყუილი და უპირულობა! რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან? მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომიდგება კიდევ. საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს... ღმერთო, ღმერთო!..“

ასეთი უკიდურესი სასოწარკვეთილებით აღბეჭდილი სიტყვებით მთავრდება „სოლომან მორბელაძეში“ მოთხრობილი ამბავი. თუ შევადარებთ სოლომანის ამ სიტყვებს იმ იმედიან, ხალისიან განწყობილებასთან, რომლითაც მოცული იყო სოლომანი მოთხრობის დასაწყისში, ჩვენ ნათლად დავინახავთ. თუ როგორ იღუპება და ნადგურდება მისი, როგორც გარკვეული სოციალური ფორმაციის ტიპიური წარმომადგენლის ყველა იმედი და ოცნება, როგორ უსაფუძვლოა და უნიადაგო მისი ყოველი ცდა თავისი მწარე ხვედრის შემსუბუქებისა, ცხოვრების ოდნავ მაინც გაუმჯობესებისა.

ასე გამოხატა დავით კლდიაშვილმა სოლომან მორბელაძის თან სასაცილო და თან საბრალო პიროვნებაში მთელი კლასის ისტორიული განწირულება, ასე დაასაბუთა მან თავისი ამ შესანიშნავი ქმნილებით გარდაუვალი კანონზომიერება ფეოდალური სამყაროს დასასრულისა.

თავისი შემდგომი ქმნილებებით მწერალმა კიდევ მეტად გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა ამ მოთხრობაში დახატული სურათი, კიდევ მეტი მხატვრული ხორცშესხმულობა და დამაჯერებლობა მისცა „სოლომან მორბელაძეში“ ასახულსა და დასაბუთებულ ჭეშმარიტებას. ამ მხრივ დავით კლდიაშვილის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება მისი „სამანიშვილის დედინაცვალი“.

„სამანიშვილის დედინაცვალში“ დავით კლდიაშვილმა განასახიერა და მხატვრულად დაასაბუთა ის აზრი, რომ ცხოვრების სინამდვილე დაუნდობლად არღვევს დასაღუპავად განწირული წოდების. შვილთა „სუსტ საფუძველზე დამყარებულ კმაყოფილებას“, აქარწყლებს მათ ყოველ იმედს და მოლოდინს, თავქვე მიაქანებს მათ უფრო და უფრო დუხჭირი და გამწარებული ყოფნისაკენ.

თუ „სოლომან მორბელაძეში“ აზნაურული წოდების ამგვარი დაკნინება მწერალმა ასახა ოჯახის, სიყვარულის, ცოლქმრული ურთიერთობის სფეროში გაჩაღებული ვაჭრობის ფონზე დახატული „ორიოდე გროშის“ მაძებარი, იმედგაცრუებული მაჭანკლის სავალალო თავგადასავლის მეშვეობით, „სამანიშვილის დედინაცვალში“ ავტორმა გვიჩვენა, თუ როგორ უბედურებად, როგორ საშიშ და საბედისწერო მოვლენად გადაქცეულა ამ ხალხისათვის ისეთი ბუნებრივი და კანონზომიერი რამ, როგორიცაა ადამიანის დაბადება, ხალხის ბუნებრივი მომრავლება.

გაღარიბებული, ცხოვრებაგამწარებული აზნაური შიშით შეჰყურებს ყოველი ახალი ადამიანის დაბადებას, რადგან ყოველ ახალგაჩენილში იგი თავის მოქიშპესა და შემცილებელს ხედავს — ისედაც უკიდურესად შევიწროებული ქონებისა და ლუკმის მოზიარეს.

ამ ცხოველურ შიშში მთელი წოდების უპერსპექტივობა, მისი განვითარების საბოლოო ამოწურულობაა გამოხატული. მასში მთელი სიცხადით მოჩანს, თუ როგორ ამხედრებულა ამ მომაკვდავი კლასის წინააღმდეგ ბუნებისა და ცხოვრების ყველა კანონი.

„— ცუდი დრო მოვიდა, ბატონო, ერთობ ცუდი დრო!.. ხალხიც მომრავლდა... — ჩხუბით თუ გაიწმინდება ცოტაზე ქვეყანა“, — შესჩივის „სამანიშვილის დედინაცვალის“ მთავარი გმირი პლატონ სამანიშვილი თავის თანამოსაუბრეს — აზნაურ ივანე გვერდევანიძეს, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ უპასუხებს:

„— ასეთია, ჩემო ბიძია, ეს ჩვენი მდგომარეობა და რას იზამ? გაჭირვების დრო შემოგვესწრო და მეცადინეობა გვჭი-

რია. ძალიან გაფრთხილება გვმართებს ამ გაჭირვებასთან. ი დალოცვილი ღმერთიც თავის მოწყალებას ჩვენზე ძველებური წესით გვიცხადებს: ხალხს ამრავლებს, ყოველ ოჯახს შვილებით ავსებს... მადლიანს თითო-ოროლა შვილი დაეკლო, ამათ მაგივრად სარჩო მიემატებია, ის არ აჯობებდა, შენი ჭირიმე?"

ამ მცირე დიალოგში მთელის სიცხადით არის გამოთქმული ის გულისტკივილი და უკმაყოფილება, რომელსაც განიცდის სარჩოს შემოკლებით გამწარებული აზნაური ადამიანთა საზოგადოების არსებობა-განვითარების იმ ძირითადი და გარდაუვალი საფუძვლის მიმართ, როგორიცაა თაობათა წარმოშობა, ხალხის მომრავლება.

„ერთობ გადაპრანჭული", მაგრამ არსებითად ღარიბი აზნაურის, ბეკინა სამანიშვილის ერთადერთ ვაჟს — პლატონს არაფერი საფუძველი ჰქონდა იმისათვის, რომ თავისი ბედით კმაყოფილი ყოფილიყო, და თუ მაინც იგი გულდამშვიდებით ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს, არ უჩიოდა თავის ხვედრს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ერთადერთი ვაჟი იყო თავისი მამისა — მაშასადამე, არავინ ჰყავდა შემცილებელი, და თავისი მცირე მიწა-წყლის გამყოფი.

„ამაზედაც გმადლობ, უფალო! ამაზედაც გმადლობ, უფალო!" — პირჯვრის წერით გაიძახოდა პლატონ სამანიშვილი და ამ წამოძახილით პლატონი თავის გულითად მადლობას უცხადებდა ზეციერ მამას, რომ შემცილებელი არავინ გაუჩინა მის ღარიბულ ლუკმაში".

ამ უცნაურად „სუსტ საფუძველზე" იყო დამყარებული სამანიშვილის ოჯახის კმაყოფილება, მაგრამ როგორ შეიძლებოდა მყარი და ხანგრძლივი ვამომდგარიყო იგი? „რა საფიქრებელი იყო, რომ ასე ცოტათი შემოტყუებული ბედნიერება ისევე ცოტა მიზეზითვე ხელიდან არ გამოეცლებოდათ".

ასეც მოხდა. სამანიშვილების თავზე დატრიალებული უბედურების სათავედ ბეკინას მეუღლის მარიკას გარდაცვალება გახდა, არა იმდენად იმიტომ, რომ პლატონისათვის თავისთავად სამწუხარო უნდა ყოფილიყო დედის დაკარგვა, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ჭარმაგ ბეკინას ეგებ ახალი ცოლის მოყვანაზე ეფიქრა და ამ გარემოებას კი შეეძ-

ლო წაერთმია პლატონისათვის მისი კმაყოფილებისა და ბედნიერების ერთადერთი საფუძველი.

პირველ ხანებში პლატონსა და მის მეუღლეს მელანოს ეჩვენებოდათ, რომ ბეკინა თავს კარგად გრძნობდა უმეუღლოდაც, მეტად კმაყოფილი იყო შვილითა და რძლით. ეს უკანასკნელნიც თავგამოდებით ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტად ესიამოვნებინათ ბეკინა, მეტად მოეგოთ მისი გული, რათა მოხუცს მეორე ცოლის შერთვაზე არ ეფიქრა.

მაგრამ აქედანვე დაიწყო პლატონის იმედების ჩაშლა და გაუმართლებლობა, მისი ყველა ანგარიშისა და მოლოდინის უსაფუძვლობა.

შვილისა და რძლის ტკბილი მოპყრობით კმაყოფილ ბეკინას „სხვადასხვანაირი ნატვრაც გულში ეპარებოდა და დროთა განმავლობაში ეჯინებოდა“. მოხუცს სურვილი აღეძრა „თავისი შესაფერისი ამხანაგი“ ჰყოლოდა და მას ვერც კი წარმოედგინა, თუ რატომ უნდა ყოფილიყო მისი ეს განზრახვა საწყენი პლატონისა და მელანოსათვის.

მამის ამგვარი გადაწყვეტილების გაგებამ თავზარი დასცა პლატონს.

„— მღუპავ, მამა? — მივიდა იგი ბეკინასთან, — მღუპავ? დანას მიყრი ყელში?.. რატომ მიმეტებ, შენი ჭირიმე?! — ძლივს წარმოსთქვა პლატონმა და ხმაჩაწყვეტილმა უნუგეშოთ ხელები გაშალა“.

ბევრი იდავეს მამა-შვილმა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო,— გაცხარებული სიტყვა-პასუხიც, მოციქულებისა და შუაკაცების მიგზავნ-მოგზავნაც... ბეკინას გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევი აღმოჩნდა. ეს იყო პლატონის თავისებურად მშვიდი ცხოვრების რღვევის დასაწყისი, მისი პირველი უშედეგო შებრძოლება კარზე მომდგარ უბედურებასთან. მაგრამ პლატონი მაინც არ კარგავს იმედს, იგი აგრძელებს ბრძოლას თავისი კმაყოფილების „სუსტი საფუძველის“ შენარჩუნებისათვის. და მოთხრობის მთელი განვითარება გვიჩვენებს, როგორ მარცხდება პლატონი თავისი ამ ბრძოლის ყოველ ნაბიჯზე, როგორ ცრუვდება მისი ყველა იმედი და ანგარიში. სინამდვილე ყველაფერში და ყოველთვის ეწინააღმდეგება პლატონის განზრახ-

ვებსა და მოლოდინს. ასეთია განწირული ადამიანის, განწირული წოდების უიღბლო შვილის ბედი.

რაკი გაჯიუტებულ ბეკინას თავისი გადაწყვეტილება ვერ გადაათქმევინა, პლატონმა განიზრახა თვითონ დასდგომოდა მაშვლად მამას, რათა მისთვის ისეთი საცოლე გამოენახა, რომელიც ორნაქმარევი ყოფილიყო და არც ერთი ქმრისაგან შვილი არ ჰყოლოდა. პლატონი ფიქრობდა, რომ ასეთი დედინაცვლის მონახვით იგი დაზღვეული იქნებოდა იმ საშიშროებისაგან, როგორსაც წარმოადგენდა მისთვის ქონების ახალი მონაწილისა და გამყოფის დაბადება — ძმის გაჩენა.

შედარებით ადვილად დაითანხმა ბეკინა პლატონმა, რომ მისთვის მიენდო სადედინაცვლოს გამონახვა, მაგრამ ასევე ადვილი როდი იყო ორნაქმარევი უშვილო ქვრივის გამოძებნა. პლატონი და მელანო დღედაღამ ასეთი ქვრივის კვალის მიგნებაზე ფიქრში იყვნენ გართულნი და რაკი ასეთი ვინმე მათ ნაცნობებში ვერ გაიხსენეს, პლატონმა გადაწყვიტა, გზას გასდგომოდა და სოფელ-კუთხე შემოევლო, ეგებ სადმე წაწყდომოდა შესაფერ სადედინაცვლოს.

მაგრამ ფეხით ვერავის მიადგება კარზე აზნაური პლატონ სამანიშვილი. მან ინათხოვრა ერთი დაშავებული, უპმელობისაგან და მუდმივი ხედნისაგან ზურგგადატყავებული, არაქათგამოლეული ცხენი.

„— ამაზე შეჯდომა რავა შეგიძლია!“ — ეუბნება ცოლი პლატონს.

„— აბა ფეხით ვის მივადგე, შე ქალო?“ — უპასუხებს პლატონი.—ფეხ-ფეხა მივყვები, ბატონო, ფეხ-ფეხა მივყვები... სირცხვილისათვის მიმყავს, თვარა რა!“

აზნაურული ამპარტავნობა, უაზრო ტრადიცია აიძულებს პლატონს თან წაიყვანოს ეს „გახრეკილი პირუტყვი“ მხოლოდ სხვის დასანახავად, მხოლოდ „სირცხვილისათვის“.

ასე შეუცვლია საგნების პრაქტიკული აზრი და დანიშნულება შინაარსგამოცლილ გვაროვნულ ტრადიციას. მწერალი აზნაურული ყოფის ყოველ წვრილმანში ამხელს ამ გარემოებას, რაც თავის მხრივ კლასის დრომოჭმულობის აშკარა მომასწავებელია.

მწერალი თანდათანობით ამძაფრებს პლატონის გამგზავრების სურათს, სულ უფრო და უფრო სასაცილოს ხდის მას, რათა ამთავითვე შეგვიმუშაოს წარმოდგენა ამ უცნაური მოგზაურობის მთელ ისტორიაზე.

აი, პლატონი კაზმავს თავის „ბედაურს“ და უკანასკნელ წუთში აღმოჩნდა, რომ მოსართავის აბზინდს ენა არ ჰქონია:

„— აი, ამოგივარდა პატრონი! — მიაძახა პლატონმა, მოსართავს რომ ხელი მოჰკიდა. — მეიტა, მელანო, ჩხინკი იქნება რამე, ენა არ ქონებია აბზინდს, მეიტა მალე, თუ ქალი ხარ!

დაამაგრა მოსართავი ჩხინკით პლატონმა, დაიხურა ქუდი, გადაიგდო ბეჭებზე ყაბალახი, მოხსნა თავისი თეძოებამობუსკული რაში და თითქმის წაათრია უგულოდ მიმყოლი ცხენი ჭიშკრისაკენ“.

პლატონის გამგზავრების სცენა იმდენად სასაცილოა, თანაც იმდენად დამახასიათებელი აზნაურული ყოფისათვის, რომ მწერალი არ ზოგავს საღებავს, რათა უფრო მკაფიოდ აღბეჭდოს იგი მკითხველის მეხსიერებაში.

„ — ეს ბედაური ვის გამოართვა, მელანო ჩემო?—მიმართა ბეკინამ ჭიშკრიდან უკან გამობრუნებულ რძალს.

— პავლია ღომიაშვილს, ბატონო!

— არ დაუვარდეს გზაში, შე ქალო! — გაიცინა მოხუცებულმა.

— სხვის შესახედავად წეიყვანა, ბატონო... სასირცხვილ-სანამუსოთ, თვარა სხვებრ რას არგია!“

ასე დაიწყო სადედინაცვლოს მაძებარი პლატონის მოგზაურობა თავისი „გახრეკილი ბედაურით“ და სწორედ ამ მოგზაურობის აღწერილობა წარმოადგენს „სამანიშვილის დედინაცვლის“ ძირითად ნაწილს. იგი იშლება როგორც ერთიანი, გარკვეული კომპოზიციური გეგმით შესრულებული პანორამა, რომლის სივრცეზეც მკითხველის თვალწინ იხატება ახალი და ახალი ტიპები, ახალი და ახალი სურათები, ერთმანეთზე უფრო მშეტყველად და მკაფიოდ დამახასიათებელნი იმერეთის სოფლის, აზნაურული წრის ყოფა-ცხოვრებისა.

აი, პლატონს წამოეწია ვიღაც ცხენოსანი. პლატონს არაფრად ესიამოვნა თანამგზავრის დანახვა. მას მარტოდ უნდა სია-

რული. ფეხდაფეხ უნდა მიჰყვეს თავის ცხენს, ხოლო სხვასთან ერთად მოგზაურობისას იგი იძულებულია ცხენზე შეჯდეს.

მგზავრი გაურბის და უფრთხის თანამგზავრს. ადამიანს მარტოობა უნდა, მას რცხვენია სხვისი, ეშინია, რომ სხვამ გაიგოს მისი ნამდვილი ვითარება. ასეთია ამ ადამიანთა მდგომარეობა.

თანამგზავრი გამოდგა სოფლის ადვოკატობით ცნობილი აზნაური ივანე გვერდევანიძე, „წვერებმოპარსული, კაზიროკქუდიანი, ქოლგით იღლიის ქვეშ, წითური სახის კაცი“.

ივანე გვერდევანიძის სახით მწერალმა აზნაურული წოდების ერთი წრის ტიპიური პორტრეტი მოგვცა, ისეთი ადამიანებისა, რომლებსაც გადაუწყვეტიათ რაიმე საშუალებით თავი დააღწიონ კარზე მომდგარ სიღატაკეს და ამ მხრივ აუმუშავებიათ თავიანთი მოქნილი ენა და ცბიერებაში, სხვის მოტყუებაში და გამორჩენის მოპოებაში გაწაფული გონება.

ივანე გვერდევანიძესთან მუსაიფში პლატონმა შემთხვევით გაიგო მისთვის მეტად მნიშვნელოვანი და სასიამოვნო ამბავი. თურმე სოფელ ქვედურეთში, აზნაურ ბრეგაძეების ოჯახში ყოფილა ერთი ქვრივი, რომელსაც ორი ქმარი გარდაცვლია და არც ერთისაგან შვილი არ დარჩენია. ამ ამბავმა იმედით და სასოებით აღაფრთოვანა სადედინაცვლოს მაძიებელი და ისიც კმაყოფილი დარჩა გვერდევანიძესთან ამ მოულოდნელი შეხვედრის, თუმცა ადვოკატის თოხარიკი ცხენის აყოლებით ჭენებამ არაქათი გამოაცალა მის „გახრეკილ“ ცხენს და სრულიად უვარგისი გახადა ის შემდგომი მგზავრობისათვის.

მალე პლატონისა და გვერდევანიძის გზები გაიყარნენ. თანამგზავრები დაშორდნენ ერთმანეთს და მცირე ხნის შემდეგ პლატონი მიადგა თავისი დის — დარიკოს ეზოს. დარიკო ცოლად ჰყავდა აზნაურ კირილე მიმინოშვილს. ამ უკანასკნელის სახით მკითხველის თვალწინ წარმოსდგება კიდევ ერთი თავისებური და სავსებით დამახასიათებელი ტიპი აზნაურული წოდებისა. იგი ერთი უდარდელი, უზრუნველი ახალგაზრდა კაცია, რომელიც მუდამ ქეიფსა და დროსტარებაშია გართული და მხოლოდ ამაში ხედავს ცხოვრების ერთადერთ აზრსა და დანიშნულებას.

„— ჩვენ გახლავართ მიმინოშვილები!“ — თავმომწონედ

გაიძახის კირილე: „მიმინოს შვილები... მიმინოს!.. ჩვენთან რა უნდა მწუხარებას.... ჩვენ თავს არავის არ დავატყვევებინებთ... გვაროვნობით ვართ ასე... სადაც სიამეა და მოლხენა, იქ ჩვენც ვართ. ასე მოგვდგამს გვაროვნობით! აბა, შენი ჭირიმე, ორიოდე დღე ვიცოცხლო, გული მწუხარებით ევივსო, მოლხენა დავიკლო და ისე წავაყრევიო ზედ მიწა? შენც არ მომიკვდე! მაგაზე მეტი სისულელე იქნება? კაცი მუდამ მხიარული უნდა იყვე და სხვასაც იამება შენი შეხედვა...“

ასეთია კირილეს „ცხოვრების ფილოსოფია“ და განა მარტო კირილესი?! მიმინოშვილის ამ სიტყვებში გამოთქმულია სულისკვეთება აზნაურული ახალგაზრდობის მთელი იმ თაობისა, რომელსაც ამ წოდების დაცემა-დაკნინების უკანასკნელ საფეხურზე დაუკარგავს ყოველგვარი უნარი რაიმე სასარგებლო და შინაარსიანი ადგილის მოპოვებისა ცხოვრებაში და ამიტომაც მთლიანად მისცემია ლოთობა-გართობის უაზრო, ერთფეროვან სტიქიას.

კირილე გამუდმებულად ცხენზე ზის და გზაზეა დამდგარი. ეძებს, თუ სადმე ქორწილს წააწყდა ან სატირალს, ან წვეულებას. ხან ერთ ნათესავს მიადგება კარს, ხან მეორეს და ასე წლიდან წლობამდე უნაყოფო ხეტიალში, სმაში, აყალ-მაყალში მიდის მისი დღე და წუთისოფელი.

პლატონის მოსვლისასაც კირილე უკვე გზაზე იყო დამდგარი და სადღაც, ალბათ მორიგ წვეულებაზე მიეჩქარებოდა. გზიდან დააბრუნეს იგი დიდი ხნით უნახავი ცოლისძმის სტუმრობის გამო.

პლატონმა უამბო დასა და სიძეს თავისი მოსვლის, თავისი მოგზაურობის ნამდვილი მიზეზი. რამდენადაც დარიკო გააკვირვა და შეაშფოთა პლატონის ნაამბობმა, იმდენად გაამხიარულა მან კირილე. უკანასკნელმა მტკიცედ გადაწყვიტა, თან წაჰყოლოდა პლატონს, ვითომცდა „სიმაურისათვის უნდა გეისარჯოს“. ნამდვილად კი მან მოხერხებული შემთხვევა იშოვნა, რომ კარდაკარ იაროს და სადმე ქეიფ-წვეულებას გადაეყაროს.

დამ და სიძემ ვახშამი გაუმართეს პლატონს და იმ ვახშმობის აღწერისას მწერალმა კიდევ ახალი შტრიხებით შეავსო მიმინოშვილის პორტრეტი, კიდევ ერთხელ გამოათქმევინა მას

თავისი აზრი ცხოვრებაზე, ადამიანისა და ოჯახის დანიშნულებაზე: „აბა, რათ მინდა ოჯახი, თუ ჩემთან მოსული კაცი, მერე კიდევ რა კაცი, ცოლისძმა, ქორწილში რომ მპატიჟობს, არ დავათვრე, არ დავალევიე რჯულზე... რომ ასე არ ვუქნა, მასთან რომ მივალ, აღარც მე დამალევინებს და წყალნასვამს გამომისტუმრებს... რაზე ვუმტრო ჩემ თავს? რატომ ვქნა ეგ?.. ხა, ხა, ხა... სულელი ვარ? თუ გიყვარდე, ერთბაშად გამოცალე ეგ ყანწი... სადედინაცვლოს სადღეგრძელო!.. მაგრე, მაგრე!.. შენი ჭირიმე, ბეზ კაპლი, ბეზ! — ხრიალობდა კირილე კიდევ დიდხანს“.

ბევრი ვაი-ვაგლახი დაატეხა თავს პლატონს ასეთი სიძის თანამგზავრობამ. თითქმის ძალდატანებით წაიყოლია პლატონი კირილემ ქორწილში შაფათაძისას, სადაც ჭირვეულმა მიმინოშვილმა სრულიად უმიზეზოდ ჩხუბი და დავიდარაბა ასტეხა და პლატონიც იძულებული გახდა ამ ჩხუბში ჩარეულიყო.

მთელი ეს სურათი შაფათაძის ოჯახში გაჩაღებული ქორწილისა, მახარობლის „შემოფრენისა“, სიძისა და მისი მაყრიონის მობრძანებისა, „გახურებულ“ სმა-მოლხენისა და დასასრულ, ყოველივე ამის დამაგვირგვინებელი უმიზეზო აყალმაყალისა და ცემა-ტყეპისა მოთხრობაში აღწერილია ცხოვრების ისეთი ღრმა ცოდნით, საყოფაცხოვრებო მასალის ცხოველმყოფელი ხატვის ისეთი ძალით, რომელიც ახასიათებს დიდ ლდიაშვილს, როგორც ჭეშმარიტად დიდ რეალისტ მხატვარს.

ქორწილის მეორე დღეს, ჩოხებშემოხეული და ნაცემ-ნატეპი სიძე-ცოლისძმა გზას გაუდგნენ და სამანიშვილის სადედინაცვლოს კვალის საძებნად კირილეს მამიდასთან — სალომესთან მივიდნენ. სალომე ცოლად ჰყავდა შეძლებულ აზნაურს ჯიმშერ სალობერიძეს, რომლის ოჯახის კარიც მუდამ ღია იყო მოლხენისა და დროსტარებისათვის მოსიარულე ახალგაზრდა აზნაურებისათვის. კირილესა და პლატონის მისვლისას, როგორც ყოველთვის, აქ თავი მოეყარა ასეთ ახალგაზრდობას. კირილემ თავისი შესაფერი სარბიელი ჰპოვა. აქაც გაჭირვეულდა, ერთი ალიაქოთი ასტეხა და სიმთვრალით გონებადაკარგულმა, უმიზეზოდ განაწყენებულმა დასტოვა ეს ოჯახი.

ჯიმშერ სალობერიძისას კირილეს მიერ დატრიალებული

შფოთის აღწერით ავტორმა თითქოს დაასრულა მიმანიშვილის სურათის, მისი, როგორც გარკვეული ტიპის ხატვა და რაკი კიდევ მეტის თქმა ამ პიროვნების შესახებ საჭირო აღარ იყო ძოხერხებულად გაიყვანა იგი მოთხრობის სარბიელიდან.

მხატვრული ზომიერების გრძნობით ნაკარნახევი ასეთი ჩერხი დამახასიათებელია დავით კლდიაშვილის სამწერლო სტილისათვის.

სალობერიძის შეძლებული ოჯახისა და თვით ჯიმშერის პიროვნების დახატვით მწერალმა კიდევ ერთი ახალი მოტივი შეიტანა მის მიერ მოცემულ აზნაურული ყოფა-ცხოვრების ამსახველ ვრცელ სურათში.

ჯიმშერი იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს გაღატაკებული აზნაურობის წრეში. იგი გონიერი მეურნეა და შეძლებული მოსახლეც. ასეთებიც იყვნენ აზნაურთა შორის, მაგრამ მათი არსებობა, რა თქმა უნდა, ვერ სცვლიდა იმ საერთო მდგომარეობას, რომელშიც მთელი წოდება, მთელი კლასი იყო ჩაყენებული. ჯიმშერ სალობერიძის შეძლებული ოჯახის ფონზე კიდევ უფრო მკაფიოდ და მწვავედ გამოჩნდა სახე აქ შეკრებილი გაღატაკებული აზნაურობისა, რომლის ყველაზე დამახასიათებელ ტიპს ამ შემთხვევაში არისტო ქვაშავაძე წარმოადგენს.

აზნაურ არისტო ქვაშავაძეს თურმე სახლიც კი არ ჰქონია. მის ეზოში თურმე მხოლოდ ფიცრები ჰყრია, რომლებიც მას ძმებთან გაყოფისას რგებია. ერთი სვეტი დაუდგამს და „მასპარობისათვის“ მარტო ერთი კარი აუკიდებია ამ სვეტზე. თვითონ კი ეს „უსახლკარო ფეოდალი“ იძულებულია დაუსრულებლივ იხეტიალოს, რომ სადმე სტუმრობა-მოლხენას წააწყდეს და ამრიგად თავი გაიტანოს. აზნაურული „კუდაბზიკობის“ გამო არისტოს დაუპატიჟნია ვიღაც მასავით უქმად მოხეტიალე აზნაური და რაკი საკუთარი სახლი არ გააჩნდა. „ჯახანი“ ნათლიმამისას მიუყვანია სტუმარი და იქ დაუთვრია იგი, ამნაირად მოუხდია ვალი სტუმრის წინაშე.

აი, ამ არისტო ქვაშავაძეს გაეცნო პლატონი სალობერიძეების ოჯახში. არისტო ახლო ნათესავი გამოდგა ქვედურეთელი ბრეგაძეების იმ ქვრივისა, რომლის შესახებაც პლა-

ტონს სოფლის ადვოკატი გვერდევანიძე ელაპარაკებოდა.

არისტომ თვითონ შესთავაზა პლატონს სადედინაცვლოდ ეს ორნაქმარევი უშვილო ქვრივი და თვითონვე იკისრა მაჯანკლად გახდომოდა საკუთარ მამიდას.

პლატონმა და არისტომ ქვედურეთისაკენ გასწიეს. აქ კიდევ ერთი აზნაურული ოჯახის აღწერით მწერალი ჩვენს თვალწინ გადაშლის კიდევ ერთ სურათს ამ წოდების ყოფაცხოვრებისა. ყველაფერი აქ ღრმად არის აღბეჭდილი გაღატაკებისა და ამასთანავე ზნეობრივი და გონებრივი დაკნინების დაღით.

დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს აქ მოთხრობილი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა არისტოს ფეხებში ვეებერთელა ჭოლოკი, რომელსაც სტუმრებისათვის დასაკლავად განწირულ ქათამს ესროდნენ მასპინძლები.

ეს ეპიზოდი ზედმიწევნით დამახასიათებელია გაღარიბებული აზნაურობის სტუმარ-მასპინძლური ტრადიციისა.

პლატონმა გაიცნო და დიდადაც მოიწონა ბრეგაძის ქვეყანი. საქმე მოგვარდა. ბეკინას შერთეს ელენე. მხიარული ქორწილიც გადაიხადეს და სამანიშვილის ოჯახში თითქოს ბოლო მოეღო დროებით შეშფოთებას. პლატონი საბოლოოდ დამშვიდდა და კვლავ ძველებური კმაყოფილებით განაგრძო შრომა და ცხოვრება.

მაგრამ განა დიდხანს გაგრძელდებოდა ეს „ცოტათი შემოტყუებული ბედნიერება“, ეს „სუსტ საფუძველზე დამყარებული კმაყოფილება“?

ერთ დღეს პლატონის მეუღლემ, მელანომ, რაღაც უცნაური შენიშნა ელენეს. მას ეჭვი აღეძრა, თითქოს ელენე ფეხმძიმედ იყო და ამ ეჭვის გაზიარებით თავზარი დასცა პლატონს.

ერთ ხანს პლატონი ცდილობდა გული დაემშვიდებინა, თავი დაერწმუნებინა, რომ მელანოს ეჭვები უსაფუძვლოა. მაგრამ მისი მთელი არსება ამ ეჭვით აღძრულმა შიშმა შეეპყრო: მან სავსებით დაჰკარგა მოსვენება და ძილშიც კი სიზმრად იმ საშინელებას ხედავდა, რომელიც, პლატონის წარ-

მოდგენით, თავს დაატყდებოდა მის ოჯახს, თუ მართლა ელენესაგან ბეკინას შვილი შეეძინებოდა.

კოშმარული სიზმარი ნახა პლატონმა. მას ესიზმრა, თუ როგორ გამართლდა მელანოს ეჭვი, თუ როგორ გაუჩნდა პლატონს ოჯახის გამყოფი და მონაწილე, თუ როგორ დაირღვა და შუა გაიყო სამანიშვილების სახლკარი, ავეჯი, მთელი მათი ქონება, ბატ-ქათამ-ინდაურით გათავებული.

პლატონ სამანიშვილის ამ სიზმრის მომთხრობი ეპიზოდი ამ ნაწარმოების უძლიერეს ადგილს, საერთოდ, დავით კლდიაშვილის შემოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო ფურცელს წარმოადგენს. პლატონის შიში გამართლდა. ელენე მართლაც ფეხმძიმედ იყო და თავზარდაცემული პლატონი ხედავდა, თუ როგორ ახლოვდებოდა მისთვის საბედისწერო დღე ქონების მონაწილის დაბადებისა. ელენეს მუცლის მოშლის ყოველგვარი იმედი ამაო გამოდგა, თუმცა ერთხელ გამწარებულმა პლატონმა მუცელში წიხლის ჩაკვრაც კი მოუნდომა დედინაცვალს.

ამაო გამოდგა აგრეთვე სამანიშვილების უკანასკნელი იმედიც, რომ ელენეს ეგებ ქალი ჰყოლოდა და არა ვაჟი. სინამდვილე კვალდაკვალ აქარწყლებდა საბრალო აზნაურის ყველა იმედს. ელენეს სწორედ ვაჟი დაებადა.

პლატონი დაუყოვნებლივ გაეყარა მამას. მისი გული ვერ მოალბო უსაზღვროდ შეწუხებული მოხუცის თხოვნა-მუდარამ. საყვარელი შვილის გაშორებით დაჯავრიანებული ბეკინა მალე გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან დაიბარა პლატონი და ცხარე ცრემლით შეავედრა მას უდანაშაულო დედაბერი ელენე და მით უფრო უდანაშაულო უმწეო ყრმა.

მაგრამ ამანაც ვერ იმოქმედა პლატონზე. იგი სამუდამოდ მტრად გადაეკიდა დედინაცვალს და უმცროს ძმას.

ასე სამწუხაროდ დაბოლოდა სამანიშვილების ოჯახის თავგადასავალი. ეს ამბავი ღრმა განზოგადებითი ძალით განასახიერებს ისტორიულ ბედს მთელი აზნაურული წოდებისა, რომლისთვისაც დამღუპველ უბედურებად ქცეულა ცხოვრების ნორმალური განვითარების ყოველი ბუნებრივი მოვლენა.

დავით კლდიაშვილის მოთხრობებს შორის „ქამუშაძის გაჭირვება“ ყველაზე ვრცელია მოცულობით, ყველაზე რთული სიუჟეტის კომპოზიციით და ყველაზე მრავალფეროვანი ტიპაჟის მხრივ. [ამ ნაწარმოებში მწერალმა კიდევ უფრო ფართოდ და უფრო მეტი მძაფრი საღებავებით ასახა ფეოდალური სამყაროს რღვევა-დაკნინების პროცესი, გვიჩვენა აზნაურთა უკიდურესი გაღატაკება, მათი ყველა იმედისა და მოლოდინის გაცამტვერება, მათი „ბუდეების“ ულმობელი ნგრევა, მათი კარ-მიდამოების სრული გაპარტახება.]

ამ მოთხრობაში დავით კლდიაშვილმა ერთმანეთს დაუპირისპირა სოფელი და ქალაქი, თავისებური გაშუქება მისცა „თავმომწონე, უფრო ღონიერი“ ქალაქის ძლევამოსილებას „მისუსტებულ სოფელთან“ ბრძოლაში და ასახა აზნაურული წოდების შვილთა ლტოლვა ქალაქისაკენ, სადაც მათ. სოფლად საბოლოოდ ნიადაგგამოცლილთ, რაღაც თავშესაფარი, გაჭირვებასა და სიღატაკისაგან თავდაღწევის საშუალება ეგულებოდა.

მოთხრობის მთავარი გმირი — გაღარიბებული აზნაურიოტია ქამუშაძე თითქოს შერიგებია ბედს, დაუვიწყნია წოდებრივი ამპარტავნობა, თოხისა და სახნის-სახვნელისათვის მოუკიდნია ხელი და როგორც მისი მეზობელი გლეხები. ისიც თავისი შრომით, წლიდან წლამდე დაუსრულებელი ჯაფითა და ოფლის ღვრით არჩენს ოჯახს.

[მაგრამ ოტიას შეგნებაში მაინც საბოლოოდ როდია ჩამქრალი და ჩახშობილი აზნაურული სიამაყის, გვაროვნული უპირატესობის კვალი, „— მე ჩემს კეთილშობილებას ვერავინ წამართმევს და ვერც ვერავინ რამეს დამაკლებს“, — ამბობს იგი. თუმცა სინამდვილეში მის ყოველდღიურ ცხოვრებას აღარაფერი ეტყობა ამ „კეთილშობილობისა“ და არც რაიმე საფუძველი გააჩნია გაჭირვებულ ქამუშაძეს ამგვარი სიამაყისათვის.

უფრო მეტის თავგამოდებით ებღაუჭება თავის „კეთილშობილობას“ ოტიას დედა — ეკვერინე, რომელიც სხვის შესახედავად გულს არ იტეხს, თითქოს ქიდს არ იხრის და ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში მზადაა ხაზი გაუსვას თავის „გვა-

როვნულ წარჩინებულებას, თავისი ოჯახის უპირატესობას სხვებთან შედარებით, იტრაბახოს წარსულით და თუმცა უსაფუძვლოდ, მაგრამ მაინც იმედიანად უყურეს მომავალს.

ოტიასა და ეკვირინეს, განსაკუთრებით კი ეკვირინეს, ვერ აუტანიათ, რომ მეზობლად მცხოვრებმა, თითქმის მათსავით გაღატაკებულმა აზნაურმა ქველიძემ სიძედ დაიწუნა ოტია ქამუშაძე, უარი თქვა მიეთხოვებინა მისთვის თავისი უფროსი ქალიშვილი ნინო.

ეკვირინეს აზრით. ეს ყოვლად მოუთმენელი შეურაცხყოფა და დაუმსახურებელი დაწიხლვა იყო ქამუშაძეების ოჯახისა. ამიტომ ეკვირინეს ჩვეულებად გადაექცა სარდიონ ქველიძის ოჯახის მუდმივი გაკილვა და კიცხვა-გინება. ამავე დროს მის ერთადერთ ოცნებად იქცა ოტიასათვის ნინოზე უკეთესი საცოლის გამოძებნა, რომლის მეოხებითაც აღდგენილი იქნებოდა ქამუშაძეების შელახული თავმოყვარეობა.

მასპინძლების ამგვარ განწყობილებას მოხერხებულად აუღო ალღო ქამუშაძეებთან სტუმრად მოსულმა, გაქნილმა და გაიძვერა პორფირ ბიაშვილმა. ეს უკანასკნელი ქალაქად გახიზნული აზნაური იყო. ჯერ კიდევ მისი მამა — ღატაკი აზნაური გამოქცეულა სოფელს და თავი შეუფარებია ქალაქისათვის, სადაც ეპისკოპოსთან მოწყობილა მგალობლად და ამ ხელობით ურჩენია ოჯახი, დაუზრდია შვილები.

პორფირს ცხოვრების სხვა გზა აურჩევია. იგი ერთხანს მთავრობის ბიუროკრატიულ აპარატში შემძვრალა, რათა სხვადასხვა ხრიკებისა და კომბინაციების საშუალებით იოლად მოეპოვებინა „კეთილი ცხოვრება". ხოლო როცა მისი ამგვარი საქმიანობა გამომჟღავნებულა, პორფირი გასცლია კანცელარიას, საკუთარი კანტორა გაუხსნია საჩივრებისა და სხვა საქმიანი ქაღალდების შედგენა-დაწერისათვის და თანაც სოფლებში ვექილობა დაუწყია. დადის პორფირი სოფლიდან სოფელში და, როდესაც ერთ სოფელში ამოწურავს გამოსარჩენს, ან რაიმე შემთხვევის გამო სახელს გაიტეხს, მეორე სოფელს აირჩევს „მოსაქმელად" და იქ გადაინაცვლებს.

პორფირის სახით, მისი თაყვანისცემის თხრობით მწე-

რალმა გაგვაცნო ტიპიური გზა ქალაქად გაბიზნული გაღატაკებული აზნაურობის ცხოვრებისა. გვიჩვენა, რომ სოფლად პარაზიტულ ცხოვრებას შეჩვეული ადამიანები ქალაქშიც მოკლებული არიან რაიმე დადებითი და სასარგებლო შრომის უნარს.

აი, ამ პორფირს ახლა თამარნაშენი, ქამუშაძეების საცხოვრებელი სოფელი აურჩევია თავის მორიგ სამოღვაწეო ასპარეზად, გაუხსენებია რაღაც შორეული ნათესაობა ქამუშაძეებთან და კარზე მიდგომია მათ.

ქამუშაძეების მაღლობზე წამომდგარი სახლის აივნიდან გადასცქერის პორფირი ღატაკ სოფელს, ხედავს ისლით დახურულ ქოხებს აქ მცხოვრები გლეხებისა და ფიქრობს. „— მეც ამათსავით ვიქნებოდი უსათუოდ, დროზე რომ არ გავქცეულიყავი სოფლიდან, რასაკვირველია, რასაკვირველია!“ იგი ზომავს აქაურობას იმ თვალსაზრისით, თუ რამდენი გამოსარჩენის შოვნა შეიძლება, რამდენი მოსატყუებელი და „გასაფცქვნელი“ კაცი შეიძლება აღმოჩნდეს ამ პატარა საწყალ სოფელში.

ქამუშაძეებთან სადილობისას პორფირმა გაიგო ამ ოჯახის მთავარი სატკივარი და აღუთქვა ეკვირინეს, რომ ოტიასათვის ისეთ ქალაქელ საცოლეს გამონახავს, რომლის ჩრდილადაც კი არ ეღირება სარდიონ ქველიძის ქალიშვილი.

ამ დაპირებით აღფრთოვანებული ოტია ეახლა პორფირს, რომელიც სოფლის „კანცელარიისაკენ“ მიეშურებოდა, რათა იქ შეკრებილ სოფლელებს გასცნობოდა, საქმე ეშოვნა, მორიგი მსხვერპლი ჩაეგდო ხელში.

აქ, სოფლის „კანცელარიის“ ეზოში თავმოყრილ გლეხებისა და აზნაურთა საუბრის აღწერისას, მწერალმა დახატა არა ერთი მეტად ტიპიური ეპიზოდი სოფლის დუხჭირი ყოფაცხოვრების, კერძოდ, აზნაურთა დაკნინებული მდგომარეობის დასახასიათებლად. აი, სოფლელთა ერთი ჯგუფი გაცხარებულ დავასა და ჩხუბშია გართული და თურმე ისინი ეკალასგულისათვის ჩხუბობენ, რადგანაც აქ ეკალაც სანატრელი გამხდარა, ეკალასაც „ოქროს ფასი დასდებია“.

აი, დიდი ხის ჩრდილში დამსხდარა სოფლის „დიდკაცო-

ბა“ — ადგილობრივი აზნაურობა და უცხო სტუმრის, პორ-
ფირის გამოჩენის გამო გაცხოველებულ საუბარში ბევრ რა-
მეს საყურადღებოს და დამახასიათებელს ამბობენ.

რად ღირს, მაგალითად, ერთი აქ მყოფი აზნაურის სერა-
ფიონ გორდელაძის ნაამბობი თავისი ძაღლის კუსიას შესახებ.

„ — დილას, ბატონო, რომ ადგება, კაი დაკვირვებული
ადამიანივით შემოირბენს სახლის ყოველ კუთხეს... ერთი წაქ-
ცეული სამზარეულო მაქვს, იქაც მისუნავს-მოსუნავს და თუ
შეხედა, რომ სახლში არაფერი არ კეთდება, ერთი გავარდება
ეზოდან, შემოირბენს მეზობლებს, სად კეციდან ჭადს აგ-
ლეჯს, გამოიტანს და მოარბენინებს, სად ქათამს ფრთას წაგ-
ლეჯს და მოაწანწალებს, სად კვერცხს გამონახავს, ხანდახან
ჩადებულსაც არ დამიწუნებენო, გადასწყვეტს და აგერ რომ
გვგონია, დღეს უსადილოთ ვრჩებით, გადაწყვეტილი გვაქვს,
ეს ღვთისნიერი სულდგმული ხელად ამივსებს ცარიელ სუფ-
რას ათასნაირი საჭმელებით... თითქო მეზობლებისაგან სა-
ჩუქრები მომსვლოდეს“.

ერთი ახალგაზრდა აზნაური სერაფიონს აფრთხილებს,
რომ ვინმე მოუკლავს მას ამ მტაცებელ ძაღლს. ამაზე სერა-
ფიონი უპასუხებს:

„ — მამაჩემი აზნაური ქაიხოსრო გორდელაძე რომ გა-
ცოცხლდეს და რაიმე რომ აწყეინოს ჩემს კუსიას, იმას ჩავა-
ბრუნებ საფლავში, თვარა სხვა რით გადამირჩება, რომ ჩემს
მაცხოვრებელს რამე მოსწიოს! ბატონო, სხვა არაფერი შემრ-
ჩენია... ძაღლით ვრჩები. იმ ზომამდის მივაღწიე პატიოსანმა
აზნაურმა და ცოცხალი გადამირჩება, ვინც მას ხელს მიხ-
ლებს? თქვენც არ მომიკვდეთ“.

ცხადია, რომ სერაფიონის ამ ნაამბობში არის ხუმრობის
ელემენტიც, ერთგვარი გადაჭარბებაც, მწერლის მიერ გან-
ზრახ გამძაფრებული ირონიაც. მაგრამ საერთოდ, მთელი ეს
ამბავი იმ თანაც სასაცილო და თანაც სავალალო ყოფას გვი-
სურათებს, რომელშიც მოაქცია კაპიტალისტური განვითარე-
ბის ხანამ თავადაზნაურული წოდება და რომლის ასახვასაც
მოანდომა დავით კლდიაშვილმა თავისი იშვიათი მხატვრულ-
ნიჭი და უნარი.

ქალაქს დაბრუნებული პორფირი შეუდგა ოტიასა და ეკ-ვირინესთვის მიცემული დაპირების შესრულებას. ოტიას საცოლედ მან შეარჩია თავისი ახლო მეგობრის — ბეგლარ ჯინ-ჭარაძის და სონია, რომელიც დიდი ხანია გასათხოვარ ასაკში იყო შესული და ამიტომაც პორფირს უნდა გაადვილებოდა სონიას ძმისა და დედის დათანხმება მის გათხოვებაზე, მით უფრო, რომ გაუთხოვარი მოწიფული ქალის შინ ყოფნა ერთ-გვარად აფერხებდა ბეგლარის დაცოლშვილების საქმესაც.

ჯინჭარაძეების ოჯახის აღწერით მწერალმა თვალწინ დაგ-ვიყენა ქალაქს შეფარებული კიდევ ერთი აზნაურის ოჯახის ცხოვრების ისტორია, რომელიც ბევრად არაფრად განსხვავ-დებოდა პორფირ ბიაშვილის ოჯახის თავგადასავლისაგან. და, მაშასადამე, ტიპიური, დამახასიათებელი იყო სოფლური ცხოვრების მიერ ქალაქს გადმოსროლილი მრავალი ასეთი ბიაშვილებისა და ჯინჭარაძეებისათვის.

მართლაც ადვილად დაითანხმა პორფირმა ბეგლარი და მისი დედა პელაგია. დანიშნულ დროს ქალის სანახავად მოიყ-ვანეს სოფლიდან ჩამოსული, საგანგებოდ მორთულ-მოკაზ-მული ოტია.

მრავალი კურიოზით, მრავალი სასაცილო წვრილმანით არის აღსავსე ოტიასა და მისი საცოლის — სონიას პირველი შეხვედრის, მათი ურთიერთგაცნობის სცენა. სონია პირვე-ლად გაკვირდა და შეშფოთდა. შემდეგ დედამ და ძმამ გასტე-ხეს მისი წინააღმდეგობა და დაითანხმეს ცოლად გაჰყოლოდა ოტიას. საზღვარი არა აქვს ოტიას კმაყოფილებას. იგი ახლა მხოლოდ ერთ რამეს იხვეწება: „იყოს ისე, თქმულად, ცარი-ელ სიტყვად, რომ ვითომც ბეგლარს დისთვის ხუთასი მანეთი მიეცეს მზითვათ... ცარიელი სიტყვა ქვეყნის გასაგონად, თო-რემ ფულის თხოვას როგორ გაუბედავ, ისიც კმარა ჩემს თავ-ზე, ქვეყნის გასაგონად ითქვას ოღონდ!“

ამაზე ადვილად დაეთანხმენ ოტიას. საქმე მოგვარდა. მთელს სოფელს ელვის სისწრაფით მოედო ეს ამბავი. ეკვი-რინე ცას სწვდება სიხარულით. უმთავრესი მისთვის ის არის, რომ ქველიძეების სასაცილოდ არ გახდა ქამუშაძეების ოჯა-

ხი. პირიქით, ახლა ეკვირინე დასცინის და აბიაბრუებს სარდიონ ქველიძეს:

„გვერდში ამოუყენოს ჩემს რძალს მათი სოფლის ნაცარში ამოქანქლილი ქალაბატონი!... თავისი ტყედ წასული შვილის გაუტოლოს ბეგლარ ჯინჭარაძეს, მაგათმა სიცოცხლემ. დაესხათ მაგათ თავსლაფი!..“

ქორწილმა მხიარულად ჩაიარა. ქამუშაძეებმა თავი არ დაზოგეს, ხარჯს არ დაერიდნენ. ბეგლარიც კმაყოფილი დარჩა სიძის ოჯახით. თითქოს ბედნიერად დაიწყო ოტიასა და სონიას ცხოვრება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთის შეხედვით. მხოლოდ „სხვის დასანახად“.

ნამდვილად კი სოფლად დარჩენილი სონია თავიდანვე. ქორწილის მეორე დღიდანვე შიშმა აიტანა. მას ეუცხოვა ეს საოცარი სიჩუმე, სიცარიელე და უძრაობა, რომელიც ქალაქში აღზრდილ ქალს განსაკუთრებულად თვალში მოხვდა სოფლური ცხოვრების პირველ გაცნობისთანავე.

„— ღმერთო ჩემო, ამ მიყრუებულში უნდა დავლიო ჩემი სიცოცხლე? — გაიფიქრა მან და რაღაცამ თითქოს ყელში წაუჭირაო და თანაც თვალებში ჩამოებინდა. სცადა თავს შებრძოლებოდა, თავი შეემაგრებინა, მაგრამ ვეღარ მოახერხა და ცრემლები ნაკადულივით წამოსკდა თვალებიდან“.

ასეთი შიშით და სასოწარკვეთილებით დაიწყო სონიამ ახალი ცხოვრება სოფლად და რაც უფრო ახლოს ეცნობოდა. იგი ქამუშაძეების ოჯახს, მეზობლებს, მთელს სოფელს, მით უფრო მწვავდებოდა და მძაფრდებოდა ქალის ასეთი განწყობილება.

ქალაქელი ქალის შეუჩვეველ თვალს სხვაგვარად, უფრო მეტის სიცხადით ეჩვენება სოფლური ცხოვრების სიდუხჭირის დამახასიათებელი ყოველი მოვლენა, რომელსაც ხანგრძლივად შეჩვეული ადგილობრივი მცხოვრებნი შეიძლება ვეღარც კი გრძნობენ და ამჩნევენ.

თითქოს განზრახ შემოიყვანა მწერალმა ქალაქელი სონია ამ გარემოცვაში, თითქოს განზრახ გაატარა მან ამ უცხო თვალის წინაშე სოფლური ყოფა-ცხოვრების ყოველდღიურობა, რათა ამ „გარედან მოსულ“ ადამიანის შთაბეჭდილე-

ბათა და განცდათა მეშვეობით უფრო მკვეთრად, უფრო მეტის შთაბეჭდილების მომხდენი სიცხოველით დაეხატა გაღატაკებული აზნაურობის ყოფა, სადაც ყველაფერი უმწეოდ და უნუგეშოდ გამოიყურება, სადაც მხოლოდ სამუდამოდ დაკარგული წარსულის მოგონებით, ან კიდევ მომავლის სავსებით უნიადაგო იმედებით ცოცხლობენ.

აი, ეკვირინე ათვალიერებინებს და აცნობს სონიას ქამუშაძეების კარ-მიდამოს, ოჯახის ავლადიდებას: ქვევრები, ბოსტანი, ვენახი, სასიმინდე — ყველაფერს სიღატაკის და სიცარიელის ბეჭედი აზის. ყველაფერი თურმე შარშან იყო ბევრი და გაისადაც კიდევ მეტი და უკეთესი იქნება, იმედია!

„— იცოცხლე, შვილო, ამ ჭურებში შარშან ღვინოები ჩაისხა!.. წრეულსაც, იმედია, ღმერთი კიდევ უკეთესს მოგცემს“. ბოსტანი მქონდა, შენ გენაცვალე, ისეთი ბოსტანი, რომ მარტო ერთი შეხედვით გული გაგეხსნებოდა. გაისადაც ძალიანი ბოსტანი გაკეთდება, შვილო, კიდევ უკეთესი, ცოცხალი ვიყვეთ და!“... „ეს სასიმინდეა, შვილო, ამ ცოტ: ხნის შემდეგ თავამდის ავავსებთ მაგას ვერცხლისფერი სიმინდით...“ „ეს ადგილიც. ამ ნაჭერს, რასაც ხედავ, შვილო, ესეც ჩვენი იყო, მარა ბიძამისმა ომანმა წაართვა შენს ქმარს“.

და ასე გრძელდება ეს დაუსრულებელი „იყო“ და „იქნება“. ახლა კი სონია ხედავს ცარიელ სასიმინდეს, ცარიელ ქვევრებს, გადამწვარ ბოსტანს და ვერ გაუგია, თუ რისი-იმედით ცოცხლობს ეს ხალხი, რას ემყარება მათი ამპარტავნობა და სიამაყე!

„— რისი იმედითაა? რა აქვთ კიდევ საიმედო? — ეკითხებოდა სონია თავის თავს გუნებაში და მთლად მისი ფიქრი ეხლა იქით მიიმართა — გაეგო, თავისი თვალით დაენახა ყოველივე...“

და სონია ეთრო და ეთრო ახლოს ეცნობა ყოველივეს: ესწრება მეზობლის ჯვრისწერას, მიდის ეკლესიაზე უქმე დღის, სიაროლს იწყებს მეზობლობაში და სულ ეთრო უნუგეშო და შემზარავი სურათები იშლება მის თვალწინ.

უმძიმესი შთაბეჭდილება მოახდინა სონიაზე ოტიას ბიძის ლევანისა და ბიცოლა ეფროსინეს ოჯახის ნახვამ. სო-

ნია მოწმე გახდა აუწერელი სიღატაკისა და გაჭირვების. მასპინძელმა სახლშიც ვერ შეიყვანა სონია, კიდევ მეტი, ეზოში სონიას შესვლისთანავე ეფროსინემ სახლის კარები გამოხურა, რათა სტუმარს არ დაენახა ის ჭუჭყი, სიღარიბე და გაჭირვება, რაც მის სახლში სუფევდა.

თვით ლევან ქამუშაძე, მოხუცი აზნაური, რომელსაც წრეს გადასული სიღარიბისაგან „გული მოხარშვია", ლაპარაკის უნარიც დაკარგვია, რაღაც უმოძრაო და უტყვ არსებად გადაქცეულა, გამოიყურება როგორც ერთგვარი სიმბოლური სახე, რომელშიც მთელი წოდების, მთელი კლასის განწირული მდგომარეობაა განსახიერებული.

ეს იყო „მაღალი ტანის, ცოტათი ბეჭებში მოხრილი მოხუცებული. ახალუხზე ყვითელი თასმის ქამარი ერტყა და ზემოდან გაშლილი, რამდენსამე ადგილას დაკერებული ჩოხა ეცვა, ახალუხის შებსნილ საყელოდან უჩანდა ჭუჭყისაგან ქალზე გაშავებული პერანგი"...

„მან შეშინებული კაცივით გადმოაბიჯა ზღურბლზე, გაუბედავად მივიდა წამომდგარ სტუმართან, უნახავ რძალთან და ხელი ჩამოართვა. მერე თვალებზე გადაისვა მარჯვენა ხელი, მიიხედ-მოიხედა და უცბად წამოიძახა, თითქო ახლა მოვიდა გონსაო: — „დაბრძანდით... დაბრძანდით, ბატონო! და ისევ მიჩუმდა".

[ამ უბედური, გაჭირვებისაგან ცოცხალ ლეშად ქცეული კაცის ნახვამ, ირგვლივ გამეფებულმა უკიდურესმა უმწეობამ. ბიცოლა ეფროსინეს ნაამბობმა ამ ოჯახის მწარე ხვედრის შესახებ — ყოველივე ამან გულის სიღრმემდე შესძრა სონია. რადგან ბიძია ლევანის ახლანდელ ყოფაში ქალმა თავისი ქმრის, თავისი ოჯახის მომავალი წარმოიდგინა.]

„ — რა ვნახე, რას ვუყურე, შენ გენაცვალე, რა ამბავია! — იძახოდა გულდათუთქული სონია. — რა მდგომარეობაში ჩაუგდია გაჭირვებას საცოდავები! ვაი, ვაი გაჭირვებული კაცის ბრალი, ღმერთო, რა მოგველის?"

როდესაც შინ დაბრუნებულმა სონიამ ეკვირინესაგან და ჭეზობელი დედაკაცის, სალომესაგან მოისმინა ბიცოლა ეფროსინეს შესახებ გავრცელებული ჭორები, თითქოს იგი „კუ-

ლიანი“ იყოს, თითქოს მას „ამოეჭამოს გული“ ლევანისათვის და სხვა, სონიამ ნათლად დაინახა, თუ როგორი გონებრივი და ზნეობრივი დაკნინება ერთვის მის მიერ ნახულ ნივთიერ სიღატაკეს, და ქალი სრულ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

„— ღმერთო, ღმერთო ჩემო! სად ჩამოვვარდი?.. სად ვარ?.. ღმერთო! — მორეულმა ცრემლებმა მეტი აღარ აცალეს“...

შემოდგომამ გამოაცოცხლა სოფელი და ოდნავ შეანელა თითქოს სონიას სასოწარკვეთილებაც, მაგრამ მხოლოდ წუთიერად, მხიარული შემოდგომა მალე შეცვალა ერთფეროვანმა და გაუხარელმა ზამთრის დღეებმა.

ერთ-ერთ ასეთ ზამთრის საღამოს სონია მოწმე გახდა ისეთი სურათისა, რამაც კიდევ უფრო შეაშფოთა და შეზარა ქალი.

ოტიას ბიძას, ომანს, ვაჟი ჰყავდა ავად. ყმაწვილის მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა და ერთ დღეს აშკარა გახდა, რომ იგი სიცოცხლეს ეთხოვებოდა. ომანი თავის რძალს ეფროსინეს აბრალებდა კოწიას ამ დღეში ყოფას. თითქოს ეფროსინემ, „კუდიანმა“ და ჯადოქარმა ეფროსინემ დაასნეულა და სასიკვდილოდ გაწირა კოწია.

გაშწარებული ომანი კეტით მიუხტა ეფროსინეს. მთელი სოფელი შეიყარა ამ ჩხუბზე და აურზაურზე. ომანმა არ შეიბრალა თავისი უმწეო ძმა ლევანი, არ დაინდო თავისი რძალი ეფროსინე და კეტით სცემა მას. მეზობლებმა ძლივს იხსნეს დედაბერი სიკვდილისაგან. სწორედ ამ დროს გარდაიცვალა კოწიაც. ნაადრევად დაღუპული ყმაწვილის საცოდაობა ზედ დაერთო იმ საშინელებას, რაც სონიამ ლევანის ეზოში ნახა.

კიდევ უფრო მწვავედ იგრძნო სონიამ ის სიბნელე, უმეცრება, სიდუხჭირე, რომელიც სუფევდა მის ირგვლივ. კიდევ უფრო შეაშინა ქალი ყოველივე ამან. „თავზარდაცემული. შიშშეპყრობილი სონია განძრევასაც ვეღარ ახერხებდა, გონება ეკარგებოდა, სიცივისაგან სხეული ულურჯდებოდა და გული უწუხდა უნუგეშო მომავლის წარმოდგენით. ამგვარ ყოფაში მოუსვენრად იმეორებდა: „აბა რაღა ექნა, რაღა

ექნა? რაღა ვქნათ, ღმერთო, ღმერთო! — მას სრულიად მოესპო განძრევის ღონე".

ბაზაფხულზე, როცა მთელი სოფელი და სხვებთან ერთად ოტია ქამუშაძეც სახნავ-სათესად გავიდა ყანებში, სონიამ თავისი თვალით ნახა და შეიგნო, რომ მისი მეუღლე, აზნაური, არსებითად არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი მიწის მუშა გლეხებისაგან, რომ მისი ოჯახის ხვედრიც ის მუდმივი გაუხარელი ოფლის ღვრით მოპოვებული უმწეო ლუკმა უნდა ყოფილიყო, რომლითაც ეს ღარიბი სოფლის ხალხი ცხოვრობდა და სონიას გულში მძლავრად იჩინა თავი აქედან გაქცევის, სოფლიდან თავდაღწევის, ქალაქს გაბიზვნის აზრმა.

კიდევ უფრო მეტად შეიპყრო შიშმა სონია, როდესაც მას ვაჟი გაუჩნდა. ქალს თვალწინ წარმოუდგა ის გაუხარელი. მუდმივ მძიმე შრომასა და სიღატაკეში გატარებული ცხოვრება, რომელიც წილად ხვდებოდა მის პირმშოს, თუ ქამუშაძეების ოჯახი სოფლად დარჩებოდა, თუ იგი ქალაქს არ შეაფარებდა თავს და იქ არ გამონახავდა ადამიანური არსებობის სხვა რაიმე გზასა და საშუალებას.

ერთადერთი, რაც ამ მიყრუებულ და გულისმომკვლელ სოფლურ ცხოვრებაში ოდნავ მაინც ახარებდა და მწუხარებას უმსუბუქებდა სონიას, ეს იყო მეგობრობა სარდიონ ქველიძის ქალიშვილთან, ნინოსთან, სწორედ იმ ნინოსთან, რომელიც თავის დროზე ოტიას საცოლედ ჰყავდა შერჩეული ქამუშაძეების ოჯახს.

სონიას დიდად მოეწონა და გულწრფელად შეუყვარდა ეს ლამაზი, კეთილი და გულისხმიერი ახალგაზრდა ქალი. სონიას ოცნებად ეჩვენა, რომ მის ძმას, ბეგლარს ცოლად შეერთო ნინო. მაგრამ სონიას ეს სურვილიც განუხორციელებელი აღმოჩნდა. ნინოსა და ბეგლარის სამწუხაროდ დაბოლოებული ურთიერთობაც ზედ დაერთო სონიას უბედურებას.

ბეგლარმა მოიწონა ნინო. დისშვილის ნათლობაზე შექეიფებულმა ბეგლარმა საქვეყნოდ „დანიშნა" ქველიძის ქალი. მაგრამ შემდეგ, გაქნილმა და გაიძვერა გაქალაქებულმა აზნაურმა მოინდომა ბოროტად ესარგებლა ამ შემთხვევით და ისეთი დიდი მზითევი მოითხოვა, რომლის მიცემასაც ვერაფ-

რით ვერ შეიძლებდა ნივთიერად წელში გატეხილი სარდიონ ქველიძის ოჯახი.

არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ გასჭრა ბეგლარზე. ნინო საქვეყნოდ შერცხვენილი და შეურაცხყოფილი დარჩა. სონია ესაღვროდ წუხდა თავისი ძმის ამგვარი შეუფერებელი საქციელის გამო. მაგრამ ბეგლარი ყოველივე ამას არაფრად აგდებდა. ბეგლარს მხარს უჭერდა პორფირიც.

ერთხელ, როცა სოფლად ჩამოსულ პორფირს სონიამ შეხვედრილა, რომ საბრალო ნინო შეიძლება შეიწიროს კიდეც ამ მწუხარებამ, რომელიც მას ბეგლარმა მიაყენაო, პორფირმა უდარდელი ხარხარით უპასუხა.

„პორფირი სიამოვნებით ხითხითებდა და ხარხარებდა... ამის პირით, თითქო თავმომწონე, უფრო ღონიერი ქალაქი დასცინოდა მისუსტებულ სოფელს. დასცინოდა, თავის გამარჯვებას აქადნიდა და ემუქრებოდა კიდევ მეტს დაჩაგვრას მასთან ბრძოლაში“.

„— ამათია ყორიფელი“, — გაურბინა თავში მტირალ სონიას.

„— ამათ უნდა გავსდიოთ, ჩემისთანებმა მაინც, თუ ქვეყანაზე სიცოცხლე გვინდა“. — თავისთავს ეუბნებოდა გულდაღონებული ოტია“.

ასე თანდათანობით იზრდებოდა და ღრმავდებოდა სონიასა და ოტიას შეგნებაში სოფლიდან გაქცევის, ქალაქს გადახიზვნის გადაწყვეტილება. ყველაფერი, ყოველი ახალი დღემათი ცხოვრების ყოველი ახალი მოვლენა უფრო და უფრო აუცილებელს ხდიდა, უფრო და უფრო განამტკიცებდა მათ ასეთს გადაწყვეტილებას.

როდესაც სონიასა და ოტიას ვაჟი შეეძინათ, ეკვირინემ გადაწყვიტა ბავშვი შეძლებული გლეხისათვის, სიმონ სამადაძისათვის მოენათლინებინა. მართალია, ძნელი იყო ქამუშაძეებისათვის, ამგვარ „დათმობაზე“ წასვლა, გლეხთან თავის გატოლება, მაგრამ სამადაძესთან ამგვარი კავშირის დამყარებას გარკვეული აზრი ჰქონდა გაღარიბებული აზნაურის ოჯახისათვის.

ეს აზრი მთელი სიცხადით გამოთქვა პორფირმა, რომელ-

მაც, როგორც ქალაქელმა კაცმა, უფრო პრაქტიკულად შეხედა საკითხს. როდესაც მას ამ საკითხზე რჩევისათვის მიმართეს, პორფირმა ცინიკურად უპასუხა:

„— დიდის სიამოვნებით! — ნეტავი მეც მომნათლავდეს ის ოჯახდაქცეული, თუ კი მართლა მდიდარია: ცოტა რამეს მაინც გამორჩებოდა კაცი“.

ნათლობაზე გამართული ლხინის დროს მოხდა ისეთი რამ, რამაც კიდევ ერთხელ ნათელი გახადა აზნაურთა წოდების დაქვეითება და ყოველმხრივი დაუძლურება. ერთმა შეზარხოშებულმა აზნაურმა, ბესარიონ ქამუშაძემ „ყაზახობა“ დააყვედრა სამადაძეს და შეურაცხმყოფელად „წაკრა ბლიქვი“; სამადაძემ არ დაუთმო აზნაურს.

„— ყაზახი ვარ! — შეჰყვირა მან წელში გამართულმა, — ყაზახი ვარ, მარა შენისთანა შემოდგომის აზნაუშვილს კიდევ ვჯობივარ!.. თუ ძალაზედაა მობრძანდი, ახლოს მობრძანდი, ისე დაგბუბნო, რომ ღობემდისაც ვერ მიგყვეს შენი დამშეული სული. შენისთანა შემოდგომის აზნაუშვილების რა მცოდნია?“

სონიას თვალწინ დატრიალებულმა ამ ამბავმა ნათლად დაანახვა მას, თუ რამდენი სიმართლეა სამადაძის ამ სიტყვებში, რამდენად უძლური და უმწეოა ამ შეძლებულ გლეხთან შედარებით ეს „წარჩინებული“ აზნაურობა. სონიას შემზარავად ჩაწვდა გულის სიღრმეში ხამადაძის სიტყვები „შემოდგომის აზნაუშვილი“.

და მალე სონიამ თავისი თვალით ნახა, თუ რას ნიშნავს ეს „შემოდგომის აზნაუშვილი“. ზაფხულზე ქამუშაძეებს უკვე სიმინდი გამოელიათ და შიმშილით დაიხოცებოდნენ, რომ სამადაძეს არ მიეცა მათთვის ცოტაოდენი სიმინდი. ამით გადმოიტანეს სიმინდი სამადაძისაგან, რათა მეზობლებს არ დაენახათ აზნაურის ამგვარი გაჭირვება. თითქოს დროებით სული მოიბრუნა ქამუშაძეების ოჯახმა, მაგრამ ამ განწირულ ადამიანებს კვალდაკვალ სდევს ახალი მწუხარება და უბედურება. ეზოფელს ბოქაული მოადგა. სახელმწიფო გადასახადის დავალიანებას ჰკრეფენ და ვინც დაუყოვნებლივ ფულს ვერ წარადგენს, მათ სასიმინდეებს და ბეღლებს უბეჭდავენ. რაკი

ოტიას ფული არ აღმოაჩნდა, მისი ბეღელიც დალუქეს და, ამრიგად, ულუკმაპუროდ დატოვეს მთელი ოჯახი.

ამ ამბით თავზარდაცემული სონია პირველი შეხვედრისთანავე შესძახის გულმოკლულ ოტიას: „— ოტია, ჩვენი აქ დარჩენა სიკვდილია, ოტია, სიკვდილია, ოტია!.. ჩვენ უნდა წავიდეთ, უნდა გავშორდეთ აქაურობას, ოტია, უთუოდ, უსათუოდ, ოტია!“ [illegible]

ასე თანდათანობით მწვავდება და ერთგვარ ტრაღიკულ სიმძაფრეს აღწევს სონიას განცდა, მისი დარწმუნება სოფლად აზნაურობის ხვედრის განწირულობაში, აქედან გაქცევის, თავდაღწევის აუცილებლობაში.

მწერალი კიდევ და კიდევ კუმშავს და ამუქებს საღებავებს. კიდევ ახალ გულისმომკვლელ სურათებს გადაშლის სონიას თვალწინ, კიდევ ახალ უბედურებას დაატრიალებს მის თავზე.

სონია მოწმე გახდა ლევან ქამუშაძის გარდაცვალებისა. აუწერელ გაჭირვებაში, სიღატაკესა და მწუხარებაში ამოხდა სული ამ უბედურ მოხუცს. თავზარდამცემად განიცადეს სონიამ და ოტიამ ლევანის სიკვდილი. ამ საბრალო მოხუცის გამწარებულ სულის ამოხდომაში მათ თავისი ოჯახის მომავალი ხვედრი წარმოიდგინეს.

„ოტია მწარე ცრემლით დასტიროდა ბიძას... ამ მიცვალებულში იგი რაღაც თავის მომავალს ხედავდა“. ლევანის სიკვდილმა უკიდურეს საზღვრამდე მიიყვანა სონიას შეშფოთება, მისი შიში და სასოწარკვეთილება.

„— მშიერი... მშიერი მოკვდა... შიმშილმა მოჰკლა! — ეუბნებოდა თავის თავს გზაში მიმავალი სონია, — შიმშილმა მოჰკლა, უსაღსრობამ. მშველელი კი არსაით, არსადაა! ყველა გაჭირვებულია, ყველა გაწვალებული... ყველა უბედურებაშია ჩავარდნილი... ოხ, ღმერთო, ყველა ამას უნდა მოველოდეთ, ყველას ეს დღე უნდა დაგვადგეს! არა, შვილებო, არა, გვრიტებო! არა, არა თქვენი ჭირიმეთ... არა, არა!..“

ასე საბოლოოდ შეიპყრო სონიას მთელი არსება ქალაქისაკენ გაქცევის აზრმა და ქალის ამგვარმა დაჟინებამ, მისმა ამგვარმა მძლავრმა და მტკიცე გადაწყვეტილებამ სოფელზე გული ააყრევინა ოტიასაც.

„— არა, მეტი საშველი არაა... მეც უნდა ავიბარგო!... მეც უნდა შევიხიზნო იქ, სადაც ყოველი კაცი საშველს პოულობს, სადაც იმოდენი საშოვარი და საშუალებაა... მეტი გზა აღარ არის!..“

ბგრამ ადვილი როდი იყო ოტიასათვის, შერიგებოდა—ამ ~~აზრს, დადგომოდა~~ ამ უკანასკნელ გზას, მოშორებოდა თავის მშობლიურ კუთხეს, მამაპაპეულ სახლ-კარს, სიყრმით შეზრდილ კარ-მიდამოს.

მწერალი გულის სიღრმეში ჩამწვდომი ძალით აგვიწერს ოტიას მწუხარებას, მის სევდას, როდესაც სოფლიდან გახიზვნის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ბნელ ღამეში უკანასკნელად დაიარება თავის ეზოში და ათვალიერებს თავის კარ-მიდამოს.

„რაღაც უცნაური სევდით შეჰყურებდა ამ ღამეში ყოველ საგანს, რაც წინ შეხვდებოდა, რაღაც სიყვარულით აჩერდებოდა სათითაოდ ყოველისფერს, რასაც მისი საკუთრება შეადგენდა, აქაურს ქონებას. მისი გული საკვირველად დუღდა, კმინავდა“

ამ ღამეში, ამ ბნელაში გაჭირვებული ოტია ემშვიდობებოდა აქაურობას, ესალმებოდა ამ მიდამოს, რომელიც დევნიდა და იძულებულს ხდიდა თავისი კეთილდღეობა სხვაგან ეძებნა“.

ასე ულმობლად უნგრევს მამა-პაპეულ „ბუდეებს“, ასე დევნის მშობლიური კუთხიდან და უკანმოუბრუნებლად ტიერეკება სადღაც, გაურკვეველი გზით აზნაურული წოდების ამ უკანასკნელ მოდგმას ახალი დროება, სოფლად დატრიალებული ახალი ცხოვრება.

მარტო ნივთიერი გაღატაკება როდი მოასწავებს ამ კლასის დაკნინებას. ქონებრივ სიღარიბეს თან მოჰყოლია ზნეობრივი და გონებრივი დაცემა, გაბოროტება, გაცოფება. მწერალმა კიდევ ერთხელ ხაზი ვაუსვა ამ გარემოებას „ქამუშაძის გაჭირვების“ უკანასკნელ თავში.

უკანასკნელი და მართლაც გადამწყვეტი დარტყმა, რომელიც სოფელმა აგემა ქამუშაძეების ოჯახს, ეს იყო მარუშა-

ძის სიდედრის მიერ სონიასათვის მიყენებული ყოვლად დაუმსახურებელი და აუტანელი შეურაცხყოფა.

ამ გესლიანმა დედაკაცმა, მანანამ, ეკვირინესთან წალაპარაკებისას ტალახში ამოსვარა სონიას ღირსება და პატიოსნება, ცილი დასწამა მას უკიდურეს გარყვნილებასა და ზნეცემულობაში.

ეს ერთგვარი დაგვირგვინება იყო ყველა იმ ტანჯვისა და მწუხარების, რაც ამ მოკლე ხნის განმავლობაში სონიას განაცდევინა სოფლურმა ცხოვრებამ, ამიტომ იმოქმედა ასე შემზარავად სონიაზე მანანას ბოროტმა ცილისწამებამ.

„სონია კი გულწასული ოთახში ეგდო ტახტზე, უგრძნობლად. ეგ მეტად შეუბრალებლობა იყო, ეს ადამიანის გამეტება, მიწაში ჩამარხვა იყო, რაც მან თავის თავზე გაიგონა". ამის შემდეგ სონიას ერთი წუთითაც აღარ დაედგომება სოფლად. იგი ევედრება ოტიას: „შემიბრალე, შე კაცო! მოვშორდეთ აქაურობას, მოვშორდეთ!.. დროზე!.. თუ მეტი გინდა კიდევ!.."

ამით დასრულდა ქამუშაძეების ოჯახის ბრძოლა სოფლურ ცხოვრებასთან. ოტია გაჰყვა სონიას მიერ აჩემებულ გზას. გაჰყვა იძულებით, დიდი გულისტკივილით, თავგანწირულებით: „ეგებ იქ მაინც ეშველოს კაცს! ბევრი იქით იწევა... ქე შოულობენ რაღაცას, თავს ირჩენენ... იქ მაინც ვცდი თავს. თუ დავიღუპები, სულ ერთია, აქაც ხომ მეტი ხეირი არ მომელის. ეს გადაწყვეტილია, დედა, გადაწყვეტილი", — ეუბნება ოტია ეკვირინეს.

ქამუშაძეების ოჯახის ქალაქს გადასახლებით მთავრდება ეს ნაწარმოები. ჩვენთვის გაურკვეველი რჩება ოტიას ბედი ქალაქში. არ ვიცით, რა მოუვიდა მას, როგორ შეეწყო და შეეგუა იგი ახალ გარემოცვას, მხოლოდ რამდენიმე სტრიქონით გვამცნობს ავტორი, რომ ოტია დასახლდა ქალაქის განაპირას, რომ იგი დიდ იმედებს ამყარებდა ბეგლარსა და პორფირზე, ხოლო ეს უკანასკნელნი ან დუმილით პასუხობდნენ ოტიას, ან კიდევ ამხნევებდნენ მას, მაგრამ მხოლოდ სიტყვიერ, ცარიელი სიტყვით.

მწერალი არ გაჰყოლია თავის გმირს ქალაქში, არ აუსახავს ოტია ქამუშაძის ცხოვრების ეს ახალი ხანა. ეს ბუნებრივიცაა.

დავით კლდიაშვილის შემოქმედების საგანს არ წარმოადგენდა ქალაქური ცხოვრების ასახვა. მისი ისტორიული როლი ქართულ ლიტერატურაში განისაზღვრებოდა აზნაურული წოდების უკიდურესი დაცემა-დაკნინების პროცესის მხატვრული განსახიერებით და ამ მხრივ „ქამუშაძის გაჭირვება“ ჩვენი კლასიკური მწერლობის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად უნდა ჩაითვალოს.

მოთხრობის დასასრულს მწერალი გვიამბობს, რომ ქამუშაძეების გაპარტახებულ კარმიდამოზე, ოტიასა და ლევანის ნასახლარებზე ახალი მოსახლენი გაჩნდნენ, ახლად გაყოფილმა გლეხებმა დაიკავეს ეს ადგილები და იქ თავისებური მოსახლეობა და ცხოვრება გააჩაღეს.

მოთხრობის ამ დასკვნით სტრიქონებში მთელი ნაწარმოების ერთგვარი ჯამია მოცემული, აქ ეპოქის ერთი ძირითადი სოციალური პროცესია განზოგადებული, მთელი კლასის თავგადასავალია გამოხატული.

*

გარდა მოთხრობებისა დავით კლდიაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში შედის სამი პიესა, რომლებიც ქართული კლასიკური დრამატიული მწერლობის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ. ეს პიესები, როგორც მსოფლმხედველობრივი და თემატიკური თვალსაზრისით, ისე მხატვრული სტილის მხრივ განუყოფლად დაკავშირებულია დავით კლდიაშვილის ბელეტრისტულ შემოქმედებასთან. მათში ისევე, როგორც თავის საუკეთესო მოთხრობებში, მწერალმა ღრმა სიმართლით დახატა იმდროინდელი სოფლის, კერძოდ, აზნაურული ყოფა-ცხოვრების მეტყველი სურათები და შექმნა მთელი რიგი ტიპიური სახეებისა, რომელთაც დიდი განზოგადებითი მნიშვნელობა აქვთ ეპოქის სოციალური ვითარების, გარკვეული სოციალური პროცესების ასახვის თვალსაზრისით.

თავის დრამატიულ თხზულებებში დავით კლდიაშვილი ყოფითი მასალის იშვიათ მხატვრად გვევლინება. აქაც მის მიერ დახატული ყოველი ყოფითი სურათი ტიპიურ სიმაღლემდეა აყვანილი და ღრმა მამხილებელი ძალით აშუქებს მწერლის

თანამედროვე ცხოვრების სოციალურ შინაარსს; თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს.

დავით კლდიაშვილის პიესები არ ემყარება გარეგნულად ეფექტურ სიუჟეტებს. სიმძიმის ცენტრი აქ გადატანილია ადამიანთა ხასიათების ცოცხალ და კოლორიტულ გადმოცემაზე. ყოფა-ცხოვრებითი სურათის ცხოველმყოფელობაზე, ღრმა აზრით გამსჭვალულ დიალოგზე.

ამ პიესების სიტყვიერი მასალა იმგვარად არის დამუშავებული, რომ მოქმედ პირთა ყოველი ახალი ფრაზა უფრო და უფრო მეტის სიცხადით თვალწინ გადაგვიშლის მოცემული ტიპის სულიერ სამყაროს, მეტის სისრულით და სიღრმით გადმოგვცემს პიესის საფუძვლად აღებული სიტუაციის აზრს. დიალოგს, გმირთა მეტყველებას, სიტყვის ხელოვნებას ცენტრალური ადგილი უჭირავს დავით კლდიაშვილის დრამატურგიაში.

პიესა „ირინეს ბედნიერება" იმერეთის აზნაურობის ყოფა-ცხოვრების ფონზეა აგებული. მასში, როგორც დავით კლდიაშვილის მთელ შემოქმედებაში, მხილებულია გვაროვნულ-წოდებრივი ტრადიციის მთელი დრომოჭმულობა და კონსერვატიულობა, ნაჩვენებია, თუ როგორ ამახინჯებს ეს ტრადიცია ადამიანთა ოჯახურ ურთიერთობას, რამდენ მწუხარებასა და უბედურებას ბადებს იგი, რამდენად საბედისწეროა და დამღუპველი მისი ზეგავლენა.

პიესა იწყება აზნაურული ყოფისათვის დამახასიათებელი ტიპიური სურათით. ხელმოკლე აზნაურის — ფილიპე ბარბაქაძის ეზოში სუფრაა გაშლილი. უსაქმური, გართობა-მოლხენის მაძებარი ახალგაზრდობა რაღაც დღეობის საბაბით შეკრებილა ბარბაქაძისას. მოისმის სიმღერის, დაირისა, სალამურისა და დუდუკის ხმები. ცეკვა-თამაშია გახურებული, სავსე ჭანწი გადადის ხელიდან ხელში. გულუხვი მასპინძელი — ფილიპე თავს არ იზოგავს, თუმცა მისი კარ-მიდამოს მთელი სურათი აშკარად მოწმობს, რომ ამგვარი ხელგაშლილი ცხოვრება არაფრით შეესაბამება მისი ოჯახის ნივთიერ ძალ-ღონეს. მაგრამ ასეთია ტრადიციის კარნახი და ამას ვერსად წაუვა აზნაური ფილიპე ბარბაქაძე.

სტუმართა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა შეძლებული მემამულის ვაჟი — აბესალო სალამთაძე. იგი თავისი შეძლებულებითა და გვაროვნული წარჩინებით განებივრებული ახალგაზრდაა, მუდმივ მოლხენა-სიამოვნებას გადაყოლილი, რომელსაც ცხოვრებაში არაფერი აინტერესებს, გარდა პირადი კმაყოფილებისა, თავისი ჟინის მოკვლისა, თავისი გაზვიადებული თავმოყვარეობის დაკმაყოფილებისა.

აბესალოს მოეწონა ფილიპეს ქალიშვილი ირინე, ლამაზი, ჭოკრძალებული, გულწრფელი და პატიოსანი ქალი. სალამთაძემ ერთბაშად გადაწყვიტა, რომ ირინე მას უნდა ეკუთვნოდეს. მან ანგარიში არ გაუწია იმას, რომ ირინეს გული სხვისკენ მიუწევდა, მას უკვე ჰყავდა არჩეული საქმრო, არავითარი დაბრკოლება არ შეიძლება არსებობდეს შეძლებული მემამულის — სალამთაძის ნება-სურვილის შესრულების გზაზე! როდესაც აბესალოს თავისივე ახლო მეგობარი ვიქტორი ურჩევს, რომ თავი დაანებოს ამგვარ ახირებას, რადგან ქალს უკვე ჰყავს საქმრო, რომ ირინეს როდამაშვილი უყვარს, აბესალო აგდებით და უდარდელად უპასუხებს: „ხა, ხა, ხა, ხა, ხა! ძალიანია, შენ ნუ მომიკვდები, ძალიანია! ვიღაც ჩანჩურა როდამაშვილის გულისთვის ყოველივე სიამოვნება უნდა მოვიკლო! აბა კაცი ის ყოფილა, ჩვენ — არაფერი!“

აბესალოსათვის წუთიერი სიამოვნებისა და ყალბად გაგებული თავმოყვარეობის საკითხად ქცეულა ოჯახისა და სიყვარულის საკითხი. ვერც მეგობრის რჩევა-შეგონებამ, ვერც ირინეს კატეგორიულმა უარმა ვერ შეარყია აბესალოს გადაწყვეტილება. ირინეც და როდამაშვილიც უძლურნი აღმოჩნდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ ამ მდგომარეობით გათავხედებული აზნაურის ჭირვეულობისათვის. გადამწყვეტი აღმოჩნდა ფილიპეს აზრი. ფილიპემ აბესალოს დაუჭირა მხარი. ხელმოკლე აზნაური საკითხს მხოლოდ იმის მიხედვით წყვეტს, თუ ვინ უფრო შეძლებული და წარჩინებული გვარის შვილია, მას ვერც კი წარმოუდგენია რაიმე სხვა საზომის არსებობა ასეთ შემთხვევაში. როდესაც იგივე ვიქტორი ფილიპეს ურჩევს, რომ უარი უთხრას სალამთაძეს, რადგან ირინე არ შეიძლე-

ბა ბედნიერი იყოს აბესალოსთან, ფილიპე განცვიფრებული ამგვარი რჩევით:

ფ ი ლ ი პ ე — აბესალო უარით გავისტუმრო და როდამაშვილს ქალი მივცე?

ვ ი ქ ტ ო რ ი — დიახ... თუ თქვენი შვილის ბედნიერება გსურთ, ასე უნდა ქნათ.

ფ ი ლ ი პ ე — უკაცრავად ვარ... სწორედ უკაცრავად. და თქვენს რჩევას მე ვერაფრის გზით ვერ მივიღებ. ჰმ. სალამთაძეს უარი ვსტკიცო ვიღაც როდამაშვილის გულისათვის... კაი ამბავი თუ გინდათ, ეგ იქნება... არა. ჩემო ბიძია... ღმერთს მაგდენად ჩემთვის კიდევ ჭკუა არ წაურთმევია, რომ საქმეს და მდგომარეობას ვერ მივხვდე... ვიღაცა ბარბაქაძეს სალამთაძე ხელს გიწვდიდეს. შენთან დამოყვრებას ნატრულობდეს და უარს ეუბნებოდე!? სულელად არ მიგიღებენ კაცს?"

ასეთია ფილიპეს თვალსაზრისი. მისთვის გაუგებარი და მიუწვდომელია ირინეს ხვეწნა-მუდარა, ირინეს სიტყვები იმის შესახებ, რომ მას სხვა უყვარს. როგორ შეიძლება ახალგაზრდა ქალს გათხოვებამდე უყვარდეს ვინმე! რა მნიშვნელობა აქვს ან იმ გარემოებას, რომ ირინეს არ უყვარს აბესალო: — „არ მიყვარსო? არ გიყვარს, მერე შეგიყვარდება! — მანამდე რომელი თავმოყვარე ქალიშვილი დაიწყებს შენსავით ასე მოურიდებლად სიყვარულზე ტარტალს!" — წყრომით ეუბნება ფილიპე თავის გაურჩებულ ქალიშვილს.

ფილიპეს ამგვარმა ტრადიციულმა რწმენამ თავისი გაიტანა. ტრადიციამ ჩაჰკლა ახალგაზრდა ქალის ცოცხალი, ადამიანური მისწრაფება. აბესალომ ერთბაშად გაიმარჯვა როდამაშვილზე. ირინე ცოლად მისცეს სალამთაძეს, მაგრამ რა გამოვიდა ამგვარი ნაძალადევი ცოლქმრობისაგან? რა ბედნიერება მოუტანა ამან ირინეს?

ირინე დაემორჩილა თავის ხვედრს და სალამთაძის ერთგული ცოლი გახდა, ბეჯითი მეოჯახე, მზრუნველი დიასახლისი. მაგრამ აბესალო თავისი ბუნებით ვერ შეეგუებოდა წყნარსა და დამშვიდებულ ოჯახურ ცხოვრებას. როგორც კი თავისი გაიტანა, ირინეს დაეპატრონა, ჟინი მოიკლა, მან მალე გული

აიყარა ირინეზე, დაჰკარგა ცოლისადმი სიყვარული და პატივისცემა, შეიძულა იგი და ეჭვი შეიტანა ირინეს პატიოსნებაში, ცილი დასწამა მას, თითქოს ირინე როდამაშვილთან ღალატობდეს ქმარს, არცხვენდეს და შეურაცხყოფდეს ოჯახს.

რამდენადაც შეუძლებელი იყო ერთ დროს აბესალოს დარწმუნება იმაში, რომ ხელი აეღო ირინეზე, არ გადაღობებოდა ირინესა და როდამაშვილის ბედნიერებას, აელაგმა თავისი წუთიერი ვნებათა ღელვა, იმდენადვე შეუძლებელი აღმოჩნდა ახლა მისი დარწმუნება ირინეს პატიოსნებაში, თავისი ახირებული ეჭვების უსაფუძვლობაში.

ასეთია თავგასული, ფუქსავატი, გონებაშეზღუდული ახალგაზრდა აზნაურის ბუნება. აბესალო უხეშად ეპყრობა ირინეს, სასტიკად შეურაცხყოფს მას და იმასაც არ დაერიდება, რომ ახლობელთა და გარეშეთა თანდასწრებით ტლანქად შელახოს ირინეს თავმოყვარეობა, სასიკვდილოდაც არ დაინდოს იგი, მოსაკლავად მიიწიოს მასზე.

პიესის ფინალურ სურათში ირინე შესტირის მამას: „აი. ჩვენი ბედნიერება, მამა!.. ხომ ხედავ?.. ხომ ბედნიერი ვარ?.. ხომ ბედნიერი ვარ, ჩემო მამა, ჰა?“

როგორც ვხედავთ, სადაა და მარტივი „ირინეს ბედნიერების“ სიუჟეტი. მაგრამ როგორი გულის სიღრმემდე ჩამწვდომი სიმართლით არის მოცემული მასში ტანჯვა და მწუხარება ახალგაზრდა ქალისა, რომელიც დრომოჭმულ ტრადიციის მსხვერპლი გამხდარა, რომელიც ამ ტრადიციის მეოხებით მოკლებული ყოფილა ადამიანური ცხოვრების უფლებას, სიყვარულის უფლებას, ბედნიერი ცოლქმრული ურთიერთობის უფლებას.

დავით კლდიაშვილის დრამატურგიული შემოქმედების ნამდვილ მშვენებას კომედია „დარისპანის გასაჭირი“ წარმოადგენს...

ამ კომედიაში მწერალმა კიდევ ერთხელ მთელი სიცხადით დაგვანახა აზნაურული წოდების დაკნინება და დაქვეითება, მისი ქონებრივი გაღატაკება და გონებრივ-ზნეობრივი დაწვრილმანება.

საქმე იქამდე მისულა, რომ ამ „ბრწყინვალე“ წოდების

ოჯახებისათვის თავსატეხ და საბედისწერო საქმედ ქცეული ქალიშვილის გათხოვება. ქალ-ვაჟთა შორის სიყვარულისა და ბუნებრივი ურთიერთ მისწრაფების გრძნობის ნაცვლად გაბატონებული მდგომარეობა მზითევს დაუკავებია. მზითვისაგან არის დამოკიდებული გასათხოვარი ქალის ბედი; ცოლქმრული ურთიერთობა ვაჭრობისა და მორიგების საქმედ ქცეულა. და რაკი გაღატაკებულ აზნაურს საშუალება არ გააჩნია ქალიშვილისათვის მზითევის მიცემისა, ამიტომ უკიდურესად გაძნელებულა ქალიშვილების გათხოვება, ხოლო შინ დარჩენილ და გაუთხოვრად დაბერებულ ქალის რჩენა-შენახვა კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დასწოლია ამ ოჯახებს.

ამგვარი გარემოებით გამწარებულ ადამიანთა სასაცილო და საბრალო ყოფის დამახასიათებელ სურათს ხატავს ავტორი „დარისპანის გასაჭირში“.

მართა ქვითირიძე სტუმრად მოელის თავის შორეულ ნათესავს, ცოლსათხოვ ვაჟს ოსიკო ხარებაძეს და გადაუწყვეტია, როგორმე მოაწონოს და ცოლად შერთოს მას თავისი ნათლული, გაუთხოვრად დარჩენილი ქალიშვილი ნატალია საბელაშვილი.

ნატალიას დედა, პელაგია, უკიდურესად გამწარებული იმით, რომ სამი გაუთხოვარი ქალი უზის შინ, ხვეწნა-მუდარით მიმართავს მართას.

„პ ე ლ ა გ ი ა — მიშველე, ჩემო ბატონო, ჩემო მწყალობელო!.. იცხონე სული! მოისხი ჩემი შვილების მადლი... ერთი, ერთი ვინმე... რას დავეძებ ვინ იქნება, სახლში სიძეთ შემომაყვანიე და გაჭირვებისაგან მიხსენი... ერთი ვინმე პირველი მაშოვნინე და მერე მე ვიცი... საშველს არ ვაღირსებ, სანამ თითო სიძე თითო ცოლის დას არ გამათხოვებინებს... შენ არ მომიკვდე!..“

პელაგიას ამ სიტყვებში უკვე მთელის ძალით გამოთქმულია ის მწუხარება, ის თავისებური გასაჭირი, რომელიც თავს დასტეხია ამ კომედიის გმირებს — გაღატაკებულ აზნაურობას. მარტო პელაგია როდია ამ დღეში. აი, სწორედ იმ დროს. როცა მართას ოჯახში გაცხოველებული სამზადისია იმისათვის, რომ ოსიკო და ნატალია ერთმანეთს შეახვედრონ, მართას

კარს მიადგება აზნაური დარისპან ქარსაძე, თავის ქალიშვილ-კაროჟნასთან ერთად.

დარისპანსაც იგივე გასაჭირი აწუხებს, რაც პელაგიას. მართასთან საუბარში იგი ამგვარად უჩივის თავის ბედს:

„მ ა რ თ ა — ჩემი რძალი ხომ კარგადაა?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — მადლობელი ვარ... ვართ ისე, მართა ჩემო, როგორც მოგეხსენებათ ჩვენისთანების ამბავი... შენ რაღა დაგიმალო, მართა ჩემო, ჩემი სისხლ-ხორცი ხარ — აგერა წელში გავწყდებით, მართა ჩემო... ნამეტანი გაჭირვებაში ვიმყოფებით, მარა ამ ქალიშვილებისაგან უფრო გვემატება გასაჭირი, შენ გენაცვალე... ოჯახს ვერ ნახავ, რომ სამი და ოთხი ქალიშვილი არ ყავდეს ვასათხოვარი და მთხოვნელი კი არსადაა, შენი ჭირი შემეყაროს!.. არსად არის! რაღაც უბედურებამ გული შეუცვალა ახლანდელ ყმაწვილებს, აღარ ეკიდებიან ოჯახობას... ე გოგოები კი გვიყრიან სახლში და გვიბერდებიან საცოდავად სახლში...“

მხოლოდ თავის „სისხლ-ხორცს“ — მართას უმხელს დარისპანი ასე გულახდილად თავის გასაჭირს. მაგრამ საკმარისია გამოჩნდეს ვინმე გარეშე და უკხო, რომ დარისპანში ერთბაშად გაიღვიძოს „კუდაბზიკა“ აზნაურმა, რომ იგი ერთბაშად მოჰყვეს გაუთავებელ ტრაბახს თავისი ვითომცდა შეძლებული, ყოველი სიკეთით აღვსილი ოჯახის კმაყოფილი და უზრუნველი ცხოვრების შესახებ.

აზნაურული სულისკვეთებისათვის დამახასიათებელი ასეთი სიყალბე, ასეთი წინააღმდეგობა ამ ადამიანთა ნამდვილ მდგომარეობასა და გვაროვნულ ტრადიციით ნაკარნახევ ყოვლად უსაფუძვლო ამპარტავნობას შორის მკაფიოდ არის გადმოცემული დარისპანისა და პელაგიას დიალოგში. დარისპანი უზომოდ ტრაბახობს, აქებს თავის ოჯახს, სახლ-კარსა და განსაკუთრებით თავის ქალიშვილებს.

„დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ისე არიან გადამკვდარი საქმიანობაზე, რომ გარეშე მოსამსახურე, არც ბიჭი და არც გოგო ახლოს არ გეიკარეს, სახლში არ შემომაყვანიეს... თავის ხელით უნდათ აკეთონ ყველაფერი... ღვთის წყალობაა ქალი-

შვილი ოჯახში!.. თქვენ რამდენი გყავთ, ბატონო პელაგია, ქალიშვილი?

პ ე ლ ა გ ი ა — სამი, ბატონო, თქვენ?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — მე... ამიანათ ოთხი! დიახ, ოთხი! მარა გათხოვება მეძნელება.

პ ე ლ ა გ ი ა — ჭირს, ბატონო, ერთობ ჭირს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — არა... მენანება მოშორება!.. კაი ოჯახში ნამყოფი, კარგი შენახული... თუ ისევ ხეირიან ოჯახში არ ჩააგდე, ცოდვაა... ამიტომ უფრო არ ვეჩქარი მაგათ გათხოვებას... თვარა მთხოვნელი ბევრი დამიდიან!..

პ ე ლ ა გ ი ა — ვისაც შეუძლია ქალიშვილის შენახვა, რა შეაწუხებს...

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ვწუხვარ კი არა... ჰმ, ჩემისთანა მოლხენილი კაცი არ მეგულება! არაფერი არ მაწუხებს! მივდიმოვდივარ ამ ჩემს ნათესავებში, კეთილებში, ნაცნობებში... ყველგან კარი ღია მხვდება. ყველგან მიუხარიათ ჩემი ნახვა...

პ ე ლ ა გ ი ა — ღმერთმა კეთილად გარონიოთ, ჩემო ბატონო! (ამოიხვნეშებს) ღმერთმა სიკეთე გმატოსთ! მოგახსენებენ, ბედნიერი ადამიანის დანახვით გაჭირვებულს გული გეეხსნებაო“.

ამ დიალოგის ცხოველმყოფელი ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენთვის სავსებით ნათელია დარისპანის მიერ აქ წარმოთქმული ყოველი სიტყვის სიყალბე. უკვე კარგად ვიცით, თუ რამდენად მოლხენილი და კმაყოფილი ცხოვრება აქვს აზნაურ ქარსაძეს, ვიცით, თუ როგორ ენანება მას თავისი ოთხი ქალიშვილის გათხოვება, თუ რამდენი მთხოვნელი ამ ქალიშვილებისა დაუდის მას. ისიც კარგად ვიცით, თუ რისთვის დაიარება დარისპანი ასე გამუდმებულად თავის ნათესავ-ნაცნობებში და რამდენად უხარიათ ამ ნათესავებს დარისპანის სტუმრობა. აკი ახლანდელმა მისმა დიასახლისმაც — მართამ დაინახა რა მის ოჯახში სტუმრად მომავალი დარისპანი და კაროჟნა, გაბრაზებით წამოიძახა: „უიმე! დარისპანი თავის ქალიშვილით! დასწყევლა ღმერთმა, საიდან გაჩნდა? საიდან მოეთრევა?“ და იმავე წუთში, შინ შემოსულ დარისპანს იგი-

ვე მართა აღტაცებული მისალმებით ეგებება: „მობრძანდით. მობრძანდით, დარისპან ჩემო!“, ხოლო კაროჟნას თითქოს დიდი სიყვარულით ეალერსება: „უი, შენ დაგენაცვლა მამიდაშენი!.. რამხელა გაზრდილა... რავა დამშვენებულა...“ მართას ეს უკანასკნელი სიტყვები მით უფრო სასაცილოა, რომ კაროჟნას არაფერი სცხია მშვენებისა და სილამაზისა.

ასე სტყუიან, პირფერობენ და ტრაბახობენ ეს ადამიანები და მწერალი კვალდაკვალ ამხელს მათი მდგომარეობის სიყალბეს, განსხვავებას და წინააღმდეგობას მათ სიტყვასა და საქმის ნამდვილ ვითარებას შორის.

მალე მოვიდა მართას და პელაგიას სასურველი სტუმარი ოსიკო ხარებაძე თავის ბიძასთან ონისიმესთან ერთად. მართა და პელაგია თავს არ იზოგავენ, რომ ოსიკოს ნატალია შოაწონონ, მაგრამ აქ საქმეში ჩაერია დარისპანი. მას იმედი აღეძრა, რომ იქნებ კაროჟნა მოეწონოს ოსიკოს, ეგებ აქ გადაწყდეს დარისპანის საჭირბოროტო საკითხი, ეგებ ამ ახალ შემხვდურს შეაჩეჩოს ხელში კაროჟნა.

ჩაღდება ფარული ქიშპი და შეჯიბრი. იქმნება დაძაბული შდგომარეობა. დარისპანი ვეღარ მალავს უკმაყოფილებას იმით, რომ მართა ნატალიას უფრო ეხმარება, ვიდრე კაროჟნას. ბოლოს დარისპანი და პელაგია აშკარად შეეჯახებიან ერთმანეთს. ხოლო თვით ოსიკო, რომლის გარშემოც გაჩაღებულია ეს ცილობა და აყალმაყალი, გულგრილად შესცქერის ორივე ქალიშვილს და დაჟინებით ერთსა და იმავე კითხვას იმეორებს: „აქვს რამე?“. მისთვის უმთავრესი მზითევია და არა საცოლე. და რაკი გაიგო, რომ არც ნატალიას და არც კაროჟნას სახარბიელო მზითევი არ ვააჩნიათ, ოსიკომ ყველას გასაგონად განაცხადა, რომ მას უკვე დანიშნული ჰყავს საცოლე და მაშასადამე, ახლა ზედმეტია ყოველგვარი ლაპარაკი ნატალიას ან კაროჟნას ცოლად შერთვაზე.

აშკარად სტყუის ოსიკოც. ვერ გასჭრა მართას ცბიერმა და შემპარავმა ქადაგებამ იმის შესახებ, რომ თავმოყვარე ახალგაზრდა კაცი ქალის ღირსებას უნდა ეძებდეს და არა მზითევს.

ოსიკოს განცხადებამ ერთის დაკვრით ბოლო მოუღო პე-

ლაგიასა და დარისპანის იმედებს. იმედგაცრუებული დარისპანი კვლავ თავის გზას გაუდგა. წასვლისას კაროჟნა მოუძებნის და მიაწოდებს დარისპანს მის ყაბალახს:

კ ა რ ო ჟ ნ ა — (ყაბალახს გამოიტანს და ბეჭებზე მოახვევს) მიაგდებ ყოველთვის სადმე...

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — შენც მიგაგდებდე სადმე. შვილო, რამე რიგათ და ამისთანა ყაბალახს, თუ გინდ ათასს, ჭირი მოუჭამია".

პიესა მთავრდება სასიძოს საძებრად ისევ გზაზე დამდგარი საბრალო დარისპანის სიტყვებით: „ღმერთო, კეთილად დააპოლოვე ჩემი მგზავრობა!"

დარისპანი და კაროჟნა დავით კლდიაშვილის მიერ შექმნილ საუკეთესო მხატვრულ სახეთა წყებას მიეკუთვნებიან.

პიესას „უბედურება" განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დავით კლდიაშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობაში. თუ მის საუკეთესო მოთხრობებში და ზემოთ გარჩეულ პიესებში მოცემული საზოგადოებრივი ვითარების მამხილებელი სურათები ყოველთვის გამსჭვალულია ცხოველი ჰუმორით, რაც ერთგვარად ანელებს განწყობილების დრამატიულობას და საღებავთა სიმუქეს, „უბედურებაში" მწერალმა ღრმა დრამატიზმით, ერთგვარ ტრაგიკულ დაძაბულობამდე აყვანილი მოტივებით აღბეჭდილი სურათი მრგვცა, რომელიც უაღრესად დაბინდული ფერადებით გვიხატავს სინამდვილეს, ხალხის, იმდროინდელი სოფლის ცხოვრებას.

ამ პიესაში მოცემული ყოფაცხოვრებითი სცენა ღრმა განზოგადებითი მნიშვნელობის, სიმბოლიური ძალის სურათია, რომელშიც უკიდურესი სიმძაფრით გამოთქმულია მწერლის უარყოფითი თვალსაზრისი იმდროინდელი სინამდვილისადმი. მემამულურ-კაპიტალისტური წყობილებისადმი.

უბედურება სუფევს ქვეყნად. ადამიანი უბედურია, განწირულია უსაზღვრო ტანჯვისა და წამებისათვის, — მწუხარებით არის აღსავსე მისი ცხოვრება — ასეთია ამ პიესის ძირითადი აზრი, რომელიც ხან მოქმედ პირთა დიალოგში პოულობს მაღალ პოეტურ გამოხატულებას, ხან თვით მოქმედებაში,

მოთხრობილ ამბავში სახიერდება ცხადად და ხელშესახებად

პიესა იწყება მოხუცი გლეხი ქალი მაიასა და მასთან სტუმრად მისული ხეიბრის — ილიას საუბრით, ფეხებგადამტვრეული, გაუბედურებული ილია თავისი პიროვნებით, თავისი მდგომარეობით და განწყობილებით გამოხატავს იმდროინდელი უკუღმართი სოციალური წყობილების მსხვერპლთა, ცხოვრების მიერ წელში გატეხილ და გაუბედურებულ ადამიანთა საერთო ხვედრს. ილიას ყოველი სიტყვა უსაზღვრო სევდითა და მწუხარებით არის გამსჭვალული:

„ი ლ ი ა — გული მიწუხს, მაია... გული მიწუხს!..

მ ა ი ა — გული შენს მტერს შეუწუხდა, ჩემო ბატონო!.. რატომ, რატომ, ჩემო სინათლევ?..

ი ლ ი ა — მა რა იქნება, როცა ყოველი მხრიდან მარტო მწუხარება გვესმის! ყველასაგან მარტო ჩივილს თუ გაიგონებ თავის უსაშველობაზე, თავის გაჭირვებაზე... თავის გამწარებულ ცხოვრების ამბავს თუ მოგიყვება, თორემ მხიარულ სიტყვას იშვიათად თუ ვისმესაგან გაიგონებ... ყველა სწუხს, ყველა დაღონებულია, ბედის მოჰჩივანია... ასე მეჩვენება, თითქოს ქვეყანაზე მწუხარების მეტი არა იყოს რა... ყველაფერი უხალისო, უფერული, ჩამობნელებული მეხატება“.

ილიას ეს სიტყვები ღრმად მამხილებელი ძალით ჟღერენ, ისინი გულის სიღრმემდე ჩამწვდომი სიმართლით გვიჩვენებენ, თუ როგორ მწუხარებაში და ტანჯვაში ცხოვრობდა ჩვენი ხალხი მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების, თვითმპყრობელური რეჟიმის ბატონობის დროს.

მწერალი გვიჩვენებს, რომ ასე უზომოდ დაჩაგრული და ცხოვრებაგამწარებული ხალხის გულში მაინც ენთო იმედის ნაპერწკალი, ხალხი მხოლოდ მომავლის რწმენით ცოცხლობდა და სულდგმულობდა:

„მ ა ი ა — სწორეთ! რაც გაგვეწყოს მოვითმინოთ... ვინ იცის. საწინაოთ რა მოგველის!.. დღეს ვწუხვართ, ხვალ ეგებ მხიარული დღე გვითენდება... ვინ იცის, ყველაფერი მოსალოდნელია... გულს ნუ გევიტეხავთ, იმედს ნუ დავკარგავთ“.

თავისი პიესის ერთ-ერთი მოქმედი პირის ამ სიტყვებით ავტორმა მთელი ხალხის რწმენა და სასოება გამოთქვა — ხალხის მისწრაფება ცხოვრების გარდაქმნისაკენ, უკეთესი მომავლისაკენ.

„ი ლ ი ა — მოვესწრებით კი კაი გაზაფხულს?

მ ა ი ა — კი მოვესწრებით... ღმერთი ყველაფერს მოგვასწრებს — ავსაც და კარგსაც, ჩემო ბატონო“.

ასეთია ხალხის გულში აღმოუფხვრელი ოპტიმიზმის ძალა. ხალხს ჯიუტად და გაუტეხლად სჯერა და სწამს მომავალი, თუმცა სინამდვილე, მთელი გარემოცვა მხოლოდ მწუხარებით და უბედურებით არის აღსავსე. ამას მოწმობს პიესის ყოველი მომქმედი პირის განწყობილება, პიესაში მოთხრობილი ამბავი.

პიესის ერთ-ერთი გმირი ქალი — ტუფია ისევე უჩივის თავის ბედს, როგორც ილია. გამოჩნდება თუ არა პიესის სარბიელზე, იგი ასე მიმართავს ილიას:

„ტ უ ფ ი ა — თავს ვეღარ ვერევი, ჩემო ბატონო... სულ მწუხარებაში, სულ უბედურებაში ყოფნამ გულიც დაასუსტა. ჩემო ბატონო, და ჭკუაც!..“

პიესის შემდგომ მსვლელობაში ჩვენ ვეცნობით ოთხმოცი წლის მოხუც გლეხს, ამირანას. იგი გარეგნულად ყოჩაღად გამოიყურება. ილიას ამირანა ბედნიერ კაცად მიაჩნია, მაგრამ ამირანა კიდევ უფრო უკმაყოფილოა თავისი ბედისა, ისიც თავის უკიდურეს გაჭირვებაზე, გამოუვალ მწუხარებაზე ლაპარაკობს.

„ა მ ი რ ა ნ ა — აბა რა ვქნა? ვინაა შემხედვარი? ვინაა გამკითხავი, შენი ჭირი შემეყაროს!..“

მარტო დარჩენილა ღრმა მოხუცებულობით დაუძლურებული ამირანა. მის შვილებს ვეღარ აუტანიათ სოფლური ცხოვრების სიდუხჭირე და ქალაქს შეპფარებიან. ამირანას ჰგონია, თითქოს მისი შვილები ქალაქად ბედნიერად და ლაღად ცხოვრობენ. ილია აქარწყლებს ამირანას ამგვარ წარმოდგენას. ილიამ იცის, რომ ამჟამად ბედნიერი ცხოვრება არსად არის. ილიას პირადად უგემნია ქალაქად გახიზნული ადამიანის იმედების გაცრუების სიმწვავე. სწორედ ქალაქში გაუბედუ-

რებულა ილია, იქ დაუკარგავს მას ჯანი და ღონე, იგი უპასუხებს ამირანს:

ი ლ ი ა — ეჰ, ამირანა, დამიჯერე, თეთრ პურზე უსათუოდ არ არიან შენი შვილები ქალაქში. ვაი თუ ისინი შენზე უფრო მეტს გაჭირვებაში იყვნენ? დარწმუნებულიც ვარ, უსათუოდ ასე იქნება... აი, ჩემიანებსაც შენსავით ეგონათ, მეც ბევრი საყვედურები გამიგონია მათგან იმ დროს, როცა მე გაჭირვებულ ცხოვრებას ვებრძოდი... მინდოდა ჩემთვისაც და სხვებისთვისაც უკეთესები შემეძინა, მაგრამ, ა, ხომ ხედავ, რა შევიძინე: დამტვრეული; გულსაკლავად, ყველას შესაწუხებლად ვაგდივარ ყმაწვილი კაცი და ვინ იცის, რა ხანს ვეგდები ასე! — გაჭირვება თან სდევს, ჩემო ამირანა, ყველას..."

ასე გოდებენ მოთხრობის გმირები, როგორც სოფლად, ისე ქალაქად გაბატონებული უბედურებისა და გაჭირვების შესახებ და ადამიანის ამგვარ გამწარებულ ყოფას, ბნელსა და დუხჭირ ცხოვრებას ხატავს აგრეთვე პიესაში დატრიალებული ამბავი.

ღარიბი გლეხი ანტონი — ტუფიას ქმარი. მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, ყანაში წასულა სამუშაოდ. ავადმყოფობას და მძიმე შრომას გაუტეხია კაცი. იგი სულთმობრძავი მოიყვანეს შინ. მთელი ოჯახი თავზაოდაცემული და შეძრწუნებულია. იკრიბებიან მეზობლები. ყველას ებრალება მომაკვდავი ანტონი და მისი ოჯახი. ყველანი დახმარებას და შემწეობას ჰპირდებიან ანტონის ოჯახს. მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით, რადგან ბნელით მოცულსა და დუხჭირი ცხოვრებით გამწარებულ სოფელში ადამიანებს დაკარგვიათ ურთიერთდახმარებისა და სოლიდარობის გრძნობა.

ანტონს ვერაფერი უშველეს. უკანასკნელად გადაწყვიტეს „გადაულოცონ" უბედურება. მაგრამ საით, რომელ მხარეს გადაულოცონ? ქვევითკენ თუ ზევითკენ? ამ ნიადაგზე ბრძოლა გაჩაღდა ქვემო უბნისა და ზემო უბნის მცხოვრებთა შორის. ცრუმორწმუნე ხალხის აზრით, გადალოცვა უბედურებას მოუტანს იმ უბანს, საითაც გადაულოცავენ. ამიტომ ყველა ცდილობს თავიდან აიცილოს ეს მოსალოდნელი ხიფათი და

სხვისკენ წარმართოს იგი. ყველამ გადაივიწყა მომაკვდავი ანტონი. მეზობლები ერთმანეთს დაერივნენ კეტებით, სასიკვდილოდ აღარ დაზოგეს ერთმანეთი.

ვერაფერი გააწყო ნიკომ, დაწინაურებულმა და შეგნებულმა ახალგაზრდამ, რომელიც ცდილობდა დაეშშვიდებინა მოჩხუბარი გლეხები. პიესა მთავრდება ნიკოს შეეზარავი შეძახილით:

ნ ი კ ო — ღმერთო ჩემო, რა ამბავია ეს, რა ამბავია? რა ამბავია, რა საშინელებაა!!!

ნიკოს ამ განწირულ წამოძახილში მოისმის თვით მწერლის ხმა. თავისი ხალხის, თავისი ქვეყნის ჩაგვრითა და უბედურებით აღშფოთებული მწერლის გულისტკივილი და პროტესტია ჩაქსოვილი ამ სიტყვებში.

ამ პიესას დავით კლდიაშვილი წერდა 1914 წელს, პირველი იმპერიალისტური ომის სისხლიან დღეებში და. უეჭველია, რომ ამ ყაჩაღური ომის მსხვერპლად გამხდარი მილიონების განწირული სულისკვეთებაა გამოთქმული პიესის გმირი ქალის ტუფიას გულისმკვლელ ძახილში: „მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!“.

ასე წრფელად და ცხოვლად გამოეხმაურა დავით კლდიაშვილი თავისი ხალხის თავზე დატრიალებულ ახალ უბედურებას. ასეთი გულშემატკივრობით ხატავდა იგი თავისი თანამედროვე ცხოვრების სიდუხჭირის მამხილებელ სურათებს.

*

დავით კლდიაშვილის დანარჩენ ნაწარმოებთაგან საღებავთა სიმძაფრით, ღრმა ცხოვრებისეული სიმართლით და შთამბეჭდავი ძალით გამოირჩევა მოთხრობები „მიქელა“ და „მრევლში“, რომლებშიც რევოლუციამდელი ქართველი ღარიბი გლეხკაცობის გაუხარელი ცხოვრების შემაძრწუნებელი სურათებია დახატული და აგრეთვე „როსტომ მანველიძე“ და „ბაკულას ღორები“, რომლებიც ამდიდრებენ და ამრავალფეროვანებენ მწერლის მიერ დახატულ ფართო პანორამას.

მოთხრობა „წრფელი გული“ ნაკლებად დამახასიათებელია

დავით კლდიაშვილის შემოქმედებითი ბუნებისათვის. ამ მოთხრობაში მწერალმა თავისებურად გააშუქა ოჯახის სიყვარულის, ცოლქმრული ურთიერთობის, მორალის პრობლემები. მოქმედება ქალაქად წარმოებს. ნაწარმოების გმირებს ინტელიგენციის წრის ადამიანები წარმოადგენენ. როგორც პერსონაჟების ხასიათით, ისე თემატიკის მხრივაც ეს მოთხრობა ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს დავით კლდიაშვილის შემოქმედებითს მემკვიდრეობაში. ვერც თავისი მხატვრული ძალით, ვერც იდეური ჩანაფიქრის საზოგადოებრივი მნიშვნელობით ეს მოთხრობა ვერ შეედრება დავით კლდიაშვილის სხვა ნაწარმოებებს, რომელთა უმრავლესობა ნამდვილ შედევრებს წარმოადგენს.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში ვრცელ ავტობიოგრაფიულ თხზულებას „ჩემი ცხოვრების გზაზე". მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებს მწერალი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მიწურულში ქმნიდა, იგი დაწერილია დიდი მხატვრული ენერგიით და აღბეჭდილია ცხოველი ტემპერამენტით. ამ ნაწარმოებში მკაფიოდ გამოვლინდა მწერლის მხატვრული ნიჭიერების ყველა უძვირფასესი თვისება, მისი მოქალაქეობრივი იდეალების მთელი კეთილშობილება. ამ თხზულებას დავით კლდიაშვილი საბჭოთა წყობილების წლებში წერდა. ჩვენი თანამედროვეობის სიმაღლიდან მწერალმა, ცხადია, ახლებურად დაინახა და გაიაზრა თავისი ცხოვრების ვრცელი გზა, აღსავსე მრავალი უმნიშვნელოვანესი მოვლენით. თხრობის მთელ მანძილზე ჩვენს თვალწინ წარმოდგება ავტორის ნათელი პიროვნება — ეპოქის მოწინავე მოქალაქე, მხურვალე გულის, სპეტაკი ზნეობის, ამაღლებული რწმენისა და საზოგადოებრივი იდეალების ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ცდილობს რაც შეიძლება ცოტა ილაპარაკოს საკუთარ პიროვნებაზე, ნაწარმოების წინა პლანზე ეპოქის უმნიშვნელოვანესი მოვლენები და ჩვენი ეროვნული კულტურის სხვა მოღვაწეთა სახეები წამოწიოს.

ამ შესანიშნავ მემუარულ თხზულებას მწერალმა ასეთი მოკრძალებული სტრიქონები წაუმძღვარა: „ეს მოგონება იწე-

რება იმ მოსაზრებით, რომ რომელიმე მკვლევარმა ჩვენი წარსული ცხოვრების სურათის დასახატავად შეიძლება ამ სტრიქონებშიც იპოვოს გამოსადეგი რამ მასალა. თუ ეს ასე იქნება, მაშინ ამის დაწერაც გამართლებული იქნება და დამწერიც დიდად დაკმაყოფილებული". „ჩემი ცხოვრების გზაზე" თავისი შემეცნებითი და მხატვრული ღირებულებით შორს სცილდება ავტორის ასეთ მოკრძალებულ განზრახვას და პრეტენზიას. ეს ნაწარმოები მასალა კი არ არის ჩვენი წარსული ცხოვრების სურათის დასახატავად, არამედ თვით სურათი, დიდი რეალისტი მწერლის კალმით დახატული სურათი, რომელიც თვალწინ გადაგვიშლის ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების რთულ ვითარებას გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან, თებერვლის რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებამდე.

თავისი ადრეული ბავშვობის წლების მოგონებისას მწერალი წარმოსახავს გასული საუკუნის სამოციანი-სამოცდაათიანი წლების ქართული სოფლის ვითარებას, კერძოდ, აზნაურული ოჯახის ყოფა-ცხოვრებას, იმ სპეციფიკურ სამყაროს, რომელიც შემდეგ ასე ცხოვლად და მრავალფეროვნად აისახა დაეით კლდიაშვილის საუკეთესო მხატვრულ ქმნილებებში. მოგონებათა მომდევნო თავებში ჩვენ ვეცნობით, კი არ ვეცნობით,— განვიცდით და ვგრძნობთ მეფისდროინდელი სკოლის, კერძოდ სამხედრო სწავლა-აღზრდის ბიუროკრატიულ ხასიათს, ახალგაზრდობის დამმახინჯებელ და გადამაგვარებელ რეჟიმს, რომელიც სასწავლო დაწესებულებებში სუფევდა.

განსაკუთრებით ვრცლად და მრავალმხრივად არის ასახული ამ ნაწარმოებში დედა სამშობლოსთან ახლად შემოერთებული აჭარის — კერძოდ ბათუმის აღორძინებისა და მასში ახალი, მრავალმხრივად გართულებული ცხოვრების გაჩაღებისა გასული საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში და ჩვენი საუკუნის დამდეგს. ქართველი პროგრესიული ინტელიგენციის მიერ ამ პერიოდში ბათუმში გაშლილი ფართო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა, საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრში კაპიტალისტური მეურნეობის მძლავრი აღმავლობა და მუშათა

რევოლუციური მოძრაობის სწრაფი გაფართოება, — ყოველივე ეს ამ თხზულებაში აღბეჭდილია ფართო განზოგადებითი ძალით. ჩვენ თვალწინ ცოცხლდება არა მარტო ერთი ქალაქის, არამედ მთელი ჩვენი სამშობლოს ისტორიული ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდი.

დიდი სიყვარულით, შთაგონებულად ხატავს მწერალი ქართველი პროლეტარიატის გმირულ სახეს რუსეთის პირველი რევოლუციის მოსამზადებელ პერიოდში და ამ რევოლუციის აღმავლობის დღეებში. ამ დიდ ისტორიულ მოვლენათა მომთხრობელი თავები დავით კლდიაშვილის მემუარებისა, ამ დიდ თემაზე დაწერილ საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს. მღელვარე გულისწყრომით იგონებს მწერალი 1905 წლის რევოლუციის დამარცხებით დროებით მოზეიმე შავი რეაქციის სისხლიან თარეშს საქართველოში და იმ დიდ უბედურებას, რომელიც თავს დაატეხეს ხალხებს პირველი იმპერიალისტური ომის ვერაგმა ორგანიზატორებმა.

ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენათა ფონზე ანვითარებს თხრობას ამ შესანიშნავი მხატვრული მატიანეს ავტორი, რომელიც მთელ ხალხთან ერთად განუზომელი აღფრთოვანებით შეეგება საძულველი თვითმპყრობელური წყობილების დამხობას ჩვენს ქვეყანაში, ახალი ერის ამობრწყინებას ჩვენი სამშობლოსა და მთელი კაცობრიობის ისტორიაში.

დავით კლდიაშვილის ამ მემუარული თხზულების ერთ-ერთი დიდი ღირსება ისიცაა, რომ მასში ცოცხლად არის დახატული გასული საუკუნის მეორე ნახევრისა და ჩვენი საუკუნის დამდეგის უდიდესი ქართველი მწერლების, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა სახეები. მათი მეშვეობით ჩვენს ცნობიერებაში ცოცხლდება ის დიდი სააზროვნო და შემოქმედებითი ცხოვრება, რომელიც გაიშალა ჩვენს ქვეყანაში იმ დიდ ისტორიულ ეპოქაში, როცა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ორგანიულად გადაიზარდა სოციალისტური პროლეტარიატის მეთაურობით გაჩაღებულ ძლევამოსილ კლასობრივ ბრძოლაში.

მწერლის სახელოვანი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ღირ-

სეულად დამაგვირგვინებელი ეს თხზულება მთლიანად გამსჭვალულია იმ მაღალი იდეური პათოსით, ზნეობრივი კეთილშობილებით და ცხოვრებისეული სიმართლით, რაც დავით კლდიაშვილის მთელი სამწერლო მოღვაწეობის უმაღლეს კოდექსს შეადგენდა.

ეს თხზულება და დავით კლდიაშვილის სხვა მხატვრული შედევრები ნათლად გვიჩვენებენ და გვაგრძნობინებენ თუ როგორი მძიმე და სუსხიანი ცხოვრების გზა განვლო ჩვენმა სამშობლომ, თუ როგორი ჩაგვრისა და უსამართლობის წყვდიადს დააღწია თავი ჩვენმა ხალხმა თავისი გმირული რევოლუციური ბრძოლების მეოხებით, თუ როგორი თავგამოდებით და ერთგულებით უნდა ვიბრძოდეთ და ვშრომობდეთ ჩვენ ამ რევოლუციურ მონაპოვართა შედეგად აგებული ახალი სამყაროს დასაცავად და განსამტკიცებლად.

რედაქტორი ს. ჭილაია
გამომც. რედაქტორი ვ. ძიძიგური
მხატვარი ო. ჯიშკარიანი
მხატვ. რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი
კორექტორი ე. ჯიქია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/IX-62
ანაწყობის ზომა 5½×9
ქაღალდის ზომა 84×108
ნაბეჭდი თაბახი 6,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,6
უე 03890 ტირაჟი 3.000 შეკვ. № 1026

ფასი 26 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.